პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მეშვიდე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დღის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 2 აპრილი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 73 (1828)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- ამერიკის მრეწველები ლოკაუტით მუქარებიან 150.000 მუშას.
- თავდასხმა ფორდზე.
- დაიხურა საგეგმო კომისიების მეორე საკავშირო ყრილობა.
- ჩერეპოვეცში დააპატიმრეს კრონშტადტის ყოფ. პოლიციმეისტერი.
- მინსკის საოლქო სასამართლომ პოლონელ - ჯაშუშ-ქალს ოსტროვსკაიას მიუსაჯა 8 წლით [illegible].
- გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის ავიაციის გამოჩენილი მუშაკი გრიგორიევი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობა

ამხ. შალვა ელიავას მოხსენება

(გაგრძელება)

სახელმწიფო კინო-მრეწველობა

ამხანაგებო, ჩვენ გვაქვს ერთი ორგანიზაცია სამრეწველო ხასიათისა, რომელიც არ არის დაკავშირებული უმაღლეს სამეურნეო საბჭოსთან. მე მოგახსენებთ სახელმწიფო კინო - მრეწველობაზე. ეს არის სააქციონერო საზოგადოება, რომელმაც ამ ბოლო ხანებში თავისი მატერიალური მდგომარეობა გააუმჯობესა წინა წლებთან შედარებით.

შარშან პირველ ნახევარში დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა იგი, მაგრამ ამ ბოლო დროს საქმე გამობრუნდა და დღეს ეს ორგანიზაცია სისტემატიურად მუშაობს. მისი ძირითადი კაპიტალი 1925-26 წელში უდრიდა—478.000 მანეთს, მთავრობისაგან აქვს მიღებული გრძელვადიანი სესხად — 265.000 მან. და აქვს ბანკებში სათანადო კრედიტი.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სახკინმრეწვს შემოსვლია 1.147.022 მან., მათ შორის ა.-კავკასიაში — 210.767 მან., ხოლო რუსეთში — 936.265 მან.

დღეს - დღეობით თვიური საერთო შემოსავალი სახკინმრეწვის უდრის 140.000 მან. რა თქმა უნდა, ეს თანხა მას არ ყოფნის ჯერ-ჯერობით, რადგან დიდი დავალიანება აქვს გასული წლების, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაცია დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

ტრანსპორტი

მეურნეობასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული ჩვენი ტრანსპორტის მუშაობა.

აი როგორი სურათია ჩვენი პროდუქციის დატვირთვა - გადაზიდვის და ადგილობრივი მგზავრების გადაყვანისა საქართველოს ტერიტორიაზე.

რკინის გზები

დატვირთულია სულ — 1924-25 წ. 104.343 ვაგონი, 1925-26 წელს კი 131.721 ვაგონი.

გადაყვანილ მგზავრების რიცხვი 1924-25 წელში უდრიდა — 5.828.500 კაცს, ხოლო 1925 26 წ 6.597.100 კაცს. გადაზიდულ ტვირთში პირველი ადგილი უკავია მარგანეცს, მეორე კი საამშენებლო მასალას; წინეთ კი მეორე ადგილი ეჭირა სანოვაგეს. ეს იმის მომასწავებელია, რომ ჩვენში დიდი საამშენებლო სამუშაოები დაიწყო. მესამე ადგილი უკავია შეშას, რომელიც იტვირთება ქალაქების საჭიროებისათვის, მეოთხე ადგილს იჭერს მსხვილი და წვრილი საქონლის გადაზიდვა. შეშისა და საქონლის გადაზიდვის გადიდება მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ მოთხოვნილებები თანდათან უფრო მეტად კმაყოფილდებიან.

ნავთსადგურები

საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ნავთსადგურების (უმთავრესად — ბათომი და ფოთი) ტვირთ - ბრუნვის მაჩვენებელია: ომამდე სულ გაგზავნილია და მიღებული ამ ნავთსადგურებიდან — 2.150.731 ტონი, 24-25 წ. გაგზავნა და მიღება უდრიდა — 1.557.340 ტონს, ხოლო 25-26 წ. 1.766.821 ტონს. მათ შორის გაიგზავნა აქედან გასულ წელს 1.589 668 ტონი, მიღებულია მხოლოდ 177.168 ტონი. გაგზავნილ საქონელში მთავარია ნავთეულობა, რომელიც უდრის — 1.050.969 ტონს. თქვენ იცით, რომ ბაქოს ნავთი ყველა ქვეყნებში იზრდება. რკინის გზით საჭირო ნავთეულის გადატანა თანდათან ძნელდება. თქვენდა საყურადღებოთ უნდა მოგახსენოთ, რომ სწორეთ ამის გამო წრეულს საკავშირო მთავრობამ გადასწყვიტა გადააკეთოს, ეგრეთ წოდებული, კეროსინის - სადენი, ნავთსადენად. ბათომში მოწყობილი იქნება და აშენდება ქარხანა, სადაც შავი ნავთი გადამუშავდება ბენზინისა და სხვა ტეხნიკურ მასალების მისაღებად. ამისათვის სათანადო თანხა არის გადადებული. გაზეთებიდან ალბათ იცით, თუ როგორ უნდა მოეწყოს და როგორ აშენდეს აღნიშნული ქარხანა. ამ ქარხნის ბათომთან აშენების ირგვლივ დაისვა საკითხი, რამდენ ზიანს მოუტანს იგი სუბტროპიკულ მცენარეებს. იმ სუბტროპიკულ მცენარეებს, რომელიც მოჰყავს გლეხობას სალიბაურის და ჩაქვის რაიონში, გამოირკვა, რომ თუ დაცულ იქნა ერთგვარი საამშენებლო და სატეხნიკო პირობები, არავითარი საშიშროება ამ მცენარეებს არ მოელის.

შემოტანილ საქონელში მთავარია პურეული —35.818 ტონი და შაქარი — 16.180 ტონი.

საურმე გზები

საურმე გზებით (აღებულია მხოლოდ თბილისში, ბათომში და სოხუმში) მოტანილია 1924-25 წელს—პური—205.900 ფუთი, 25-26 წ. 170.100 ფუთი, ეს იმიტომ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქები რუსეთიდან შემოტანილ პურით საზრდოებენ.

ბოსტნეული 24-25 წ. 615.100 ფ., 25-26 წ. 781.200 ფ., ხილეული 24-25 წ. 133.200 ფ. და გასულ წელს 234.100 ფ.

რძეული 24-25 წ. 63.300, გასულ წელს 125800 ზრდა არის ასი პროცენტით. კვერცხი 24-25 წ. 1.084.300, გასულ წელს 2 455.900 ცალი, როგორც ვხედავთ ჩვენი ქალაქების მოთხოვნილება სანოვაგეზე თანდათანობით იზრდება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქალაქის მცხოვრებლები და კერძოდ ქალაქის მუშები მატერიალურად ცოტა მოღონიერდენ და მეტს მოითხოვენ სოფლიდან.

ფოსტა - ტელეგრაფი

ფოსტა - ტელეგრაფიც ხომ პირდაპირ დაკავშირებულია მეურნეობის განვითარებასთან. მიღებული და გადაგზავნილი კორესპონდენციის რაოდენობა აშკარად დამახასიათებელია სამეურნეო განვითარების.

სულ მიღებულია 1924-25 წ. 11.107.700 კორესპონდენცია, ხოლო გადაგზავნილი 12 107.600 ცალი, ხოლო 1925-26 წ. მიღებულია 18.182 400 ცალი, გადაგზავნილია კი 16.717900 ც.. ეს შედარებითი ციფრები მოწმობენ ჩვენ წინსვლას.

საგზაო მშენებლობა

წარმოუდგენელია, ამხანაგებო, ჩვენი სოფლის მეურნეობა და მრეწველობის გაზრდა - განვითარება, თუ მათ თან არ ახლავს ღონისძიებანი არსებულ გზატკეცილების შეკეთება - შენახვის და ახაალი გზებისა და ხიდების გაყვანა - აშენებისათვის.

ამიტომ, მოკლედ უნდა შევჩერდეთ ამ საკითხზე.

გზების საკითხი მეტად მწვავე საკითხია ჩვენს რესპუბლიკაში. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა არც ერთი მხრიდან. სახელმწიფოდან (იმიტომ, რომ სახელმწიფოს არა აქვს ამ საჭიროებისათვის საკმაო თავისუფალი თანხა), არც თვით მასისაგან, ხალხისაგან, რომელიც უაღრესად დაინტერესებულია გზებისა და ხიდების ბედ-იღბალით.

საქმე იმაშია, რომ ჩვენი ინდუსტრიალიზაციის გეგმა და ჩვენი სასოფლო - მეურნეობის გეგმა არ შეიცავდა. როგორც ნაწილს, გზების საკითხს. ამ გეგმაში დღემდე არ შედიოდა გზების აშენება, როგორც ნაწილი. მხოლოდ წრეულს შევადგინეთ 5 წლის გეგმა, სადაც გავაშუქეთ და სათანადო ადგილი მივეცით გზების საკითხს

დღევანდელი მდგომარეობა კი, ამხანაგებო, ასეთია: ჩვენში არსებობს სამი კატეგორიის გზები: საკავშირო ანუ სტრატეგიული. რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობისა.

საქართველოს ტერიტორიაზე არის 1304 კილომეტრი სტრატეგიული მნიშვნელობის გზატკეცილებისა, 1634 კილომეტრი რესპუბლიკანური მნიშვნელობისა და 3072 კილომეტრი სასოფლო-ადგილობრივი გზებისა, მათ შორის მხოლოდ 600 კილომეტრია გზატკეცილი. ეს გზები ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ ძველი დროიდან.

გასაბჭოების შემდეგ გავიყვანეთ მხოლოდ ქუთაის-წყალტუბოს გზა—12 კილომეტრი და შევუდექით ახალი გზების შენებას: ჯავა-როკი (სამხრეთ - ოსეთში) სიგრძით — 28კილომეტრი, სურამ - ძირულის გზა—55 კილომეტრი, და შევაკეთეთ სვანეთის საცალფეხო გზა (ჯვარი-ბეჩო) სიგრძით — 112 კილომეტრი.

მეფის დროიდან დარჩენილ გზებს, ამხანაგებო, კაპიტალური შეკეთება არ ქონია 1914 წლიდან, ხოლო მიმდინარე შეკეთებას არავითარი ნაყოფი არ მოაქვს. ამ გზების აღსადგენად (სტრატეგიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობისა) საშუალოდ კილომეტრზედ საჭიროა სულ ცოტა რომ ვსთქვათ არა ნაკლებ — 2.000 მანეთის ერთდროულად. ჩვენ კი ვხარჯავდით აქამდის კილომეტრზე საშვალოდ 350 მანეთს.

ასეთ პირობებში გზების აღდგენა ყოვლად შეუძლებელია. ძველ დროს კი მარტო მიმდინარე ყოველწლიურ შეკეთებისათვის იხარჯებოდა ერთ ვერსტზე არა ნაკლებ 500 მანეთისა.

ჯერ-ჯერობით, როგორც ვსთქვი, სახელმწიფოს არა აქვს ამ ფრიად საჭირო საქმისათვის მეტი თავისუფალი თანხა, ვიდრე ნავარაუდევია ბიუჯეტით.

რა უშველის საქმეს?

მეტი ყურადღება სახელმწიფოს ბიუჯეტში გზებს, მეტი და განსაკუთრებული ყურადღება გზებს თვით გლეხობისაგან.

თებერვალში მომხდარ საკავშირო ცაკის სესიამ სცნო, რომ კავშირიში და, მაშასადამე, ჩვენ შიაც არსებული ქსელი არც რაოდენობით, არც მისი მდგომარეობით სრულიად არ შეეფერება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას, და დაავალა საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს და ადგილობრივ ორგანიზაციებს ქსელის გაფართოება და არსებულის სათანადო შეკეთება. მასთან ერთად სესიამ დაადგინა, რომ უნდა იქნას მიღებული მხედველობაში ყოველგვარი ინდივიდუალური თვისებები ამა თუ იმ რაიონის. მთის რელიეფი, მდინარეების რეჟიმი და სხვ. აგრეთვე ნათქვამია, რომ მრეწველობის განვითარების გეგმაში და მეურნეობის განვითარების გეგმაში იქნეს შეტანილი განსაკუთრებული ხარჯები, გარეშე სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვისა, არსებული გზების შესაკეთებლად და ახალი გზების გასაყვანად. ეს საკითხი საქართველოში და ამიერ - კავკასიაში უფრო მწვავედ სდგას, ვიდრე კავშირის რომელიმე სხვა კუთხეში. ჩემის აზრით, საჭიროა, რომ ის კანონი, რომელიც ჩვენ გამოვეცით იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ხდებოდეს გლეხების მონაწილეობა გზების შენებაში — იქნეს შეცვლილი. უნდა გამოიცეს კანონი პირდაპირ სავალდებულო და უნდა პირდაპირ განვსაზღვროთ გლეხების სავალდებულო შრომის რაოდენობაც. ამხანაგებო, ჩვენ რესპუბლიკაში გლეხობის 61 პროც. სრულიად თავისუფალია გადასახადისაგან, არასოდეს ასეთი დიდი რიცხვი ჩვენი გლეხობისა თავისუფალი გადასახადისაგან არ ყოფილა. მე არ მახსოვს ისეთი გლეხი მეფობის დროს, რომელიც განთავისუფლებული იყო სრულებით გადასახადისაგან. საჭიროა, რომ განთავისუფლებული გლეხები და ისინი, ვინც კი იხდის გადასახადს, თანაბრად თავისი სიძლიერისა იღებდენ სათანადო მონაწილეობას ყველა გზების შეკეთება-შენებაში. უამისოდ შეუძლებელია საქმის წაყვანა. ჩვენი მეურნეობა წინ ვერ წავა, თუ ამას ვერ გავაკეთებთ.

ალებ-მიცემობა

გადავდივართ ალებ - მიცემობაზე, რომელიც შეადგენს ჩვენი მეურნეობის და მრეწველობის აუცილებელ დამატებას და ასრულებს შუამავლის როლს. ალებ - მიცემობის დამახასიათებელი ციფრები ააშკარავებენ შემდეგ გარემოებას, სახელდობრ იმას, რომ ჩვენ მეტი საქონელი შემოგვაქვს ჩვენს ქვეყანაში, ვიდრე გაგვაქვს ჩვენი ქვეყნიდან. ამ მხრივ ჩვენ დამოკიდებული ვართ სხვა ბაზარზე. ჩვენი საქონელი საჭიროებს სხვა ბაზარს, რადგან არ შეგვიძლია ჩვენს ტერიტორიაზე გავასაღოთ ყველაფერი ის, რასაც აწარმოებს ჩვენი გლეხი.

ექსპორტი (ორმოცამდე უმთავრესი საგნის) საბჭოთა რესპუბლიკებში საქართველოდან უდრიდა გ.-წ. 38.834,6 ათ. მან., ხოლო იმპორტი, შემოტანა საქართველოში — 82.700 ათ. მანეთს, ე. ი. 100 პროც-ით მეტია. საქონელი შემოგვაქვს, ვიდრე გაგვაქვს. გასული წლის მთელი ბრუნვა 121,5 მილ. მან. უდრის. რაც შეეხება სავაჭრო ბალანსს — იგი ასეთია: შემოტანილი გვაქვს 43.868,9 ათ. მან. მეტი საქონელი, ვიდრე გატანილი.

კაპიტალისტურ ქვეყნებში გასულ წელს გატანილია 17,4 მილ. მანეთის საქონელი, ხოლო შემოტანილია 2,61 მილ. მანეთის. საერთო ბრუნვა 20.025 ათ. მანეთს უდრის, ხოლო სავაჭრო ბალანსი აქ ჩვენი სასარგებლო — დადებითი არის, გაგვიტანია 14,8 მილ. მან. მეტი ღირებულების საქონელი, ვიდრე შემოგვიტანია. აქედან ცხადია ის გარემოება, რომ ჩვენი მეურნეობის განვითარება, ჩვენი სოფლის მეურნეობა დაკავშირებულია საბჭოთა რესპუბლიკებთან უფრო, ვიდრე უცხოეთთან. უცხოეთში ჩვენ გაგვაქვს ბეწვეული, ჯაგარი, შავიქვა, ზოგიერთი [illegible] მასალა და ზოგიერთი სხვა საქონელი, დანარჩენი ყველაფერი საბჭოთა რესპუბლიკებში გვაქვს. ამიტომ ტყუილია, ამხანაგებო, ის აზრი, თითქოს საქართველო უფრო ახლო იყოს ეკონომიურად ევროპასთან, ვიდრე საბჭოთა რესპუბლიკებთან. ამ აზრის გამტარებელნი არიან, როგორც აქ ჩვენში, ისე უმთავრესად უცხოეთში, საქართველოდან განდევნილი ემიგრანტები და კონდრაბანდისტები. საბჭოთა ქვეყნებში გატანილ საქონელში უმთავრესი არის ნედლი ხილი, კაკალი და თხილი, დაფნის ფოთოლი, ბამბა გაწმენდილი, თამბაქო ფოთლოვანი, მატყლი, ქვანახშირი, ტყე რგვალი და დახერხილი, სპირტეული და შავიქვა. უმეტესობა ამ საგნებისა გაგვაქვს უკრაინაში და რუსეთში. იქიდან შემოტანილ საგნებს შორის კი უმთავრესია: ხორბალი ციფრებს არ ვასახელებ, რომ ბევრი დრო არ წავართვათ, — ხორბლის ფქვილი, მსხვილფეხა საქონელი, თევზეული, ტყე რგვალი და დახერხილი, ნავთი და ნავთეული, შაქარი, ზეთი, რკინა, თუჯი და უხმარი ფოლადი. ეს არის უმთავრესი, რაც შემოგვაქვს. საწარმოვო ადგილი ამ საქონლისა არის უმთავრესად რუსეთი და უკრაინა. ეხლა მოვიყვან ციფრებს, ზოგიერთ უმთავრეს საგნების შემოტანა - გატანისას საქონლის დასაფასებლად და შესადარებლად წინა წლებთან. აქ ნახავთ, რომ გატანა იზრდება თანდათანობით და ზოგან სჯობნის კიდეც წარსულ წლებს. აქ არის შედარება მენშევიკების დროსა, (საშუალო წლიური 1919 და 1920 წ. წ.), ომიანობის წინა დროსა (საშუალო 1909 — 13 წ. ცნობები დაახლოვებით) და თანამედროვე.

ნედლი ხილი მენშევიკების დროს გაუტანიათ 794,8 ათ. ფ., ხოლო 1925-26 წ. 876,7 ათ. ფუთი; კაკალი და თხილი მენშევიკების დროს 20 ათასი ფუთი, გასულ წელს კი 384,5 ათ. ფ.; თამბაქო ფოთლოვანი მენშევიკების დროს 348.400 ფ.; გასულ წელს 258.000 ფ. ეს აიხსნება იმით, რომ მენშევიკების დროს დიდძალი თუთუნი იყო დაგროვილი. ძველ დროს მოწეული და ის გაჰქონდათ უცხოეთში. ეხლა კი გვაქვს ახალი მოსავალი, როგორც რუსეთში, ისე ევროპაში, და აგრეთვე ადგილობრივი მოხმარებაც ძლიერდება. აბრეშუმის პარკი — მენშევიკების დროს 6.000 ფ. გაიტანეს, გასულ წელს კი 36,1 ათ. ფუთი.

ღვინო გასულ წელს 857 ათ. ფუთი გაიტანეს, ხოლო მენშევიკების დროს 164,9 ათ. ფუთი. შავიქვა მენშევიკების დროს 5768,5 ათ. ფუთი, ჩვენ დროს კი — 1925-26 წ. 81,0 მილ. ფუთი. სიმინდის გატანაა შემცირდა ამ ბოლო დროს შინა მოთხოვნილების გაძლიერების გამო.

შემოტანილია ხორბლის ფქვილი მენშევიკების დროს 349,2 ათ. ფუთი, ჩვენ დროს (1925-26 წ.) 6642,4 ათ. ფ. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობა გადადის შემოტანილ ფქვილზე და უკეთ აკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას. ნავთი და ნავთის ნაწარმოები — მენშევიკების დროს შემოიტანეს 634,8 ათ. ფ., ხოლო გასულ წელს 52 მილ. ფუთი; შაქარი მენშევიკების დროს 116,8 ათ. ფუთი, გასულ წელს 1,422,8 ათ. ფ.; რკინა, თუჯი და ფოლადი უხმარი — მენშევიკების დროს — 32 ათ. ფუთი, ხოლო გასულ წელს 788,2 ათ. ფ.; ფართალი— მენშევიკების დროს 132 ათ. ფ.;; ხოლო გასულ წელს 810,9 ათ. ფუთი.

რაც შეეხება სამრეწველო საგნების გეგმიან შემოტანას, ყველაფერი ეს საბჭოთა რესპუბლიკებიდან შემოდის ჩვენში, გარდა უმთავრესად ფაბრიკა - ქარხნების მოწყობილობისა. ამნაირად, ჩვენ ვგზავნით სხვა ქვეყნებში სოფლის მეურნეობის ნაწარმოებს და მოპოვებით მრეწველობის ნედლეულს (შავიქვა) და შემოგვაქვს ფაბრიკა - ქარხნის ნაწარმოები, გარდა პურისა, რომელიც რუსეთიდან შემოგვაქვს.

შინაური ვაჭრობა

სავაჭრო ქსელი

ჩვენი შინაური ვაჭრობის სურათი ასეთია (გარდა ფეხზე მოვაჭრეთა):

სავაჭრო ქსელი საქართველოში გასულ წლის მეორე ნახევარში 15.083 წერტს - სავაჭროს უდრის. მათ შორის საბითუმო - სავაჭრო დაწესებულებანი შეადგენენ 0,8 პროც., საბითუმო საცალო 1,3 პროც-ს, ხოლო საცალო სავაჭრო დაწესებულებანი მთელი რიცხვის 97,2 პროც-ს. ეს სავაჭრო დაწესებულებანი შემდეგნაირად ნაწილდება: თბილისზე მოდის მთელი სავაჭრო დაწესებულებათა 29,8 პროც., დანარჩენი ქალაქებზე 40,8 პროც., ხოლო სოფლებზე 29,4 პროც.

ეს იმას ნიშნავს, რომ სავაჭრო დაწესებულებათა ქსელი ქალაქებში უფრო ხშირია, ვიდრე სოფლებში. ზევით დავინახეთ, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ამის საწინააღმდეგო სურათი გვაქვს — სავაჭრო ქსელი სოფელში მეტია, ხოლო ქალაქში უფრო ნაკლები.

საერთო სავაჭრო დაწესებულებათაგან კოოპერატიული ქსელზე მოდის 701 დაწესებულება, ანუ მთელი ქსელის 3,6 პროც. კოოპერიტიულ დაწესებულებათა ქსელში საბითუმო - სავაჭრო დაწესებულებებზე მოდის 1,6 პროც., საბითუმო-საცალოზე 1 პროც, ხოლო საცალოზე 97,4 პროც კოოპერატიული დაწესებულებანი შემდეგნაირად ნაწილდებიან ტერიტორიის მიხედვით: თბილისზე მოდის 285 დაწესებულება, დანარჩენ ქალაქებზე — 223 დაწესებულება, ხოლო სოფელზე 193 დაწესებულება. თქვენ ხედავთ, რომ კოოპერატიულ ქსელს ქალაქში დიდი ალაგი უჭირავს, სოფელში კი უფრო ნაკლები.

კერძო სავაჭროები საქართველოში ამავე დროს 13,037 უდრის, ე. ი. მთელი ქსელის 87 პროც. მათ შორის: საბითუმოა 0,2 პროც., საბითუმო - საცალო 0,5 პროც. და საცალო 99.3 პროც. ტერიტორიის მიხედვით ეს რიცხვი შემდეგნაირად ნაწილდება: თბილისზე 3 894 დაწესებულება, დანარჩენ ქალაქებზე 5.568, ხოლო სოფლად — 3.575. აქ, როგორც ვხედავთ, კერძო ვაჭრობას კვლავ პირველი ადგილი უჭირავს ქალაქად და უკანასკნელი — სოფლად.

სახელმწიფო ქსელიდან კი — თბილისზე მოდის 285 სავაჭრო, დანარჩენ ქალაქებზე 223 და სოფლებზე კი 193 დაწესებულება. აქედან თქვენ ხედავთ, რომ სოფელი მესამე ადგილზე სდგას, ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს, რომ ჩვენი სავაჭრო ქსელი, როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერატიული, სუსტია სოფელში, მისი რიცხვი ნაკლებია. ეს მოასწავებს იმასაც, რომ სოფელი შიმშილობს, სოფელში უფრო საკლებ შეგვაქვს საქონელი, ვიდრე ქალაქში. რასაკვირველია, ამ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება და სათანადო შესწორება არის საჭირო, რომ ფაბრიკა ქარხნების პროდუქცია, საქონელი სათანადო რიცხვით იქნას შეტანილი სოფელში.

სავაჭრო ბრუნვა

სავაჭრო ბრუნვის ანალიზიდან დავინახავთ ამავე სურათს, რაც ამტკიცებს, რომ სოფელი მესამე ადგილზე სდგას. აბსოლიუტურად 25-26 წ. პირველი ნახევრის (მეორე ნახევრის ბრუნვაზე ცნობები არაა დამუშავებული) სავაჭრო ბრუნვა (ფინინსპექციის მასალებით)155.064 ათ. მან. შეადგენს. აქედან თბილისზე მოდის 66.8 პროც., დანარჩენ ქალაქებზე — 24,0 პროც., ხოლო სოფლებზე 9,2 პროც.

კოოპერატიული ვაჭრობის ბრუნვა ამავე დროისათვის აბსოლიუტურად 42,566 ათ. მან., ანუ მთელი ბრუნვის 27,2 პროც-ს უდრის; მათ შორის თბილისზე მოდის 19,4 მილ. მანეთი, დანარჩენ ქალაქებზე — 14,992 ათ. მან., ხოლო სოფლებზე — 8 მილ. მანეთი. აქედან ვხედავთ, რომ აქაც სოფელი მესამე ადგილზე სდგას. გადავიდეთ ეხლა კერძო ვაჭრობაზე. კერძო ვაჭრობის ბრუნვა 35,3 მილ. მან. უდრის; აქედან თბილისზე მოდის — 17,7 მილ. მან., დანარჩენ ქალაქებზე — 12,4 მილ. მან., ხოლო სოფლებზე 5,2 მილ. მან. მთელი ბრუნვ [illegible] მან. რაც შეეხება სახელმწიფო ვაჭრობის ბრუნვას იგი 77,9 მილ. მან. შეადგენს, რომლიდანაც თბილისზე მოდის 66,9 მილ. მან., დანარჩენ ქალაქებზე 10 მილ. მან., ხოლო სოფლებზე — 980 ათ. მანეთი. აქედან ცხადათ სჩანს, რომ როგორც სავაჭრო დაწესებულების ქსელი, სახელმწიფო, კოოპერატიული თუ კერძო, ისე მათი სავაჭრო ბრუნვა სოფელში უფრო ნაკლებია, ვიდრე ქალაქად. ეს ნათლად ამოწმებს, რომ სოფელი მესამე ადგილზე სდგას. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ რომ საჭიროა მეტი ყურადღების მიქცევა სოფლისათვის, საჭიროა უფრო დაუახლოვოთ სოფელს, როგორც ქსელი, ისე საქონლის მასსა. რომ ის მეტი რაოდენობით მივიდეს სოფელში და ცოტად თუ ბევრად საკმარისად დააკმაყოფილოს გლეხების მოთხოვნილება.

კოოპერაცია

გადავდივართ ეხლა სამომხმარებლო კოოპერაციაზე, რომლის ბრუნვებიც ზევით გავარჩიეთ. მე გამოგაქვეყნე დღეს ციფრები, თუ როგორია სურათი კოოპერატიული ორგანიზაციებისა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, საქართველოში — კი ამ მხრივ შემდეგ სურათს ვხედავთ: ცეკავშირის მიერ გაერთიანებულ სამომხმარებლო კოოპერატივთა რიცხვი 1926 წ. პირველ ოქტომბრისათვის ქალაქად — 28 უდრის, დუქნების რიცხვი 531, წევრების რიცხვი —105.340 და საპაიო თანხა — კი 290,6 ათ. მანეთს.

სოფლად სამომხმარებლო კოოპერატივთა რიცხვი 118 არის, დუქნების რიცხვი 447, წევრთა რიცხვი 99.671. ეს ცხადყოფს რომ სამომხმარებლო კოოპერაციას ქალაქში უფრო მეტი წევრი ჰყავს, ვიდრე სოფლად. საპაიო თანხა 270 900 მანეთს უდრის. აქაც საპაიო თანხა სოფლად უფრო ნაკლებია, ვიდრე ქალაქში.

ამნაირად, სოფლად და ქალაქად ჩვენ გვაქვს 147 კოოპერატივი (ცეკავშირის გაერთიანებით), დუქანი — 978, წევრთა რიცხვი—205,011 კაცი. საპაიო თანხა 561,5 ათ. მანეთი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ოჯახიდან ერთი წევრი შედის კოოპერაციაში და [illegible] გარიშებთ 5 სულს, გამოვა, რომ სამომხმარებლო კოოპერაციაში შეკავშირებულია — 1.000.000 კაცი, ანუ დაახლოვებით — 40 პროც.

სას.-სამეურნეო კოოპერაცია ასეთს სურათს იძლევა—1926 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის: ამხანაგობათა რიცხვი — 53, წევრთა რიცხვი — 42.224. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ოჯახიდან ერთი კაცი ითვლება წევრად სამეურნეო კოოპერაციაში და თუ საშუალოდ თითო ოჯახზე 5 სულს ვივარაუდებთ, დავინახავთ, რომ 42.000 კომლი შედის ჩვენს სასოფლო-კოოპერაციაში, ე. ი. 200.000 კაცი დაახლოვებით, უფრო ნაკლები ვიდრე — 10 პროც.-ი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სოფლის მცხოვრებთა რიცხვი 2.100.000 სულს უდრის. აქედან დასკვნა ასეთია, რომ ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ. რომ რაც შეიძლება მეტი გლეხობა შევაკავშიროთ სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციაში, მთელი გლეხკაცობის — 50-60 პროც. მაინც. თუ ასეთი შეკავშირება არ მოხდა, ისე ჩვენი სოფლის მეურნეობის აღორძინება და ინდუსტრიალიზაცია შეუძლებელი იქნება.

როგორც ვხედავთ საპაიო თანხები ჩვენი კოოპერაციისა მეტად მცირე და სუსტია. მიუხედავათ ამისა, ჩვენი კოოპერაცია მაინც მუშაობს. განსაკუთრებით სამომხმარებლო კოოპერაცია. სას.- სამეურნეო კოოპერაციას გ.-წ. და შარშანწინ საჯაყი საქმე დაემართა, ის გაიტაცა გაფართოვების სურვილმა და ერთხელ მოპოვებულ პოზიციებზე გაუმაგრებლად შეეცადა ახალ-ახალ სფეროში შეჭრილიყო. მან აიღო მრავალი თანხები, მაგრამ ყველა ეს გაიფანტა და მთავრობამ დაკარგა რამოდენიმე 100.000 მანეთი, ჩვენ იძულებული გავხდით წარმოკავშირი დაგვეხურა და ახლა კი ახალ საფუძველზე ვაშენებთ სასოფლო სამეურნეო კოოპერაციას. კოოპერაცია ჩვენში მუშაობს უმთავრესად ბანკების დახმარებით. აი სურათი საქართველოს კოოპერაციის საბანკო საკრედიტო მომარაგების: შინა-მრეწველობას 26 წლის 1-ლ ოქტომბერს ჰქონდა სესხად ბანკებიდან 65 ათასი. მანეთი. სამომხმარებლო კოოპერაციას — 2.924 ათ. მან. და საკრედიტო კოოპერაციას — 4.282 ათ. მან., ე. ი. გ. წ. საქართველოს კოოპერაციის საბანკო სესხი 11.106.000 მანეთს უდრიდა, როგორც ხედავთ, ეს თანხა არ არის პატარა, თუ რაციონალურად იქნება დაყენებული კოოპერატიული საქმიანობა და მოღვაწეობა.

კრედიტი

ჩვენ არ გვექნება, ამხანაგებო, სწორი წარმოდგენა ჩვენი მეურნეობის შესახებ თუ არ გავეცნობით საკრედიტო დაწესებულებათა მოღვაწეობას ჩვენში. ამის მაჩვენებელია შემდეგი: ყველა ბანკებში (აღებულია 26 საკრედიტო დაწესებულება) — 1926 წ. 1-ლ ოქტომბრის სესხის და განაღდების ნაშთი — 74,2 მილ. მან. უდრის. მე აქ უფრო ახალი ციფრები მაქვს, ა.-წ. 1-ლ თებერვლის, რომლითაც სესხი და განაღდება უდრის — 78,6 მილ. მან., მათ შორის საქართველოს ბანკებისა 19,7 მილ. მან., ანაბართა და სახელდახელო ანგარიშების ნაშთი ა.-წლის 1-ლ თებერვლისათვის 12,6 მილ. მანეთს, მათ შორის საქართველოს ბანკებში 3,8 მილ. მან., სალარო — 1.031 ათ. მან., მათ შორის საქართველოს ბანკებში 247 ათ. მან.; ბალანსი—93.032 ათ. მან., საქართველოს ბანკებში კი — 5 მილ. მან. აქ აღებული გვაქვს საქართველოში მომქმედი მთავარი ბანკები, 14 ფილიალით, — სულ 26 საკრედიტო დაწესებულება თბილისში და საქართველოს პროვინციებში.

საერთო დავალიანების ნაშთიდან კერძოდ საქართველოს კლიენტურის დავალიანება ამ წლის 1-ლ თებერვლისათვის 50,4 მილ. მან. უდრის, რომელშიაც სახელმწიფო ორგანიზაციების დავალიანება უდრის 18,8 მილ. მან., კოოპერატივების დავალიანება 10,1 მილ. მან., კომუნალურ მეურნეობის და ელექტროფიკაციის — 17,8 მილ. მან., ამაში შედის, ამხანაგებო, ზაჰესის დავალიანებაც, რომელიც ამ დღეებში უნდა გავხსნათ. კერძო კლიენტურის დავალიანება 572 ათ. მან. შეადგენს და საკრედიტო დაწესებულებათა კი — 6,5 მილ. მან.

აქედან სჩანს, რომ ჩვენს სახალხო მეურნეობაში 50 მილ. მან. საბანკო კრედიტი არის დაბანდებული. სამწუხაროდ, არა გვაქვს ცნობები იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატებოდა— ბანკების მუშაობა მენშევიკების დროს, როდესაც, როგორც მგონია, სულ ერთი ბანკი იყო და არ ვიცით, თუ რას უდრიდა მისი მონაწილეობა საქართველოს მეურნეობაში.

დავალიანების საერთო თანხა, ამხანაგებო რომელიც მე მოვიყვანე ეხლა (50,4 მილ. მან.), მეურნეობის ცალ-ცალკე დარგების მიხედვით ასე ნაწილდება: მრეწველობაზე მოდის 10,3 მილ. მან., სოფლის მეურნეობაზე 9,2 მილ. მან., ვაჭრობაზე 5,7 მილ. მან., კომუნალურ მეურნეობაზე და ელექტროფიკაციაზე — 17,4 მილ. მან. გაუნაწილებელია დაწესებულებათა შორის 1,4 მილ. მან., ხოლო დანარჩენი — საკრედიტო დაწესებულებათ აქვთ მიღებული. თუ არ მივიღებთ მხედველობაში კომუნალურ მეურნეობას, ელექტროფიკაციას, სადაც შედის ზაჰესის დავალიანება, მრეწველობას პირველი ადგილი უჭირავს, მეორე ადგილი სოფლის მეურნეობას ეკუთვნის, მესამე ადგილი კი ვაჭრობას უკავია.

ცალ-ცალკე ბანკების მდგომარეობა და მათი მუშაობა შემდეგნაირია 1927 წ. პირველ თებერვლისათვის: სახელმწიფო ბანკის დავალიანების ნაშთი საქართველოში უდრის 24,1 მ. მან., აქედან საქართველოს კლიენტურას აქვს აღებული 13,7 მილ. მან, ნახევარზე მეტი. კოოპერატიული ბანკის მთელი დავალიანება 1,4 მილ. მან. შეადგენს — აქედან საქართველოს კლიენტურას მიუღია 1,2 მილ. მან.; სამრეწველო ბანკის მთელი დავალიანება 3,9 მილ. მან. უდრის, აქედან საქართველოს კლიენტურის დავალიანება უდრის 2,1 მან., საგარეო ვაჭრობის ბანკი ჩვენს ტერიტორიაზე მუშაობს და აქ საქართველოს დავალიანება უდრის 326 ათ. მან.; ელექტრობანკის დავალინება უდრის 13,7 მილ. მან. საქართველოს კლიენტურას მათ შორის აქვს დავალიანება 13,5 მილ. მან. საერთოდ თქვენ დაინახავთ, რომ მთელი დავალიანება ყველა ბანკებისა უდრის 78,6 მილ. მან. და მათ შორის საქართველოს კლიენტურას აქვს 50,4 მილ. მან., ეს იმის მაჩვენებელია, რომ ბანკები დიდ კაპიტალს აბრუნებენ ჩვენ სასოფლო მეურნეობაში, მრეწველობაში და მთელს ჩვენს აღმშენებლობაში.

ბიუჯეტი

სასოფლო - სამეურნეო გადასახადი

ეხლა გადავიდეთ, ამხანაგებო, ჩვენ ბიუჯეტზე და ჩვენი ფინანსიური ხარჯების გაშუქებაზე. თქვენ იცით, რომ ბიუჯეტი შესდგება შემოსავლის მხრივ პირდაპირი გადასახადისაგან, რომელიც ხაზინას აქვს მრეწველობისა და მეურნეობისაგან. პირდაპირ გადასახადში პირველი ადგილი უკავია სას.-სამეურნეო გადასახადს. ამხანაგებო, ნოე რამიშვილი ამბობს თავის ერთ წერილში, რომ პირდაპირი გადასახადი ისეთი მძიმეა საქართველოში, რომ გლეხს ახდევინებენ არა ნაკლებ 10-20 მანეთისა, მეფის თვითმპყრობელობის ხანაში არავინ მოსწრებია ასეთსო; ერთიანი სას.-სამეურნეო გადასახადის სახელწოდებით „საოკუპაციო მთავრობა“, (სხვათა შორის უნდა განვმარტოთ, ამხანაგებო, რომ ჩვენი ემიგრანტები საბჭოთა ხელისუფლებას უწოდებენ საოკუპაციოს, ხოლო რუსეთის ზოგიერთი შავრაზმელები, რომელნიც გადახვეწილნი არიან საზღვარგარეთ, როგორც ალექსინსკი და სხვები, ამბობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება რუსეთშიაც საოკუპაციო ხელისუფლება არისო). ლაპარაკობს რამიშვილი „ფაქტიურად ბეგარას აწესებს გლეხების ყოველგვარი ქონებასა და ნაწარმოებზეო“.

აბა განვიხილოთ, როგორია, ამხანაგებო, ეს სას.-სამეურნეო გადასახადი. ჯამი ამ ერთიანი სას.- სამეურნეო გადასახადისა მიმდინარე საბიუჯეტო წლისათვის — 1.827.827 მანეთს უდრის. როგორ ნაწილდება ეს გადასახადი აღმოსავლეთ საქართველოზე და დასავლეთ საქართველოზე. აღმოსავლეთ საქართველოში — (სამხრეთ - ოსეთით) გაწერილია 1.272,2 ათ. მან. და დასავლეთ საქართველოს (აქ შედის აჭარისტანი და აფხაზეთიც) 455.168 მან., მე არ შევჩერდები ყველა მაზრების დახასიათებაზე. მინდა მხოლოდ მოგახსენოთ შემდეგი: აღმოსავლეთ საქართველოში, ამხანაგებო, მჭამელთა საშუალო რიცხვი ოჯახში უდრის — 5,1, დასავლეთ საქართველოში — 4.9. ავიღოთ, რომ საერთოდ ჩვენში, საშუალო მჭამელთა რიცხვი ოჯახში უდრის 5 კაცს, ჩვენ დავინახავთ, რომ პირობით წმინდა შემოსავალი საშუალოდ ერთ მეურნეობაზე უდრის აღმოსავლეთ საქართველოში — 163 მან. და დასავლეთ საქართველოში — 96 მან. .

მერე, რამდენ პროცენტს შეადგენს ეს გადასახადი, რომელიც შემოაქვს ამ გლეხს ხაზინაში? ეს შეადგენს 4.7 პროცენტს. აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო 2 პროცენტს დასავლეთ საქართველოში.

საერთოდ, თუ გავანაწილებთ გადასახადს აღმოსავლეთ საქართველოში ყველა მცხოვრებლებზე, გამოდის, რომ თითო კომლზე მოდის 7 მან. 59 კაპ. მთლიან სას.-სამეურნეო გადასახადის, ხოლო თუ ამას გავანაწილებთ იმ მეურნეობებზე, რომელნიც იხდიან ამ გადასახადს, დავინახავთ, რომ მეურნეობა იხდის საშუალოდ 14 მან. და 7 კაპ. დასავლეთ საქართველოში კი, თუ გავანაწილებთ ამ გადასახადს ყველა მცხოვრებლებზე, თითო — მეურნეობაზე მოვა 1 მან. 92 კაპ., ხოლო მას თუ იმ ოჯახებზე გავანაწილებთ, რომელნიც იხდიან გადასახადს, მაშინ თითო ოჯახზე მოვა 7 მანეთი და 35 კაპ.. ამნაირად, თქვენ ხედავთ, რომ ეს ციფრი სრულიადაც არ არის დიდი ჩვენი გლეხის მეურნეობისათვის.

კლასობრივი პრინციპი დაცულია

აქ არ უნდა გავივიწყოთ. რომ მოსახლეობის ღარიბი ნაწილი სას.-სამეურნეო გადასახადისაგან თავისუფლდება; მაგ. აღმოსავლეთ საქართველოში გადასახადისაგან განთავისუფლებულია 46,7 პროც. მთელ მეურნეობათა, და ეს გადასახადი — 14 მან. და 7 კაპ. — ხვდება იმას, ვინც უფრო შეძლებულია და მდიდარია, ღარიბი კი სულ განთავისუფლებულია.

დასავლეთ საქართველოში განთავისუფლებულია 73,7 პროც., ე. ი. 100 მეურნეობიდან გადასახადს 26,3 პროც. მეურნეობა იხდის. საშუალოდ საქართველოში გადასახადისაგან თავისუფალია 61,5 პროც. ამნაირად ეს გადასახადი ისეა აშენებული, რომ იგი ანთავისუფლებს ჩვენი სოფლის გლეხობის ულატაკეს ნაწილს.

მაგრამ მე აქ არ შემიძლია არ დავახასიათო ზოგიერთი მაზრები აღმოსავლეთ საქართველოში: სამხრეთ - ოსეთში განთავისუფლებულია 38 პროც., ახალციხის მაზრაში 60 პროც., დუშეთის მაზრაში 66 პროც., გორის მაზრაში 50 პროც.; დანარჩენ მაზრებში უფრო ცოტაა განთავისუფლებულნი. დასავლეთ საქართველოში: ლეჩხუმის მაზრაში განთავისუფლებულია 80 პროც., შორაპნის მაზრაში 87 პროც., აჭარისტანში 84 პროც., აფხაზეთში 54 პროც., ზუგდიდის მაზ. 67 პროც., ოზურგეთის მაზრაში 78 პროც., რაჭაში — 80 პროც. და სენაკის მაზრაში 80 პროც. ამნაირად, აქედან ვხედავთ. რომ ჩვენი მთავრობა არ ძარცვავს გლეხობას. პირიქით, იგი დიდ დახმარებას და შეღავათს უწევს ღარიბ გლეხობას.

ჩვენი სოფელი შემდეგ სოციალურ ჯგუფებად არის განაწილებული: ღარიბი გლეხობა, რომელსაც თითო მჭამელზე 25 მან. შემოსავალი აქვს, ე. ი. თუ ოჯახი 5 სულისაგან შესდგება. მას აქვს შემოსავალი წელიწადში—125 მან ასეთი ნაწილი სულ 61 პროცენტს უდრის; ასეთი ჯგუფები, რომელთაც შემოსავალი აქვს ითითეულ მჭამელზე—25—80 მანეთამდე, შეადგენენ 31 პროცენტს, ხოლო ის ჯგუფები, სადაც თითოეულ მჭამელზე მოდის 80 მანეთზე მეტი, 8 პროცენტს შეადგენენ. ამიტომ არის, რომ ეს 61 პროცენტი არავითარ გადასახადს არ იხდის, მეორე ჯგუფი—საშუალო გლეხობა (31 პროცენტს) იხდის—საშუალოდ 6 მან. და 40 კაპ., ხოლო ის 8 პროცენტი გლეხობისა, რომლის შემოსავალი აღემატება—80 მან. მჭამელზე. იხდის 31მან. 25კ.ოჯახზე. აქედან დაინახავთ რომ ეს არის სარკე ჩვენი ქვეყნის სოციალური დაჯგუფებისა და ამავე დროს გვაჩვენებს, თუ რანაირად სწყვეტს ამ საკითხს მთავრობა. იგი ათავისუფლებს ღარიბ-ღატაკს გადასახადისაგან და ახდევინებს მას, ვისაც მეტი შემოსავალი აქვს, ვისაც მეტი არგუნა ბედმა. კლასობრივ პრინციპი ამ მხრივ სისწორით არის გატარებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მთავრობის მუშაობა მიმართულია ღარიბ გლეხების სასარგებლოდ.

შემოსავლის რაოდენობა

ამ წელში (1926—27 წ.) ნავარაუდევია სას.-სამეურნეო გადასახადი—1,9 მილ. მან., სარეწაო გადასახადი 3586 ათ მან., შარშან კი იყო 1995,7 ათ. მან.; საშემოსავლო გადასახადი 1782,9 ათ. მან., გ. წ. იყო 2.880.600 მან.; სამემკვიდრეო გადასახადი ძალიან ცოტაა; საფასურებიდან 371.000 მ. შემოსავალი არის ნავარაუდევი,— სახელმწიფო ქონებიდან—1.659,7 ათ. მან., სხვა არა სახარჯო შემოსავალი 735,9 ათ. მან., საერთო შემოსავალი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით, გარდა არაპირდაპირი გადასახადისა, რომელიც საკავშიროთ ითვლება, უდრის 10.143.700 მან., მათ შორის—აფხაზეთში უნდა აიკრიფოს 790.000 მან.; შარშან იყო 456.400 მან., აჭარისტანში—598.000, შარშან იყო 446,8 ათ. მან. ესეც მაჩვენებელია, ამხანაგებო,—გადასახადის გადიდება ნიშნავს, რომ ცოტად თუ ბევრად ხალხი მოღონიერდა. ხალხს შეუძლია მეტი შეიტანოს სახელმწიფო სალაროში.

ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი

ახლა ისმება საკითხი, როგორია გასავალი. საქართველო და ავტ. რესპ. ერთად მთელ ტერიტორიაზე 25—26 წ. იყო დანიშნული 9723 ათ. მან. გასავალი, მიმდინარე წელს კი 11 მილ. 182 ათ. მან.; ასე, რომ 582 ათ. მან. მეტია.

155-ით გადიდებულა საგასავლო ხარჯები მიმდინარე წელს შარშანდელთან შედარებით. ეს ხარჯები განაწილებულია შემდეგნაირად: ადმინისტრატიულ ორგანოებზე, ცაკზე, სახკომსაბჭოზე და საგეგმო კომისიაზე. ამათ მთავრობამ შეუმცირა ხარჯები და გაუდიდა ხარჯები სახკომატებს. ეს დირექტივა გატარებული არის. მაგალითად, შინაგან საქმეთა კომისარიატის (თუმცა ზოგიერთი დაწესებულებები იყვნენ ადგილობრივ ბიუჯეტზე, მაგრამ ეხლა გადმოვიტანენ სახელმწიფო ბიუჯეტზე) ხარჯები გადიდებულ იქნა. გადიდებულ იქნა აგრეთვე იუსტიციის სახალხო კომისარიატის ხარჯები. ყველაზე უფრო პროცენტიულად გადიდებულია ხარჯები მიწათმოქმედების კომისარიატის,—გადიდება უდრის 29,55-ს. შარშან მიწათმოქმედების კომისარიატის გასავალი იყო სულ 1.250.3 ათ. მან., ახლა კი 1.882,2 ათ. მან., გადიდდა აგრეთვე ხარჯები განათლების სახალხო კომისარიატის—შარშან ხარჯი უდრიდა 4.629,9 ათ. მან., მიმდინარე წელს კი არის დანიშნული 5.128,9 ათ. მან. გადიდებულია ხარჯები აგრეთვე ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის—115., შარშან იყო 1.610,4 ათ. მან., მიმდინარე წელს არის დანიშნული 1.792,8 ათ. მან. გადიდებულია აგრეთვე 39, პროცენტით სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის ხარჯები. ამნაირად, ამხანაგებო, საქართველოს ბიუჯეტის ხარჯები გაიზარდა შარშანდელთან შედარებით მიმდინარე წელს 15 პროცენტით. თუ გამოვაკლებთ საქართველოდან აფხაზეთს, აჭარისტანს და სამხრეთ-ოსეთს, მაშინ დავინახავთ, რომ სახკომატების ხარჯები გაიზარდა გასულ წელთან შედარებით 14,5 პროცენტით. თუ ავიღებთ აფხაზეთს—დავინახავთ, რომ აფხაზეთზე შარშან იყო დანიშნული 714,6 ათ. მან., ხოლო წელს არის დანიშნული 844,5 ათ. მან., ე. ი. 18,25 მეტი შარშანდელთან შედარებით. აჭარისტანზე შარშან იყო დანიშნული ხარჯები 753,0 ათ. მან., მიმდინარე წელს არის დანიშნული 867,5 ათ. მან., მაშასადამე, შარშანდელთან შედარებით ხარჯები გაიზარდა 15,25-ით. სამხრეთ-ოსეთში შარშან იყო დანიშნული ხარჯები 286,9 ათ. მან., შარშანდელთან შედარებით გაიზარდა ხარჯები 20.95-ით. აი, ამხანაგებო, ჩვენი ბიუჯეტის სურათი. შემოსავალი ჩვენი ბიუჯეტისა უდრიდა 10,1 მილ. მან., ხოლო გასავალი 11,2 მილ. მან. ჩვენ ვხედავთ, რომ საიდანღაც მივვიღია თანხა ფულად დეფიციტის დასაფარავად.

საბიუჯეტო ფონდები

ჩვენი ბიუჯეტი შეიცავს, ამხანაგებო, როგორც ნორმალურ ბიუჯეტს, ისე ფონდებს, რომლებიც დანიშნულია მრეწველობისათვის, სოფლის მეურნეობისათვის, ელექტროფიკაციისათვის, საბინაო აღმშენებლობისათვის, კომუნალურ მშენებლობისათვის და სხვ. შარშან დანიშნული იყო, ამხანაგებო, 1925—26 წ. ყველა დარგისათვის 7,5 მილ. მან. მათ შორის სასოფლო-მეურნეობისათვის დანიშნული იყო 1.177,7 ათასი მან., მრეწველობისათვის 1,785 ათ. მან., საბინაო მშენებლობისათვის—1,187,2 ათ. მან., ადგილობრივ ელექტროფიკაციისათვის 352 ათასი მან., კურორტებისათვის 175 ათ. მან., საზოგადო მუშაობისათვის 126 ათ. მან., კოოპერაციისათვის 330 ათ. მან., სულ 7 მილ. 515,3 ათასი მანეთი. მიმდინარე წლისათვის დანიშნულია 12,7 მილ. მანეთი. მათ შორის სოფლის მეურნეობაზე დანიშნულია 1.216,9 ათასი მანეთი, მრეწველობისათვის დანიშნულია 4.595 ათ. მანეთი, საბინაო მშენებლობისათვის 1.182,5 ათ. მან., ცოტა ნაკლები—5 ათასი მანეთით ნაკლები —შარშანდელთან შედარებით. ადგილობრივი ელექტროფიკაციისათვის 1.300 ათ. მან.; კომუნალურ მშენებლობისათვის შარშან არ იყო არც ერთი მანეთი, წელს დანიშნულია 455 ათ. მან.; კურორტებისათვის წელს დანიშნულია 300 ათასი მან., ის უნდა დაიხარჯოს ბორჯომზე, აბასთუმანზე, წყალტუბოზე და აგრეთვე აფხაზეთსა და ქობულეთზე. თქვენ იცით, რომ ჩვენი ქვეყანა საკურორტო ქვეყანაა, მაგრამ კურორტები ჩვენში მეტად მოუწყობელია. ევროპაში ის სახელმწიფოები, რომელთაც ასეთი მდიდარი კურორტები აქვთ, საკურორტო შემოსავლით ცხოვრობენ; ჩვენში კი, რადგანაც კურორტები მოუწყობელია, სახელმწიფოსაც შემოსავალი რა აქვს. თუმცა ნორმალურ მოწესრიგებულმა კურორტებმა ჩვენში უნდა შემოიტანონ ისეთი შემოსავალი, რომელიც საგრძნობლად დაეხმარება სახელმწიფოს. წელს ამას ყურადღება მიაქცია საკავშირო მთავრობამ და გამოიღო ზემოაღნიშნული 900 ათ. მანეთი. მუშაობა დაწყებულია და ჩვენ დარწმუნებული ვართ, თანდათან, რამოდენიმე წლის განმავლობაში ისე კარგათ დავაყენებთ საქმეს, რომ კურორტები მოგვცემენ არა მარტო ხარჯებს, არამედ შემოსავალსაც. საზოგადო მუშაობაზე გაღებულია წელს 210 ათ. მან.; ირიგაციაზე და მელიორაციაზე 2.930 ათ. მან. ვხედავთ რომ ნორმალურ ბიუჯეტში ხარჯები უდრის 11 მილ. 800 ათ. მანეთს, ხოლო მეურნეობის და მრეწველობისათვის დანიშნულია 12.730 ათასი მან. აი, ამხანაგებო, სურათი ჩვენი ბიუჯეტისა, თუ უფრო დანამდვილებით ჩავიხედავთ ჩვენ ბიუჯეტში, დავინახავთ, რომ ჩვენი ბიუჯეტი დეფიციტიანია, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი.

ადგილობრივი ბიუჯეტი

ადგილობრივი ბიუჯეტით საქართველოში ნავარაუდევია მომავალი წლისათვის გასავალი 34086 ათ. მან., ეს თანხა ნაწილდება ასე: თბილისსა და მის მაზრას ეკუთვნის 17,273 ათ. მან.; აფხაზეთს—2.030 ათ. მან., აჭარისტანს—2.159 ათ. მან. ხოლო სამხრეთ-ოსეთს 393 ათასი მანეთი. დანარჩენ მაზრებს 12.020 ათ. მანეთი. ასე არის ნავარაუდევი გასავალი. შემოსავალიც უდრის 34.086 ათ. მანეთს, მაგრამ ეს ნავარაუდევია სოფლის მეურნეობის ანარიცხებით იმ გადასახადიდან, რომელიც მე დავასახელე. აქ ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ ნავარაუდევია 441.000 მან.; კომუნალური მეურნეობიდან შემოდის 6.794 ათ. მან. კომუნალური მეურნეობა იძლევა შემოსავალს უმთავრესად დიდ ქალაქებში, როგორიც არის: თბილისი, ბათომი, ქუთაისი და ნაწილობრივ სოხუმი. სხვადასხვა შემოსავალი 975 ათ. მან. შეადგენს. ანარიცხები სახ. შემოსავლ. 670 ათ. მ. უდრის.; ანარიცხები და ზედნართი სახელმწიფო გადასახადიდან და გამოსაღებიდან 6.750 ათ. მან.; ადგილობრივი გადასახადი და გამოსაღები უდრის 2.397 ათ. მან., ხოლო სუბვენცია 9.215 ათ. მან., თუ გამოვაკლებთ შემოსავალს ამ 9,215 ათ. მანეთს, ჩვენ მივიღებთ 25 მილ. მან. შემოსავალს საქართველოში, ე. ი. 15 მილ. მან. შემოსდის ადგილობრივ ხელისუფლებას, ხოლო ხარჯავს 34 მილ. მან, საიდან ხარჯავს ამ 9 მილ. მან.? ამას იძლევა საკავშირო მთავრობა. ეხლა ხარჯები, ამხანაგებო, ადმინისტრატიულ დაწესებულების შესანახად ნავარაუდევია დაიხარჯოს 3,312 ათ. მან.; საზოგადოებრივი წესიერების დაცვაზე—2.060 ათ. მან.; იუსტიციის ორგანოებზე—670 ათ. მან.; სახალხო განათლებაზე—9.18 ათ. მან.; აურაცხელი მასწავლებლობა და სკოლები, რომელიც ჩვენ გვაქვს არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს ადგილობრივ ბიუჯეტიდან და სახელმწიფო დოტაციის სახით აძლევს ადგილობრივ ხელისუფლებას მათ შესანახად 3030 ათ. მან., კომუნალურ საწარმოებზე და მეურნეობაზე უნდა დაიხარჯოს 9.704 ათ. მანეთი, გზებზე 689 ათ. მანეთი, სოფლის მეურნეობაზე 962 ათ. მანეთი, ადგილობრივ მრეწველობაზე 566 ათ. მან. და დანარჩენი ხარჯებიც 8 მილ. მანეთს უდრის.

აი ასე ხასიათდება ჩვენი ადგილობრივი ბიუჯეტის საგასავლო მხარე.

ჩვენი ბიუჯეტი დეფიციტიანია

აქედან, ამხანაგებო, თქვენ დაინახავთ, რომ ჩვენი ბიუჯეტი როგორც სახელმწიფოებრივი. ისე ადგილობრივი დეფიციტიანია და სათანადო თანხას ვიღებთ საკავშირო საშუალებიდან. ამხანაგებო, ბევრს გონია, რომ ჩვენს ტერიტორიაზე შემოდის იმდენი შემოსავალი, რომ შეუძლია დაფაროს ყველა ჩვენი გასავალი. ეს აზრი არ არის სწორი, იქონიეთ მხედველობაში, რომ ჩვენ არ გვაქვს ბიუჯეტში შეტანილი სამხედრო ხარჯები. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ორ დივიზიას ვინახავთ და ამას სათანადო ხარჯები სჭირია, ეს ხარჯები გაღებულია საკავშირო ბიუჯეტიდან.

ეხლა ვნახოთ თუ რა მოდის თითოეულ სულზე ჩვენში შემოსავალი და გასავალი. 1925—26 წელში შემოსავალი თითოეულ სულზე უდრის სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოში 3 მან. და 58 კაპ., აფხაზეთში 3 მან. 97 კაპ., აჭარაში 4 მან. 65 კაპ., ხოლო სამხრეთ-ოსეთში 1 მან. და 41 კაპ., საშუალოდ საქართველოში შემოსავალი თითოეულ სულზე უდრის 3 მან. 85 კაპ. ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით სულზე. უდრის საქართველოში (უავტონომიოთ) 4 მ. 29 კ.; შემოსავალი კი 3 მან. 88 კაპ.; აფხაზეთში შემოსავალი 3 მან. 97 კაპ., გასავალი 4 მან. 70 კაპ.; აჭარაში—შემოსავალი 4 მ. 65 კაპ. და გასავალი 7 მან. 43 კაპ., სამხრეთ-ოსეთში შემოსავალი 1 მან. 41 კაპ., ხოლო გასავალი 4 მან. 28 კაპ., საშუალოდ საქართველოში სულზე შემოდის 3 მან. და 85 კაპ. ხოლო იხარჯება 4 მან. და 47 კაპ., ასე რომ თითოეულ სულზე მეტს ვხარჯავთ 62 კაპ., ავიღოთ და გავამრავლოთ ეს 62 კაპ. ჩვენი მოსახლეობის საერთო რიცხვზე და ნახავთ, რომ ჩვენ საიდანაც უნდა მივიღოთ ეს თანხა. ადგილობრივი შემოსავალი თითოეულ სულზე, თუ გამოვაკლებთ დოტაციას, მოდის 9 მან. 49 კაპ., გასავალი—კი 12 მან. 92 კაპ. ასე რომ 3 მან. და 43 კაპ. მეტს ვხარჯავთ, ვიდრე შემოსავალია სულზე. ეს დეფიციტი შევსებული უნდა იქნეს სადოტაციო თანხებიდან.

აქედან აშკარაა, რომ კიდევ დიდი ხანი გავა, სანამ ჩვენი ბიუჯეტი იქნება უდეფიციტო. რატომ? ამის დასამტკიცებლად და დასასაბუთებლად შეიძლება ბევრი მოსაზრებები მოვიყვანო. ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ წლიდან-წლამდე იზრდება ხალხის მოთხოვნილება, ვიდრე ის სიმდიდრე, რომელიც გროვდება ჩვენს საქართველოში, ამიტომ გადასახადების ზრდა და შემოსავლის ზრდა დიდხანს ვერ დაფარავს ხარჯების ზრდას. რამოდენიმე წლის შემდეგ ახლად აშენებული და განზრახული ფაბრიკა-ქარხნები და აგრეთვე სასოფლო მეურნეობაში ტეხნიკური კულტურების გავრცელება ეკონომიურ დონეს მოგვცემს და შემოსავალიც გადიდდება და დაფარავს ხარჯებს. ადგილობრივი ბიუჯეტი შენდება საქართველოს მხოლოდ ადგილობრივი გადასახადების ნიადაგზე. ის ისეთი შემოსავალი არის, რომელიც ადგილობრივ ხარჯებს არ ფარავს, ვინაიდან მათ აქვს უფრო მეტი გასავალი. ყველა თქვენთაგანმა კარგად იცის, რომ თემებს პირდაპირი გადასახადის მეტი შემოსავალი არა აქვთ. ამიტომ შეუძლებელი არის ჯერჯერობით თემის ფარგლებში ბიუჯეტის შექმნა. გადაწყვეტილია, რომ სოფლის მეურნეობის ნაწარმოები გატანილ იქნეს ბაზარზე და გადამუშავებული ნედლი მასალა წარმოებებში. მხოლოდ ამით შეიძლება დაუახლოვდეთ ბიუჯეტის აშენებას სოფლად. ამიტომ მთავრობის მთელი ყურადღება უნდა იყოს მიპყრობილი იმისკენ, რომ რაც შეიძლება აჩქარებული ტემპით მოხდეს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია.

რასაკვირველია ,ეს საქმე ძალიან ძნელი არის და ამიტომ ჩვენ არ ვართ დიდი საყვედურის ღირსნი, რომ ვერ ვაკმაყოფილებთ ყოველივე თქვენს მოთხოვნილებებს.

(დასასრული იქნება)

ჩვენი მრეწველობის მდგომარეობა და პერსპექტივები

ამხ. ავაქოვის მოხსენება

ჩვენი ყურადღების ცენტრში

სახალხო მეურნეობის საკითხები ჩვენი უმთავრესი ყურადღების საგანია; ჩვენი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამეურნეო აღმშენებლობის საკითხებს და კერძოდ მრეწველობას. მრეწველობა არის გადამწყვეტი ფაქტორი სახალხო მეურნეობის ყველა დანარჩენი დარგებისათვის, იგი განსაზღვრავს მათ ბედ-იღბალს და წარმოადგენს იმ გზას, რომლითაც უნდა წავიდეს ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობა. თუ წინედ საქართველო წარმოადგენდა მხოლოდ ბაზარს რუსეთის მრეწველობის გასაღებისათვის და ნედლეულის მიმწოდებელს, სამაგიეროდ ეხლა მდგომარეობა სავსებით შეიცვალა. ყოველმა თქვენთაგანმა იცის, თუ სამრეწველო აღმშენებლობა როგორი სწრაფი ტემპით ვითარდება საქართველოში. ამას ხელს უწყობს არა მარტო კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა, რომელნიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ და დიდ ნივთიერ საშუალებებს ახმარებენ განაპირა რესპუბლიკების და კერძოდ საქართველოს ინდუსტრიალიზაციას, არამედ ხელს უწყობს აგრეთვე მადნეულის განსაკუთრებული სიმდიდრე, განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები ძვირფასი კულტურების, სამთამადნო, გადამამუშავებელი და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის განვითარებისათვის.

სოციალისტური მრეწველობა იზრდება

უდავო ფაქტია, რომ საქართველო უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ გვაქვს პირობები მრეწველობის განვითარებისათვის. ცნობები სწორედ საწინააღმდეგოს ამტკიცებენ, მიუხედავად იმისა, რომ მრეწველობის ხვედრითი წონას სახალხო მეურნეობის საერთო სისტემაში ეხლა არ უჭირავს დიდი ადგილი. ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპი და ციფრები მოწმობენ მრეწველობის ხვედრითი წონის ზრდას. თუ 1923—24 წ. სახელმწიფო მრეწველობის ხვედრითი წონა შეადგენდა 74,8 პროცენტს, მაშასადამე, დანარჩენი 25,2 პროცენტი რჩებოდა კერძო კაპიტალის წილად, სამაგიეროდ 1924—25 წ. სახელმწიფო მრეწველობა შეადგენდა 85,9 პროცენტს, 1925—26 წ.—86,9 პროცენტს. სხვანაირად რომ ვსთქვათ, 1925—26 წელში კერძო კაპიტალის წილად სულ მოდიოდა 13,1 პროცენტი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ 13,1 პროცენტში მთავარი ადგილი უჭირავს მარგანეცის მრეწველობას, რომელიც კონცესიად არის გაცემული, ჩვენ დავინახავთ, რომ კერძო მრეწველობის წილად მოდის მხოლოდ 3,2 პროცენტი. ჩვენ შეგვიძლია გამოვსთქვათ რწმენა, რომ მომავალში, მრეწველობის განვითარების ასეთივე ტემპის დაცვით, ეს პროცენტი დაყვანილი იქნება უმნიშვნელო რაოდენობამდე.

მიმდინარე საბიუჯეტო წლის უკანასკნელი ცნობები იძლევიან ასეთ შეფარდებას: სახელმწიფო მრეწველობა—92,8 პროც., კერძო მრეწველობა, მარგანეცის მრეწველობასთან ერთად, მხოლოდ—7,2 პროც.

მომქმედ წარმოებათა რიცხვი ამგვარად იზრდება: 1923—24 წ. ჩვენ გვქონდა 132 მომქმედი წარმოება, 1925—26 წელში—224. ასევე იზრდებოდა დასაქმებულ მუშა-ხელის რაოდენობა. 1923—24 წ. წარმოებებში მუშაობდა 6.439 მუშა, 1925—26 წ. კი—14.618 მუშა. სახელმწიფო მრეწველობამ 1925—26 წ. განმავლობაში მოგვცა 43.680.000 მან. პროდუქცია და იქ მუშაობდა 10.821 მუშა; აქედან სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმოებებმა დაამზადეს 21.250 000 მან. პროდუქცია. 1926—27 წლის პროგრამა ითვალისწინებს პროდუქციის გადიდებას 32.626.000 მანეთამდე, ე. ი. 52 პროც. მომატებას.

ჩვენ დავამთავრეთ აღდგენითი პერიოდი და ეხლა უკვე გადავდივართ ორგანიულ ზრდაზე. ჩვენ მთელ მრეწველობაში მივაღწიეთ არა მარტო ომამდე არსებულ დონეს, არამედ გადავაჭარბეთ კიდეც ამ დონეს ზოგიერთ დარგებში, მაგალითად, თამბაქოს, ტყავეულის, ქვა-ნახშირის, პოლიგრაფიულ მრეწველობაში.

შრომის ნაყოფიერება

ჩვენი მრეწველობის სწრაფ ზრდას თან სდევს, რასაკვირველია, მუშათა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება. ციფრები მოწმობენ, რომ სამუშაო ხელფასმა 7,6 პროცენტით გადააჭარბა ომამდე არსებულ დონეს. ეს უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ჩვენს სამეურნეო პოლიტიკაში. მუშათა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად იზრდებოდა მუშათა შრომის ნაყოფიერება. შრომის ნაყოფიერების პრობლემა—პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანაა. რასაკვირველია. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა არა მარტო ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების მეოხებით. ხელფასი რამდენიც გნებავთ, რომ მოუმატოთ, მაგრამ თუ ჩვენ არ გავაუმჯობესებთ ტეხნიკურ მრეწველობას, არ გავაუმჯობესებთ წარმოების პროცესებს, არ მოვახდენთ მის რაციონალიზაციას, ვერავითარი მომატება ვერ გვიშველის. ამ დარგში მიღებული შედეგები მოწმობენ იმ დიდ მუშაობას, რომელიც შევასრულეთ ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქციის დარგში.

შრომის ნაყოფიერებამ იმატა ქვა-ნახშირის, ტყავეულის, თამბაქოს, საპნის [illegible] და კარაქის მრეწველობაში.

მუშაობას ძალიან აბრკოლებს სამუშაოების გაცდენის დიდი პროცენტი. სამუშაოების გაცდენის პროცენტი, რომელიც ჩვენ გვაქვს, დაუშვებელია, იგი უნდა შევამციროთ. სამუშაოს გაცდენის საშუალო პროცენტი მთელ მრეწველობაში ამჟამად შეადგენს 4 პროც. (წინედ იყო 4,8 პროც.), მაგრამ ესეც დიდი პროცენტია.



ამხ. ავაქოვი აკეთებს მოხსენებას

ფასების დაკლება

ფასების შემცირების საკითხი ეხლა ყველასათვის არის ყურადღების საგანი. ამ საკითხს განიხილავენ ეხლა არა იმისათვის, რომ უბრალო ეფექტები გამოიწვიონ—შეამცირონ ფასები რამოდენიმე პროცენტით. ფასების შემცირება აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა იმისათვის, რომ განვამტკიცოთ კავშირი გლეხობასთან, მეორე, იმისათვის, რომ გავადიდოთ სამუშაო ხელფასის დონე და, მესამე, გავაიაფოთ ჩვენი პროდუქცია, რომ მან უფრო ადვილად გაუძლოს კონკურენციას. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხაზით გატარებულია ფასების შემცირება; თუ ამას ჩვენ გადავიტანთ მანეთებზე და გამოვიანგარიშებთ, გამოირკვევა, რომ ამ შემცირებით საოპერაციო წლის დასასრულამდე დავკარგავთ 546.000 მან. გამოდის, რომ თითქოს ჩვენი მრეწველობა ჰკარგავს. მაგრამ ნამდვილად კი ჩვენ დიდი საქმე გავაკეთეთ; ჩვენ ხელი შევუწყეთ, თუმცა მცირეოდნად, იმ უდიდესი ამოცანის გადაწყვეტას, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას: ჩერვონეცის განმტკიცებას, სამუშაო ხელფასის გადიდებას და სხ. რასაკვირველია, ამაზე ვერ შევჩერდებით. ეს არ არის საზღვარი. ფასები უნდა შევამციროთ ისე, რომ ნორმალური მოგება დარჩეს მრეწველობას.

ორგვარი რაციონალიზაცია

ეს ამოცანა დაკავშირებულია ჩვენი წარმოების ფართო რაციონალიზაციის გატარებასთან. ეხლა დასავლეთ ევროპის ინდუსტრია ატარებს გაცხოველებულ მუშაობას წარმოების რაციონალიზაციისათვის. აქ უდიდეს შედეგებს მიაღწიეს მთელ რიგ ტეხნიკურ გაუმჯობესებათა გამოყენების საშუალებით. მაგრამ რასაკვირველია, უნდა განვასხვავოთ ჩვენი სოციალისტური რაციონალიზაცია დასავლეთ ევროპის ინდუსტრიის რაციონალიზაციისაგან. თუ იქ რაციონალიზაციას აშენებენ სამუშაო დღის გადიდებაზე, სამუშაო ხელფასის შემცირებაზე, მუშათა რიცხვის შემცირებაზე, ჩვენ ამ საკითხს სრულიად სხვანაირად უდგებით. ჩვენი რაციონალიზაცია სრულიადაც არ უნდა ისახავდეს მიზნად სამუშაო ხელფასის შემცირებას, პირიქით, ჩვენი რაციონალიზაცია ისწრაფვის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და სამუშაო ხელფასის გადიდებისაკენ. უნდაა ვაღიაროთ, რომ პირველ ხანებში, სანამ არ მოვამზადებთ ახალ წარმოებებს, რომლებშიაც შეიძლება ზედმეტი მუშების გამოყენება, ჩვენ აქა-იქ მოგვიხდება მუშათა კადრის შემცირება. ამ მსხვერპლს უნდა შევურიგდეთ.



რუსთაველის თეატრთან შეკრებილი ხალხი ისმენს გამაძლიერებლის საშუალებით ამხ ავაქოვის მოხსენებას

ყრილობის დღიური

— გუშინ დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. ავაქოვის მოხსენება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მუშაობის შესახებ, რის შემდეგ გაიხსნა კამათი.

— საღამოს სხდომაზე დამთავრდა კამათი და მოსმენილ იქნა ამხ. ავაქოვის საბოლოო სიტყვა.

— დღეს, დილის სხდომაზე მოსმენილ იქნება ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება სასოფლო მეურნეობის განვითარების შესახებ.

გეგმიანობა მშენებლობაში

ახალი სამრეწველო აღმშენებლობა უმთავრესი ყურადღების საგანია ყველა იმ უმაღლესი ორგანოებისათვის, რომელნიც ეხლა ახალი სამეურნეო აღმშენებლობის პრობლემას არჩევენ. ამიტომ აუცილებელია აქ დავსახოთ განსაზღვრული ხაზი: რა უნდა ვაშენოთ და როგორ უნდა ვაშენოთ. როგორი გზით უნდა წავიდეთ, ვინაიდან, როგორც უკვე ვსთქვი, ჩვენი ქვეყანა ძალიან მდიდარია ნედლეულით, ჩვენ გვაქვს ბევრი სამთამადნო სიმდიდრე, სასოფლო-სამეურნეო რესურსები, თეთრი და შავი ნახშირი. ყოველივე ეს ჩვენ ბევრი გვაქვს. მაგრამ შენება არ შეიძლება უგეგმოდ; არ შეიძლება საქართველოს გამოგლეჯვა ამიერ-კავკასიის და მთელი კავშირის ეკონომიური მთლიანობიდან. ამიტომ აღმშენებლობის დარგში ჩვენ უნდა გამოვიდეთ არა მარტო იქიდან, რაც ჩვენ გვაქვს და რაც შეიძლება აშენდეს, არამედ საქართ., ამიერ-კავკასიის და მთლიანად მთელი კავშირის ეკონომიური მიზანშეწონილებიდანაც. მრეწველობის ზრდას ასურათებს შემდეგი ციფრები: ჩვენ წარმოებათა მოწყობილობა 1924 წ. 1 ოქტომბრისათვის ღირდა 6.100.000 მან., 1925 წ.—9.851.000 მან., 1926 წ.—13.380.000 მან. თუ ამ დარგში—ძირითადი კაპიტალის ზრდის დარგში გვაქვს დიდი მიღწევები, სამაგიეროდ საბრუნავი თანხების დარგში საქმე ცოტა სუსტად არის. ეს სერიოზული საკითხია და ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამას.

მრეწველობის კაპიტალური აღმშენებლობა ჩვენ ფაქტიურად წარსული წლიდან დავიწყეთ. 1925—26 წ. მრეწველობაში დავაბანდეთ 4.000.000 მან. მეტი.. მიმდინარე წელში კი კაპიტალური ხარჯების თანხა იზრდება 6 მილ. მანეთამდე და აი, როცა ჩვენ ვიწყებთ ასეთ დიდ სამუშაოებს და ვკისრულობთ დიდ პასუხისმგებლობას, ჩვენ დიდის სიფრთხილით უნდა ვხარჯოთ ხალხის ფულები და ისეთი ანგარიშით, რომ მივიღოთ უდიდესი ეფექტი. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენ გვაქვს დიდი ნაკლულოვანებანი, დიდი შეცდომები. ჩვენ ხშირად ვართ იძულებული მივმართოთ უცხოეთის ან მოსკოვის, უკრაინის ინჟინრებს იმიტომ, რომ ჩვენ არ გვყავან ისეთი კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც ეხლა შეეძლოთ ახალი ქარხნებისა და ფაბრიკების პროექტების შედგენა. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ჩვენ ზოგიერთ წარმოებებს ვაშენებთ უფრო ძვირად, ვიდრე შეიძლებოდა. ამიტომ კვალიფიციური კადრების მომზადების საკითხი მეტად მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენი მრეწველობისათვის.

მძიმე ინდუსტრიის განვითარება

მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის ჩვენ დავსახეთ პროგრამა, რომელიც მიმდინარე წელში უნდა განხორციელდეს. განზრახულია გამოკვლეულ იქნეს ტყვიის მადნეული შორაპნის, რაჭის მაზრებში და სამხრეთ-ოსეთში და თუთიას მადნეული აჭარისტანში. გარდა ამისა, ჩვენ ეხლა ვაწარმოებთ გურიის ნავთის სერიოზულ კვლევა-ძიებას. ამ საქმისათვის გადადებული იყო ნახევარ მილიონ მან. მეტი .არსებული ცნობები მოწმობენ, რომ გურიის ნავთს შეიძლება სამრეწველო მნიშვნელობა ექნეს.

ეხლა თავდება ტყვარჩელის ქვა-ნახშირის მაღაროების გეოლოგიური კვლევა-ძიება. თბილისში შექმნილია სპეციალური კომისია და ამ საქმისათვის გადადებულია 200.000 მან. მოწვეული არიან ჩვენი კავშირის საუკეთესო გეოლოგიური ძალები, რომელნიც მაისში ჩამოვლენ და ადგილობრივ შეუდგებიან პროექტების შედგენას. ტყვარჩელის მაღაროების დამუშავება შეტანილია მრეწველობის განვითარების ხუთწლიან გეგმაში და ამისათვის ხუთი წლის განმავლობაში საჭირო იქნება 18 მილ. მანეთამდე.

ჩვენს განკარგულებაში მყოფი ზოგიერთი ციფრები მოწმობენ მარგანეცის მრეწველობის განვითარებას. თუმცა მარგანეცის დამუშავება კონცესიონერების ხელშია, მაგრამ მისი მუშაობით ჩვენ ძალიან ვართ დაინტერესებული. როცა ვლაპარაკობთ მარგანეცზე, უნდა ვგულისხმობთ არა მარტო კონცესიონერების მუშაობა. აქ არ უნდა დავივიწყოთ ის პროექტი, რომელიც არსებობს და რომელიც ხუთი წლის განმავლობაში შეიძლება განხორციელდეს. ეს არის საკითხი ფერო-მარგანეცის დამმუშავებელი სპეციალური ქარხნის აგების შესახებ. ჩვენ შეგვიძლია ამ ქარხნის აგება, ვინაიდან ჩვენ ჭიათურაში გვაქვს მთავრობის ფონდი და, გარდა ამისა, მარგანეცი გვაქვს აჭარის რაიონშიაც. სწარმოებს კვლევა-ძიება ჩათახის რაიონშიაც და ხდება გამოკვლევა იმისა, თუ რომელ ადგილას არის მადანი, რომ მრეწველობის ეს დარგიც ავამუშაოთ.

მსუბუქი მრეწველობა

ჩვენი ამოცანა აბრეშუმის მრეწველობის დარგში ეხლა მდგომარეობს იმაში, რომ განვავითაროთ იგი ისეთ მაზრებში, სადაც ჯერ კიდევ არ არის განვითარებული აბრეშუმის პარკის კულტურა. შარშან ჩვენ ავაშენეთ 8 აბრეშუმის სართავი ფაბრიკა და ერთი აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა. ამ ფაბრიკებში შეიძლება გადავამუშაოთ 40.000 მშრალი აბრეშუმის პარკი.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ სატყეო მრეწველობის განვითარებაზე, უპირველეს ყოვლისა უნდა დავსვათ საკითხი გზების შესახებ. სატყეო მეურნეობის განვითარებაში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტის პირობების გაუმჯობესებას. შემდეგ, ჩვენ უნდა შეუდგეთ ისეთ ფაბრიკებისა და ქარხნების აგებას, რომელნიც საშუალებას მოგვცემენ, რომ მერქნიდან მივიღოთ უფრო ძვირფასი პროდუქტები (პარკეტი, ფირფიცარი, ტკეჩი, სკამები და სხ.). ტკეჩის ქარხანას ბორჯომში, რომლის შენობის აგება ამას წინად დამთავრდა, საკავშირო მნიშვნელობა აქვს. დღემდე კასრები შემოქონდათ დანიიდან, ეხლა კი საკავშირო ბაზარს ბორჯომის ქარხანა მიაწვდის ტკეჩს. მარელისის ფაბრიკა ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის აგებული. ნედლეულის რესურსები საკმაოა. სკამებს ჩვენ მივაწვდით არა მარტო საქართველოს, ამიერ-კავკასიას და მთელ კავშირს, არამედ შეიძლება საზღვარ-გარეთაც გავიტანოთ. განზრახულია ქაღალდის ქარხნის აგება შორაპნის რაიონში და ამ საქმისათვის მიმდინარე წელში გადადებულია 1.500.000 მან. ეხლა სწარმოებს მოლაპარაკება უცხოეთის ფირმებთან, რომელნიც კისრულობენ პროექტის შედგენას.

ყრილობამ დირექტივა უნდა გასცეს აგრეთვე იმისათვის, რომ მრეწველობის ზოგიერთი გაფანტული დარგები გაერთიანდეს ცალკე ორგანოდ კერძო კაპიტალის გასადევნად.

შენდება მაუდის ახალი ფაბრიკა დიდუბეში, რომელიც დაამუშავებს 1.200.000 მეტრს ქსოვილს და მოიხმარს 65.000 ფუთამდე მატყლს. როცა ჩვენი ნედლეულის გამოყენებაზე ვლაპარაკობთ, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მისი ხარისხის გაუმჯობესებას.

ადგილობრივი მრეწველობა

რეალური პროგრამა ადგილობრივი მრეწველობის განვითარების დარგში, ასეთია: ჩვენ გადავსწყვიტეთ ყველის სახარში და ერბოს საკეთებელი ქარხნების აგება ახალქალაქის და ყაზბეგის რაიონებში. მათი მოწყობილობა შეკვეთილია საზღვარგარეთ და მიღებული იქნება აპრილში ან მაისში. ვაშენებთ კაკლის საწმენდ ქარხანას ზუგდიდში, კირის ქარხანას ქუთაისში. განზრახული გვაქვს აგურ-კრამიტის ქარხნის აგება შორაპნის ან სენაკის მაზრაში. განზრახულია კონსერვების ფაბრიკის აგება გორში. მთელი ჩვენი პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელია საალმშენებლო მასალა—აგური და ცემენტი. ჩვენ გადავსწყვიტეთ ცემენტის ქარხნის აგება კავთისხევში. ამ ქარხანამ წელიწადში უნდა დაამუშაოს 700.000 კასრი ცემენტი.

ელექტროფიკაცია

თეთრი ნახშირის გამოყენების მხრივ საქართველო განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებშია სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით. ჩვენი მდინარეების ძალა ირყევა 2-დან 4 მილიონ ცხენის ძალამდე. ჩვენ ჯერ-ჯერობით გამოვიყენეთ ჩვენი მდინარეების ძალის 0,1 პროცენტზე ნაკლები. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან ჩვენ ავაგეთ ჰიდროსადგური ცხინვალში—70 ცხენის ძალით, ახალციხეში—150 ცხენის ძალით, აბასთუმანში—80 ცხენის ძალით, ხონში—70 ცხენის ძალით, შოვში—135 ცხენის ძალით. შენდება აბაშის სადგური 2.600 ცხენის ძალით, აჭარის წყალის—5.000 ცხ. ძალით; განზრახულია ახალქალაქის სადგურის გაფართოება 100 ცხენის ძალით. ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას ზაჰესი—ერთ-ერთი დიდი ჰიდროსადგური კავშირში. მეორე უდიდესი სადგური ჩვენს ჰიდროსადგურებს შორის იქნება რიონის ჰიდრო სადგური. საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ საბოლოოდ გადასწყვიტა საკითხი რიონის ჰიდროსადგურის აგების შესახებ, რომლის სიძლიერე 6.000 ცხ. ძალამდე იქნება აყვანილი. საქართველოს ინდუსტრიალიზაციის ტემპი უეჭველად აჩქარდება თუ სათანადო მუშაობას ვაწარმოებთ ელექტრო აღმშენებლობის განსავითარებლად. სცდებიან ისინი, რომელნიც ამბობენ, რომ ჰიდროსადგურის აგება მრეწველობის განვითარებას უნდა სდევდეს თან. ეს შეცდომაა. ელექტრო აღმშენებლობამ უნდა გაუსწროს მრეწველობას, უნდა შეიქნას ბაზა და უნდა გაიკაფოს გზა მრეწველობის განვითარებისათვის.

ჩვენი მიღწევები უდიდესია, მაგრამ კიდევ უდიდესია ის ამოცანები და დაბრკოლებანი, რომლებსაც ჩვენ უეჭველად შევხვდებით გზაზე. მაგრამ მუშათა კლასისა და გლეხობის სიმტკიცე, ის დაუშრეტელი ენერგია, რომელიც გვამოძრავებს ჩვენ, მოგვცემს საშუალებას გადავლახოთ ყველა დაბრკოლებანი და მივაღწიოთ კიდევ მეტ წარმატებებს ჩვენს სოციალისტურ აღმშენებლობაში.

კამათი

ამხ. ავაქოვის მოხსენების გარშემო

ამხ. ავაქოვის მიერ სიტყვის დამთავრების შემდეგ იწყება კამათი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოქმედების გარშემო.

ამხ. ხვედელიძე

როგორც მთავრობის თავმჯდომარის ამხანაგს ორატორი,—ისე ამხ. ავაქოვის მოხსენებიდან სჩანს, რომ მრეწველობის განვითარება ჩვენში დიდი ტემპით მიდის წინ. მთელი რიგი ქარხნები და წარმოებანი პირველად იწყება ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ მრეწველობის ახალ დარგების განვითარებასთან ერთად საჭიროა ყურადღება მიექცეს უკვე არსებულ სამრეწველო წარმოებათა გაუმჯობესებას და მექანიზაციას. მაგ. ტყიბულში შემოღებული უნდა იქნეს ნახშირის სამანქანო ამოღება, უნდა მოისპოს აგრეთვე მაღაროების განათება ჭრაქებით, რომელნიც აჭვარტლიანებენ და აფუჭებენ ჰაერს და მძიმე სამუშაო პირობებს ქმნიან მუშებისათვის. ბევრი ლაპარაკია ტყვარჩელის ქვა-ნახშირზე. სწარმოებს გამოკვლევები, მაგრამ არაფერი ეშველა ქვანახშირის ამოღების დაწყებას ტყვარჩელის მაღაროებში. ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე საქართველოს ნავთის ბუდობების გამოკვლევისა და დამუშავების საქმე. კონცესიით არის გაცემული შირაქის ნავთის ბუდობი, სადაც მხოლოდ 9—11 კაცი მუშაობს. საჭიროა, ს. მ. უ. საბჭომ მონაწილეობა მიიღოს აგრეთვე გურიის ნავთის გამოკვლევის წარმოებაში, რომელსაც „აზნევთი“ ეწევა. შემდეგ ორატორი ეხება სამთამადნო მუშების ხელფასს და შრომის პირობებს. კერძოდ, ჭიათურის მუშებისათვის ორატორი საჭიროდ სცნობს მთავრობამ გაადიდოს დამზღვევ სალაროს დახმარება.

ამხ. ა. რუხაძე

ამხ. ავაქოვს არაფერი უთქვამს შინა მრეწველობის შესახებ, რომლის ხვედრითი წონა ჩვენს სახალხო მეურნეობაში ძალიან დიდი არის. საქართველოში შინამრეწველობა ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, მაგრამ ის საორიენტაციო ცნობები, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, გვიჩვენებს, თუ რა დიდი ადგილი უჭირავს მას ჩვენს სახალხო მეურნეობაში. წვრილ მრეწველობის პროდუქცია შეადგენს ჩვენი მსხვილი მრეწველობის პროდუქციის 50 პროცენტს. წვრილ მრეწველობაში დაბანდებულია 50.000 მუშა ხელი, ხოლო მისი პროდუქციის ღირებულება უდრის 45 მილიონს. შინამრეწველობას დიდი ყურადღება მიაქცია მე-14 პარტიულმა კონფერენციამ, რომელმაც ერთ ერთ რეზოლიუციაში აღნიშნა, რომ მას დიდხანს თვალსაჩინო ადგილი ექნება დაჭერილი საერთოდ ჩვენი კავშირის ეკონომიკაში. მართალია, ინდუსტრიალიზაცია ჩვენს ქვეყანაში ჩქარის ტემპით ვითარდება, მაგრამ ამ ინდუსტრიალიზაციის ეფექტი იმდენად დიდი ვერ იქნება, რომ სავსებით დააკმაყოფილოს ჩვენი მომხმარებლის მოთხოვნილება. შინამრეწველობის 80 პროც. მოდის სოფელზე, რაც ხელს უწყობს მუშა-ხელის დაბანდებას სოფლად და ამცირებს ქალაქში სამუშაოს მაძებრად წამოსულ მუშა ხელის რაოდენობას. გარდა ამისა, შინა-მრეწველობა წარმოადგენს უმთავრეს თვალსაჩინო შემოსავალს გლეხობის მეურნეობაში. მისი პროდუქცია ქალაქებშიაც ანელებს იმ სიმშილს, რომელსაც ხშირად განვიცდით სამრეწველო საგნების უქონლობის გამო.



მაშო ჩიუხაშვილი
(ს. ანაგიდან, სიღნაღის მაზრა)

მიუხედავად ამისა, შინა-მრეწველობას არც სახელმწიფო ორგანოებს და არც კოოპერაციის მხრივ სათანადო ყურადღება არა აქვს მიქცეული. ამიერიდან აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული ზომები შინამრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის საქმის მოსაგვარებლად, მის წარმოებათა გასაუმჯობესებლად და მისთვის კრედიტის მისაწოდებლად. პირველ ყოვლისა კი საჭიროა ჩვენი შინა-მრეწველობა ჩადგეს ერთგვარ ორგანიზაციულ ფარგლებში, საჭიროა მისი გაერთიანება კოოპერატიულ ნიადაგზე. მართალია, თბილისში არსებობს შინა-მრეწველობის კომიტეტი, მაგრამ იგი მთავარ ყურადღებას აქცევს მხოლოდ ქალაქის წვრილ ხელოსნებს და სრულიად განზე აქვს დატოვებული სასოფლო შინა-მრეწველობა. ამ ნაკლის გამოსწორებას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

ამხ. ნასარიძე

ორატორი ეხება იმავე საკითხს, რომელსაც შეეხო ამხ. რუხაძე. ამჟამად შინა-მრეწველობის ხელოსანთა საზოგადოება და შინა-მრეწველთა კოოპერატიული კავშირი ექვემდებარება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომლის ხელმძღვანელობა მან იკისრა გასულ წლის აგვისტოდან. თუ რა გაკეთებულა ამ ორგანიზაციების სასარგებლოდ ს. მ. უ. საბჭოს მიერ, მომხსენებელს არაფერი უთქვამს. გასაკეთებელი კი ბევრი რამ არის, მაგ. ნედლი მასალის მიწოდება შინა-მრეწველთათვის, პროდუქციის გასაღების მოგვარება, კრედიტების მიცემა და სხ. განსაკუთრებით მეტად უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან გაბნეული ერთეული ხელოსნები, რომელთაც არც ერთი სახელმწიფოებრივი, არც ადგილობრივი ორგანო არ აქცევენ არავითარ ყურადღებას.

არავინ არ ზრუნავს, რომ ამ ერთეულ შინამრეწველებს, რომელთა რიცხვი რესპუბლიკაში 10 ათასს აღწევს, მიეცეთ სახელმწიფო კანონით გათვალისწინებული უფლებები. ორატორს გადაუდებელ საჭიროებათ მიაჩნია შინა-მრეწველთა და ცალკე ხელოსანთა გაერთიანება, როგორც მაზრების, ისე რესპუბლიკის მასშტაბით, და მათ შორის შემდეგი ხასიათის მუშაობის წარმოება: ორგანიზაციული, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, მათთვის იურიდიული რჩევა-დარიგების, საექიმო დახმარების აღმოჩენა და სხვა.

ამხ. ხომასურიძე

ორატორი ეხება პროფტეხნიკური განათლების და კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების საკითხს. მას არ აკმაყოფილებს ამჟამად ჩვენში შემოღებული პროფტეხნიკური განათლება, რომელიც, მისი აზრით, არ შეეფერება ჩვენი მრეწველობის განვითარებას. უფრო ხელსაყრელად და სასარგებლოდ მიაჩნია მას საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობა. ხშირად საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში იზრდება მუშა-ხელი ისეთი მრეწველობისათვის, რომელსაც ჩვენში მომავალი არა აქვს. ხოლო იმ მრეწველობის მუშების მომზადებას, რომლის განვითარებაც ახლო მომავალში მოსალოდნელია, ნაკლები ყურადღება ექცევა. კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების დარგში კარგ შედეგს იძლევა საბრიგადო შეგირდობა. მუშათა მომზადების ამ მეთოდმა პოლიგრაფიულ წარმოებაში და რკინისგზაზე გვიჩვენა, რომ იგი იაფიც ჯდება და ამავე დროს ხელსაყრელიც არის. თუმც საბრიგადო შეგირდობის გატარებას წარმოებებში ხშირად ეწინააღმდეგებიან სამეურნეო ორგანოები. შემდეგ ორატორი ეხება მუშა-ახალგაზრდობის ხელფასის საკითხს და ამტკიცებს, რომ, მიუხედავად ხელფასის ზრდისა, იგი მაინც პროცენტულად ძალიან ჩამორჩება მოზრდილ მუშათა ხელფასს და ნაკლებია მეზობელ რესპუბლიკების მუშა-ახალგაზრდობის ხელფასზე. ჩერდება რა ახალგაზრდობისათვის ადგილების განსაზღვრული რაოდენობის მიცემაზე მრეწველობაში (ე. წ. ჯავშანი), ორატორი აღნიშნავს, რომ სამეურნეო ორგანიზაციები ჯავშანს უყურებენ, როგორც ახალგაზრდობის შორის უმუშევრობასთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას, რაც მართებული არ არის. ახალგაზრდობის „ჯავშანი“ სრული ასი პროცენტით ყველგან არ არის გატარებული. საჭიროა სამეურნეო ორგანიზაციებმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ, საჭიროა ახალგაზრდობის „ჯავშანს“ უყურებდენ არა როგორც უმუშევრობასთან ბრძოლის საშუალებას, არამედ იმ მარქაფა კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების ფორმას, რომელმაც უნდა შეავსოს ჩვენი მრეწველობის სხვადასხვა დარგები.

მარელისის და ბორჯომის მუშათა წარმომადგენლობის მისალმება ყრილობისადმი

იმ დროს, როდესაც ამხ. ავაქოვი იწყებს უკვე დამთავრებულ ახალ წარმოებათა მიმოხილვას, კერძოთ როცა იგი ეხება მარელისის გრეხილი-ავეჯეულობის ფაბრიკას და ბორჯომის საკასრე ქარხანას, სცენაზე გამოდიან ამ წარმოების მუშათა წარმომადგენლები და გამოაქვთ თავიანთი პროდუქციის პირველი ნიმუშები,—მარელისის ფაბრიკის წარმომადგენელს—12 ვენური სკამი და საკასრე ქარხნის წარმომადგენელს რამოდენიმე ცალი კასრი. სიტყვას მისალმებისთვის ღებულობს

ამხ. ლურსმანაშვილი

მარელისის ავეჯეულობის ფაბრიკის მუშების სახელით მივესალმები საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობას და მივულოცავ თორმეტ ცალ სკამს. ამხანაგებო, იქ, სადაც წინათ მხოლოდ ტურებისა და მელების მეტი არაფერი ბუდობდა, ეხლა აშენებულია ვეებერთელა ქარხანა, სადაც საუკეთესო სკამი მზადდება. ეს მიღწევა ჩვენი მთავრობის არის დამამტკიცებელი ,რომ საბჭოთა ხელისუფლება ზრუნავს ჩვენი მუშებისა და გლეხების სასარგებლოდ. ხარაგოულის რაიონი, რომელშიდაც შედის მარელისის ფაბრიკა, წარმოების მხრით ძალიან ჩამორჩენილი კუთხე იყო. მთავრობას რომ ეს ქარხანა არ აეშენებია, ჩვენი გლეხობა მუდამ სამუშაოს მაძებარი უნდა ყოფილიყო სადმე უცხო კუთხეში.

გაუმარჯოს საბჭოთა მეოთხე ყრილობას! გაუმარჯოს საბჭოთა ძალა-უფლებას მთელს მსოფლიოში. (ტაში)

ამხ. ფიფინაძე

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ ბორჯომის საკასრე ქარხნის სახელით მივესალმო საბჭოთა მეოთხე ყრილობას, იმ ქარხნის სახელით, რომელიც ააგო საქართველოს სატყეო ტრესტმა. საზღვარ-გარეთელმა ბურჟუებმა დაგვცინეს, როდესაც გაიგეს, რომ ჩვენ ვაპირებდით საკასრე ქარხნის აგებას. სად ბორჯომ-საქართველო და სად საკასრე ქარხანაო? მაგრამ ჩვენ შევსძელით ისეთი ქარხნის აგება, რომლის მზგავსი მათ ნაკლებათ მოეპოვებათ, რომ დარწმუნდეთ შეადარეთ ჩვენი ნამუშევარი მათ ნამუშევარს!

ორატორი უჩვენებს ბორჯომის საკასრე ქარხნის ნიმუშს და აგრეთვე საზღვარგარეთელი საკასრე ქარხნის ნაწარმოების ნიმუშსაც), როგორც ვხედავთ, ჩვენი ნაწარმოები სჯობია, როგორც სისქით, ისე სიმჩატით და სილამაზის მხრითაც. მაშ გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, რომლის მეთაურობითაც არის მოწყობილი ეს ქარხანა და რომელმაც დაანახვა მთელს ქვეყანას, რომ ჩვენ მუშებს შეგვძლებია საქმის გაკეთება.

სხდომის დასასრულ ყრილობას ესალმება აგრეთვე დიდი გლდანის ქალთა წრის წარმომადგენელი ამხ. სიდო მგალობლიშვილი.



ყრილობის დელეგატები (მარცხნიდან მარჯვნივ); ამხ. მიშა ჩიტორელიძე (ქუთაისის მაზრა — სვირის რაიონი), ამხ. ათანასე კოსტოვი (თბილისის მაზრა — თრიალეთის თემი), ამხ. ნიკიფორე შველიძე (შორაპნის მაზრა).



ყრილობის დელეგატები: (მარცხნიდან მარჯვნივ: ამხ. მოსკანიანი (სოფ. კორხაზიდან, ახალქალაქის მაზრა), ამხ. დარბინიანი (ახალქალაქის მაზრა), ამხ. არუთინიანი (სოფ. სულდიდან, ახალქალაქის მაზრა), ამხ. ბუბუური (სოფ. ვერხის მინდორიდან, სიღნაღის მაზრა). ამხ. კუზენკოვი (ქ. ახალციხიდან), ამხ. ხორენ ფანაჯიანი (ახალქალაქის მაზრა).

მეცხრე სხდომა

პირველ აპრილის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ავაქოვის მოხსენების გარშემო.

ამხ. ოგანოვი
(თბილისი)

უსაყვედურებს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომ მადნეულის და ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოკვლევის დარგში არ სწარმოებს ინტენსიური მუშაობა. შემდეგ ორატორი ეხება თამბაქოს მრეწველობის საკითხებს და აღნიშნავს, რომ თამბაქოს პლანტაციების მოედანი თანდათან ფართოვდება, ხოლო დამუშავებულ ფაბრიკატის გასაღების საქმე ვერ არის სათანადოთ მოგვარებული.



ამხ. შალვა ფიფინაძე
(ბორჯომის საკასრე ქარხნის მუშა)

ამხ. დვალი
(სვანეთი)

ეხება სატყეო მრეწველობას და აღნიშნავს, რომ ეს საქმე ვერ არის სათანადოთ მოგვარებული. თუ ტყეების დამუშავება, ამბობს ორატორი, არ იწარმოებს გეგმიანად, რამოდენიმე წლის შემდეგ ჩვენ სრულებით აღარ გვექნება ტყე. ეხება რა სატყეო ტრესტის მოღვაწეობას, ორატორი აღნიშნავს, რომ ტრესტი ვერ აწარმოებს ხე-ტყის დამუშავებას სვანეთში წესიერად, რის გამო სვანეთის ტყეები ნადგურდება. ორატორი მოითხოვს, რათა სვანეთის ტყეების დამუშავების უფლება გადაეცეს ადგილობრივ აღმასკომს. ორატორი მიუთითებს აგრეთვე, რომ სვანეთი მდიდარია სხვადასხვა მადნეულით, მაგრამ ამ მადნეულის გამოკვლევა არ სწარმოებს. ამ უკანასკნელ ხანებში იქ უბრალო მეცხვარეების მიერ აღმოჩენილია რადიოაქტიური მადნები. ისეთი მადანი კი, როგორიც არის გვარჯილა, ხელიტრა აზბესტი და სხვა სვანეთში ბლომად მოიპოვება. ამ მადნების გამოკვლევას და შესწავლას სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს.

ამხ. კაკაურიძე
(ტყიბული)

ეხება მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას და აღნიშნავს ზოგიერთ დეფექტებს ამ დარგში. ეხება რა საწარმოო თათბირების მუშაობას, ორატორი აღნიშნავს, რომ ამ თათბირებს უნდა ესწრებოდენ პასუხისმგებელი, პროფესიონალური და სამეურნეო მუშაკები, დასასრულ ორატორი მიუთითებს ზოგიერთ ნაკლზე ტყიბულის მაღაროებში და მოითხოვს მათ გამოსწორებას.

ამხ. მოძღვრიშვილი
(კულაში)

ამხანაგებო, ნება მომეცით ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ ქართველ ებრაელთა შესახებ. სანამ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდებოდა, ჩვენ მეტად ჩამორჩენილები ვიყავით. ამჟამად კი იგივე სინათლეზე გამოვედით და მთელ მშრომელ ხალხთან ერთად თანაბრად ვიღებთ მონაწილეობას ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ამ ექვსი წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ ბევრი რამ გააკეთა ჩვენთვის.—ჩვენი რაიონი გაიწმინდა ბურჟუაზიული ელემენტებისაგან. მშრომელ ებრაელებს საშუალება მიეცათ თავი დაეხსნათ მათგან. ჩვენი ბავშვები სწავლობენ სკოლებში, იღებენ განათლებას და ამრიგად ჩვენც ვებმებით საერთო ფერხულში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით უფრო სწრაფი ნაბიჯებით წავალთ წინ საქართველოს მშრომელ მასებთან ერთად.

ამხ. ა. მახარაძე
(თბილისი)

მე მინდა შევეხო ლითონის მრეწველობას, რადგან თვით მიხდება ამ დარგში მუშაობა. ყველასათვის ცხადია ის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ლითონის მრეწველობას ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენში ეს მრეწველობა ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. მიზეზი ის არის, რომ მას არა აქვს სათანადო რაოდენობით საბრუნავი თანხები, რის გამო არ შეუძლია გაშალოს მუშაობა, აიღოს შეკვეთები და თავის დროზე ჩააბაროს ისინი. ლითონის მრეწველობას უნდა გრძელვადიანი სესხი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ შესძლებს წელში გამართვას. ორატორი აღნიშნავს აგრეთვე, რომ ლითონის ტრესტში ზედმეტად გადიდებულია ადმინისტრატიული პერსონალის შტატი, რაც ზედმეტ ხარჯათ ედება პროდუქციას. ყოვლად შეუძლებელია, აცხადებს ორატორი, ნაწარმოების გაიაფება, თუ არ იქნა დაწეული ეს ზედნადები ხარჯები.

ამხ. ჯავახიძე
(კომკავშირიდან)

ორატორი ეხება კვალიფიციურ მუშა ძალის და ტეხნიკურ ძალთა მომზადების საკითხს. ის უსაყვედურებს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომ ეს უკანასკნელი ამ მხრივ ერთგვარ კონსერვატიზმს იჩენს. სამეურნეო მუშაკები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ახალ კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადებას.



ყრილობის დელეგატები (მარცხნიდან მარჯვნივ): ამხ. მოსე პაპალაშვილი (სოფ. ტიბანიდან, სიღნაღის მაზრა), ამხ. ვახტანგ ჯაში (სატრანსპორტო დაოგის მუშა ფოთიდან), ამხ. სამსონ ქანდარია (ლეძაძამეს თემი, სენაკის მაზრა).

ორატორი მოითხოვს, რომ ამ მხრივ მუშაობა სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ შეაფარდოს განათლების კომისარიატს.

საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლების მუშაობითაც არ არიან დაინტერესებული სამეურნეო მუშაკები. ეს მდგომარეობა მომავალში უნდა გამოსწორდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მრეწველობა, რომელიც ზრდისა და გაფართოების გზაზე სდგას, მომავალში დადგება კვალიფიციურ მუშა-ძალის სიმცირის წინაშე.

ამხ. მაჩაიძე
(თბილისი)

აღნიშნავს, რომ საქართველოში ყურადღება უნდა მიექცეს სამთამადნო და ლითონის მრეწველობის განვითარებას. ჩათახის რაიონის გამოკვლევა დამთავრებულ იქნეს დაჩქარებით და ხელი უნდა მოვკიდოთ იქ ლითონის მრეწველობის განვითარებას. ეხება რა შემდეგ ახალი ქარხნების აგების საკითხს, ორატორი აღნიშნავს, რომ ამ ქარხნების აგების დროს დაშვებულ იქნა ზოგიერთი შეცდომები, რასაც მომავალში ადგილი არ უნდა ექნეს. კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების შესახებ ამხანაგი ეთანხმება წინა ორატორს და აღნიშნავს, რომ საფაბრიკო-საქარხნო სკოლები ვერ აძლევენ ახალგაზრდობას სათანადო პრაქტიკულ და თეორეტიულ კვალიფიკაციას. ეხება რა სამუშაო დროის გაცდენის საკითხს, ორატორი აღნიშნავს, რომ ამ მხრივ ბრალს ვერ დავდებთ მუშებს. სამუშაო დროის გაცდენაში დამნაშავე არის თვით წარმოება, რომელიც ვერ იმარაგებს სათანადო სამუშაო იარაღებს და ნედლ მასალას. დასასრულ ორატორი ფიქრობს, რომ ტრესტებთან არსებულ სარევიზიო კომისიების მაგიერ დაარსებულ უნდა იქნენ ჯგუფური სარევიზიო კომისიები. რაც შეეხება საწარმოო თათბირებს, საჭირო არის სამეურნეო მუშაკებმა მეტი ანგარიში გაუწიონ მათ და მუშების წინადადებები გაატარონ ცხოვრებაში. ის წინადადება, რომელთა გადაჭრა რაიმე მიზეზის გამო შეუძლებელია, უნდა დასმულ იქნეს საწარმოო თათბირზე და მუშებს უნდა მიეცეთ განმარტება იმ მიზეზების შესახებ, რომლებიც ხელს უშლიან ამ წინადადებათა გატარებას. დასასრულ ორატორი ჩერდება აპარატის რაციონალიზაციის საკითხზე და მიუთითებს, რომ ჩვენი აპარატი გაწმენდისა და გაჯანსაღების მაგიერ ზოგჯერ უფრო უარესდება. ასე, მაგალითად, ლითონტრესტში, სანამ მოხდებოდა ქარხნების შეჯგუფება, მუშაობდა 86 კაცი, ხოლო ამჟამად კი 64 კაცია. აპარატის ასეთი „გაჯანსაღება“, რა თქმა უნდა, მიუღებელია.

ამხ. ბახარია
(ზუგდიდის მაზრა)

უსაყვედურებს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომ ზუგდიდის მაზრაში სამრეწველო აღმშენებლობა ვერ მიმდინარეობს სასურველი ტემპით. ორატორის აზრით, შესაძლებელია ინგურზე აგებულ იქნეს ჰიდრო-ელსადგური. გარდა ამისა, ზუგდიდის მაზრაში უნდა აშენდეს აბრეშუმის ქარხნებიც. ზუგდიდის მაზრაში გასულ წელს 22 ათასი ფუთი პარკი იყო. ორატორი მოითხოვს აგრეთვე, რათა ზუგდიდის მაზრაში აგებულ იქნეს კანაფის დასამუშავებელი ქარხანა.

ამხ. ბასარია
(აფხაზეთი)

ესალმება ყრილობას აფხაზეთის გლეხების სახელით და აღნიშნავს, რომ ის წერა-კითხვის უცოდინარი გლეხი პირველად გამოდის ასეთ ყრილობაზე. ეს იმის მაჩვენებელია, რომ საბჭოთა ხელისუფლება მშრომელთა ხელისუფლება არის. ამ ექვსი წლის განმავლობაში ბევრი მიღწევები არის მთელ საქართველოში და კერძოთ აფხაზეთში, მაგრამ არის ზოგიერთი ნაკლი. აფხაზეთში, მაგალითად, სასკოლო აღმშენებლობა ვერ სწარმოებს საჭირო ტემპით, მიუხედავად იმისა, რომ გლეხებს დიდი სურვილი აქვთ მასში უშუალო მონაწილეობა მიიღონ. დასასრულ ორატორი ეხება ეროვნულ საკითხს და კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ დაამყარა სრული ეროვნული მშვიდობიანობა და ძმობა. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას,—ამთავრებს ორატორი თავის სიტყვას დარბაზის მხურვალე ტაშის ქვეშ.

ამხ. უ. ჯაში
(თბილისი)

ორატორი ეხება პოლიგრაფ-მრეწველობას და აღნიშნავს, რომ სტამბები დაქსაქსულია სხვადასხვა უწყებების შორის, რაც ცუდ გავლენას ახდენს პოლიგრაფიულ მრეწველობის განვითარების საქმეზე. სტამბები მთლიანად უნდა იქნეს ერთი დაწესებულების ხელში, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი პოლიგრაფიულ მრეწველობის ნორმალური განვითარება. ორატორი ეხება აგრეთვე იმას, რომ ცუდათ არის დაყენებული სტამბებში კორექტურის საქმე. ეს გარემოება გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უნდა მიექცეს ამ გარემოებისთვის ყურადღება და ის კურსები, რომლებიც დღეს იხსნება კორექტორებისათვის, ცოტა უფრო ადრე უნდა გახსნილიყო. ეხება რა კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების საკითხს, ორატორი მიუთითებს, რომ საჭირო არის ზოგიერთ მუშების გაგზავნა სასწავლად საზღვარგარეთ ქარხნებში, სადაც ისინი შეისწავლიან ახალ მანქანებზე მუშაობას და დაბრუნდებიან ჩვენში. ეს საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ საზღვარგარეთიდან სპეციალისტების მოწვევა, რაც საკმაოდ დიდი თანხა ჯდება. დასასრულ ორატორი ლაპარაკობს პოლიგრაფიულ ქვის დამუშავების შესახებ და მოითხოვს, რომ ამ საქმეს მეტი ყურადღება მიექცეს.

ამხ. კალმახელიძე
(გორი)

ეხება გორის მაზრის საჭირბოროტო საკითხებს. ის მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ გორის მაზრა და თვით ქალაქი გორი დაზიანა მიწისძვრამ 1920 წელს. ამ ექვსი წლის განმავლობაში მაზრის მოსახლეობა ცოტა თუ ბევრად ჰოლონიერდა ეკონომიურად და ეწევა აღმშენებლობას, მაგრამ მაზრაში არ მოიპოვება არც ერთი ისეთი წამოწყება, რომელიც მისცემს სააღმშენებლო მასალას დანგრეულ რაიონებს. სამაზრო აღმასკომს აქვს განზრახვა მოაწყოს აგურ-ქარხანა გორში და ხაშურში. ამხ. ავაქოვს ამის შესახებ არაფერი უთქვამს. ორატორი სთხოვს სახალხო მეურნეობის საბჭოს, რათა ამ ქარხნების აგება შეტანილ იქნეს გეგმაში და საამისოდ გაცემულ იქნას კრედიტები. ორატორს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე გორის მაზრაში თხილის სახეხი ქარხნების აგება, რადგან მაზრის გლეხობა ვერ ასაღებს ხილეულობას და ზარალობს. ორატორი აღნიშნავს შემდეგ, რომ გორში არ არის წყალსადენი და მოითხოვს, რათა სათანადო ორგანოები დაეხმარონ ქალაქს და მისცენ მათ გრძელვადიანი კრედიტი წყალსადენის გამოსაყვანად. დასასრულ ის მოითხოვს, რათა სურამში, სადაც აღმოჩენილია სათანადო მასალა, აგებულ იქნეს შუშის ქარხანა.

ამხ. ჯინჭარაძე
(აჭარისტანი)

მე არ ვილაპარაკებ იმ დადებით მხარეებზე რომლებიც ჩვენ გვაქვს. ავღნიშნავ მხოლოდ ზოგიერთ ნაკლს. ზოგჯერ ჩვენ ვერ ვაწარმოებთ გეგმიან მუშაობას. ავიღოთ, მაგალითად, გურიის ნავთი;ამ ნავთის გამოკვლევის მუშაობა ერთხანს შეფერხდა იმის გამო, რომ საჭირო მანქანები ვერ გადაიტანეს გამოკვლევის ადგილზე უგზოობის მიზეზით. ასეთ შეცდომებს მომავალში არ უნდა ჰქონდეს ადგილი. შემდეგ ორატორი ჩერდება აჭარისტანის მრეწველობის საკითხებზე. აჭარისტანში არის ქიმიური ქარხანა და აგრეთვე სატყეო მრეწველობა. ჩვენ გვაქვს აგრეთვე სატყეო მრეწველობა. რაც შეეხება ქიმიურ ქარხანას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქარხანას არა აქვს საბრუნავი თანხები და მას სჭირია დახმარება. შემდეგ ორატორი ჩერდება ბათომის კეთილმოწყობის საკითხზე და მიუთითებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ იქ ძალიან დიდია და მწვავე საფინანსო კრიზისი. გარდა ამისა, ბათომში მწვავედ სდგას ბინის საკითხი. ამის გამო საბინაო მშენებლობას ამ ქალაქში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ამხ. გიგაური
(აფხაზეთი)

აქ გამოსული ამხანაგები მიუთითებდენ იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომლებიც მათ აწუხებთ ადგილობრივ. ასეთი საკითხები ჩვენც გვაქვს აფხაზეთში. უკვე არა ერთი და ორი წელია, რაც გვესმის, რომ გაჭყავთ რკინისგზა, სწარმოებს ტყვარჩელის ქვა-ნახშირის გამოკვლევა, სახერხი ქარხნების აგება და სხ. მაგრამ მუშაობა ამ მიმართულებით ნელი ტემპით მიმდინარეობს. საჭირო არის მეტი დაჩქარება. შემდეგ ორატორი ჩერდება ბიუჯეტის საკითხებზე.

ამხ. ავაქოვის საბოლოო სიტყვა

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ ჩვენ გვაქვს ბევრი მიღწევები, მაგრამ ამასთანავე ერთად ნაკლიც საკმაოდ არის. ეს სავსებით მართალი არის, მაგრამ არ არიან მართალი ის ამხანაგები, რომლებიც ამტკიცებენ თითქოს მთელი მეურნეობის განვითარების ტემპი უფრო სუსტი იყოს, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში. მე უკვე ავღნიშნე, ამხანაგებო, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ე. ი. 1925-26 წელს და მომავალ 26-27 წელში ჩვენ უნდა დავხარჯოთ სამეურნეო აღმშენებლობისათვის ათი მილიონი მანეთი. ეს თანხა გაცილებით აღემატება წარმოებათა არსებულ მოწყობილების ღირებულებას, რომელიც, როგორც უკვე ვსთქვით, 1924-25 წლის პირველი ოქტომბრისათვის 6 მილიონ მანეთს შეადგენდა. ამრიგად, თუ კი ჩვენ ორი წლის განმავლობაში ვხარჯავთ თითქმის ერთნახევარზე მეტს, ვიდრე არსებული მრეწველობის ღირებულება შეადგენს, განა შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მეურნეობის განვითარება ნელი ტემპით მიმდინარეობს..

ამასთანავე ერთად არ უნდა დავივიწყოთ მეორე გარემოებაც. ჩვენი საწარმოო აღმშენებლობის დროს ანგარიში უნდა გავუწიოთ მთელი მეურნეობის განვითარებას. საჭირო და აუცილებელი არის, რომ მრეწველობასთან ერთად, რომელსაც ასეთ დიდ ყურადღებას ვაქცევთ თანაბრად ვითარდებოდეს სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიც, როგორიც არის სასოფლო მეურნეობა, საგზაო აღმშენებლობა და სხვა. იქ, მაგალითად, სადაც ცუდათ არის განვითარებული გზები, შეუძლებელია ფიქრი ფაბრიკა - ქარხნების აშენებაზე. ამიტომ, როდესაც ჩვენ გვიხდება საკითხის გადაწყვეტა იმის შესახებ, თუ სად უნდა იქნეს აგებული ესა თუ ის ქარხანა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ეს პირობები. ზოგჯერ კი ადგილობრივი მუშაკები ამას ანგარიშს არ უწევენ. კუთხური პატრიოტიზმის გამო ისინი ზოგჯერ მოითხოვენ ისეთ რამეს, რაც არსებულ ობიექტიური პირობებში არ განხორციელდება. მაგალითისათვის დავასახელებ აბრეშუმის ქარხანას, რომელიც უნდა აგებულიყო ოზურგეთის მაზრაში. როდესაც დაისვა ეს საკითხი, ჩოხატაურელმა ამხანაგებმა მოითხოვეს, რომ ქარხანა ჩოხატაურში ყოფილიყო აგებული. ჩვენ მივუთითეთ, რომ ჩოხატაურში არ არის გზა, რომ იქ ძნელი იქნება ქვა-ნახშირის, მანქანების და ნედლეულის მიტანა. ამის გამო ქარხნის ექსპლოატაცია და მისი აგება გაცილებით უფრო ძვირი დაჯდებოდა ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ამ ქარხანას ოზურგეთში ავაგებდით. ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. აქ გვისაყვედურეს ზუგდიდელმა ამხანაგებმა, რომ იქ არ შენდება აბრეშუმის ქარხანა, რომ ინგურზე არ იგება ჰიდროელსადგური და სხვ.

ორი წლის განმავლობაში ყველა მაზრების დაკმაყოფილება შეუძლებელია.ეს ერთის მხრივ. მეორე მხრივ — უნდა მიღებულ იქნას მხედველობაში ჰიდროელსადგურის ან ქარხნების აგების მიზანშეწონილობა. რაში უნდა გამოვიყენოთ, მაგალითად, ჰიდროსადგური ინგურზე. თუ ჩვენ ვამბობთ, რომ მიმდინარე წელს უნდა დავიწყოთ დიდი ჰიდროელსადგურის შენება ქუთაისის ახლოს, ეს იმიტომ, რომ ეს სადგური საჭირო არის ამიერ-კავკასიის რკინისგზების დასავლეთ ხაზისათვის, ჭიათურის მარგანეცის სამრეწველო რაიონისათვის და ქაღალდის ფაბრიკისათვის. ეს სადგური საკმაოდ იქნება დატვირთული. რით უნდა დავტვირთოთ ინგურის სადგური. რასაკვირველია, ჩვენ ვერ ავაშენებთ სადგურებს დიდს, სადაც მათი გამოყენების საშუალება ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ასევე ითქმის ტაპარავანის (ახალქალაქის მაზრა) შესახებაც.

რაც შეეხება კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების საკითხს, სავსებით მართალი არიან ამხანაგები, რომლებიც ამბობენ, რომ ეს საქმე ფრიად მოიკოჭლებს. ამ საქმეს უთუოდ მეტი ყურადღება სჭირდება. აქ განაცხადეს თითქოს მოზარდ მოწაფე მუშებს ხელფასი არ ემატებოდეს, ეს განცხადება არ არის მართალი. მოწაფეები მუშაობენ ნარდად და, გარდა იმისა, რომ იღებენ ხელფასს მტკიცე განაკვეთით, ზედმეტსაც აკეთებენ.

შემდეგი საკითხი ადგილობრივი შინა-მრეწველობის შესახებ. ეს შინა-მრეწველობა გაერთიანებულ უნდა იქნეს შინა-მრეწველურ კოოპერაციაში, მაგრამ ეს გაერთიანება ისე უნდა მოხდეს, რომ ამ კოოპერაციაში არ შეძვრენ კერძო ვაჭრები და კულაკები. ორიოდე სიტყვა მადნეულობის შესახებ. ამ საკითხს შეეხო ამხ. დვალი. მართალია, რაჭაში და საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში თქვენ იპოვით ამა თუ იმ მადანს, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის და რა ხარისხის არის ეს მადანი. ამიტომ ჩვენ ეხლა გვიხდება ამ საქმის შესწავლა და იმის გამორკვევა, თუ რამდენად სამრეწველო მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ მადნეულს, რაც შეეხება ალგეთის ლითოგრაფიულ ქვას, უნდა ითქვას, რომ გამოცდის შემდეგ ეს ქვა კარგი ხარისხის აღმოჩნდა და ჩვენ უკვე შევუდექით მის დამუშავებას.

ეხლა გურიის ნავთის შესახებ. ერთ-ერთი ამხანაგი ლაპარაკობდა აქ, რომ თითქოს იქ არ სწარმოებს გეგმიანი მუშაობა. მაგალითისათვის სთქვა, რომ მანქანების გადატანამ საქმე შეაფერხაო. რასაკვირველია, ეს ამხანაგი ვერ უდგება საკითხს სწორად. გზების გაყვანაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოირკვევა, არის თუ არა ნავთი. სანამ ეს საკითხი გარკვეული არ არის, განა გეგმიანი იქნება აუარებელ თანხების დახარჯვა გზის გასაყვანად? რასაკვირველია არა. ჩვენ ჯერ გამოვარკვევთ, არის თუ არა ნავთი და თუ აღმოჩნდა, რომ ნავთი მოიპოვება, მაშინ უბრალო გზებს კი არა, რკინის გზასაც გავიყვანთ.

რაც შეეხება ლითონის მრეწველობას, მე უკვე ავღნიშნე, რომ ამ დარგის განვითარებისათვის საჭიროა ნედლი მასალის ბაზა. ჯერ გამორკვეული არ არის, გვაქვს თუ არა ასეთი ბაზა ჩვენ ჩათახში, როდესაც ეს საკითხი გამოირკვევა, მაშინ დადგება საკითხი მექანიკური ქარხნების აგების შესახებ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გამოკვლევა დადებით შედეგებს მოგვცემს. ამ შემთხვევაში ჩვენ განზრახვა გვაქვს ავაგოთ დიდი მექანიკური ქარხანა დიდუბის რაიონში.

დასასრულ უნდა შევჩერდე სარევიზიო კომისიებზე. გასაკვირველი იქნებოდა, რომ საყვედური ტრესტებთან არსებულ სარევიზიო კომისიების გაუქმების შესახებ ვინმეს სხვას ეთქვა და არა ამხ. მაჩაიძეს. თუ ჩვენ გავაუქმებთ ცალკე ტრესტებთან სარევიზიო კომისიებს, ეს რასაკვირველია არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენ გვინდა ტრესტების კონტროლის გარეშე დაყენება. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ კონტროლის საქმე უფრო ფართოდ დავაყენოთ. ჩვენ გვგონია, რომ კონტროლის საქმე უნდა გადაეცეს თვით საწარმოო თათბირებს. ამიტომ მაკვირვებს მე ამხ. მაჩაიძის გამოსვლა. ჩვენ ამჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ საწარმოო თათბირებს, რომელმაც აქამდე ვერ ვაქცევდით სათანადო ყურადღებას, რის გამო მათი მუშაობა შესაფერისად ვერ სწარმოებდა. საწარმოო თათბირებმა არა მარტო კონტროლი უნდა გაუწიონ წარმოებას, არამედ იმ მუშებმა, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ საწარმოო თათბირებში, უშუალოდ უნდა აღმოფხვრან თვალსაჩინო შეცდომები, რომლებიც შეიძლება დაშვებულ იქნეს სამეურნეო მუშაკების მიერ. საწარმოო თათბირები ჩვენ გვჭირდება არა მარტო, როგორც საკონტროლო ორგანოები, მათ დიდი დახმარება უნდა გაგვიწიონ, როგორც სკოლამ, რომელიც მოამზადებს სამეურნეო მუშაკების და ადმინისტრატორების ახალ კადრებს.

ამხანაგ ავაქოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ აირჩია 25 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა რეზოლიუციის შემუშავება მოხსენების შესახებ.

მისალმებები ყრილობას

ხიდისთავიდან

საბჭოს გაფართოებული სხდომა გესალმებათ თქვენ საქართველოს მშრომელთა მასის ავანგარდს ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ ყველა ის საკითხები, რომლებიც სდგას დღის წესრიგში და უაღრესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ სახელმწიფო მშენებლობაში — გადაჭრილი იქნება მშრომელთა საკეთილდღეოთ. ჩვენი თემის საბჭოს მშრომელი გლეხობის სახელით ფიცს ვსდებთ თქვენს წინაშე, რომ ეს მტკიცე და ენერგიულ თანამშრომლობას გაუწევს თქვენთან ერთად საერთო საქმიანობაში.

აღმასკომის თავმჯდომარე შალვა კუტუბიძე.

თელავიდან

თელავის მაზრის იუსტიციის მუშაკთა თათბირი მხურვალეთ გესალმებათ და გისურვებთ სრულ გამარჯვებას. ჩვენის მხრივ პირობასა ვსდებთ პირნათლად შევასრულოთ თქვენი დავალება კანონმდებლობის დარგში.

თავმჯდომარე ბერძნიშვილი.

საოლქო სასამართლოსა და საოლქო პროკურატურას შესახებ

(წინადადების წესით)

მაზრებზე ხელმძღვანელობის საკითხი არა ერთხელ გაშუქებულა, როგორც ერთ-ერთი უდიდესი საკითხთაგანი, არა ერთხელ ყოფილა სათანადო მითითებანიც. ცენტრალური ორგანოების ხელმძღვანელობა, მაზრებზე უზრუნველყოფილია, მაგრამ კიდევ დაგვრჩენია ერთი მნიშვნელოვანი დარგი, როგორიც არის იუსტიცია, რომლის ცენტრალური ორგანოს ხელმძღვანელობა მოისუსტებს. აქ ბრალი მიუძღვის უფრო არა იუსტიციის ხელმძღვანელებს, არამედ დაბრკოლებას წარმოადგენს ჩვენში არსებული სისტემა. სასამართლოს დარგში, ჩვენ გვაქვს: 1) რაიონი (ან უბანი), 2) მაზრა, 3) ოლქი და 4) რესპუბლიკა, ასეთი საფეხურები ასუსტებს ცენტრის ხელმძღვანელობას მაზრებში, იმ დროს როდესაც გაორკეცებით საჭიროა იუსტიციის უმაღლესი ორგანოების მეთვალყურეობა რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცების მიზნით. მაგრამ სამწუხაროდ ამ მეთვალყურეობა-ხელმძღვანელობას ადგილებზე ვერც ცენტრი ატარებს და ვერც სამაზრო ორგანო იმიტომ, რომ აქ შუაშია „გაჩხირული“ ოლქი, რომელიც ხელს უშლის რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოებს უხელმძღვანელონ მაზრას, ხოლო მაზრასაც უსპობს საშუალებას ხელმძღვანელობა გაუწიოს რაიონებს. ეს იმიტომ, რომ მაზრაში შემავალ რაიონული სახალხო მოსამართლეები, გამომძიებლები და აღმასრულებლები ემორჩილებიან საოლქო სასამართლოს და მის პროკურატურას, რაც შეეხება მაზრას მას ხელმძღვანელობის უფლება არა აქვს, ასეთი მდგომარეობა შეუძლებელია და მიუღებელია. მაზრა უნდა გრძნობდეს ცენტრის ხელმძღვანელობას, აქედან თავის თავად ცხადია ის იგრძნობს პასუხისმგებლობასაც, მაზრაში შემავალი რაიონები და უბნები უნდა გრძნობდენ მაზრის ხელმძღვანელობას და აქედან პასუხისმგებლობასაც, მაგრამ არც ერთია და არც მეორე; ეს—რაც შეეხება ხელმძღვანელობა-მეთვალყურეობას.

ეხლა შევეხოთ თვით საქმეების გარჩევის საკითხს.

დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს სამოქმედო რაიონში შედის ცხრა მაზრა, რომლებშიაც დაგროვილია უამრავი საქმეები, ცხრა მაზრას ერთი სასამართლო ვერ წვდება და ხდება საქმეების თვეობით გადადება, რაც ჩირქს სცხებს რევოლიუციონურ კანონიერების განმტკიცებას მშრომელთა ფართე მასებში. თუ მაგალითად კოოპერატივის წევრები გლეხები და მუშები ხედავენ, რომ მათი კოოპერატივის გამფლანგველის საქმე დიდი ხნით არ ირჩევა (და ეს კი შესაძლებელია საოლქო სისტემის დროს) ცხადია ასეთი მდგომარეობით ისინი ვერ იქნებიან კმაყოფილი. ამით რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცების საქმეც ფერხდება. ვინ იცის, რომელ მაზრას მოუწევს რიგი ოლქის სასამართლოს სესიაზე, რასაკვირველია წელიწადში ერთჯერ ან ორჯერ თუ ეღირსება ის ასეთ ბედნიერებას, ხოლო ასე დაგროვილი და გაურჩეველი საქმეში პირდაპირ უბედურებაა. საქმეები სულ მაზრას ეხება, მაზრის ხელმძღვანელ ორგანოებს უხდება პასუხისგება ამა თუ იმ საქმის ცუდ შედეგებზე მასის წინაშე, მაგრამ მაზრას ამ შემთხვევაში არავინ არაფერს ეკითხება, ვინაიდან აქ ოლქია საქმეში ჩარეული.

როგორც ზემოთ ვსთქვი აქ პიროვნება კი არ არის დამნაშავე, არამედ გარკვეული სისტემა, რომელიც უნდა გამოიცვალოს საქმის ინტერესებისათვის.

ამასთან საინტერესოა იმ ხარჯების შემცირება, რომელიც მიდის საოლქო სასამართლოს და პროკურატურის აპარატის შესანახად. სათანადო ციფრი ხელთ არა მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ ეს ხარჯი ცოტა არ იქნება. აი ამ ხარჯიდანაც განთავისუფლდება ხაზინა.

შეიძლება ვინმემ სთქვას, რომ ამ შემთხვევაში საჭირო გახდება მაზრაში ახალი აპარატების შექმნაო. არ არის ეს მართალი, ვინაიდან, მაზრის ცენტრში ისედაც არის ყველგან სახალხო სასამართლოები, რომლებიც გარდიქმნებიან სამაზრო სასამართლოებათ უშუალოდ ცენტრზე დაქვემდებარებით. ამნაირად არავითარი ახალი ხარჯები არ დაგვჭირდება მხოლოდ შემადგენლობის გადახალისება იქნება საჭირო. ნაწილობრივ ეს უნდა მოხდეს საოლქო სასამართლოს შემადგენლობის ანგარიშზე. დანარჩენი უმნიშვნელო ნაწილის შერჩევაც ადვილად შეიძლება.

მაშასადამე სამი მომენტია აქ მხედველობაში მისაღები, რომ საჭიროდ და დროულად ჩავთვალოთ საოლქო სასამართლოების და პროკურატურის გაუქმება და მათ ნაცვლად სამაზრო სასამართლოების შემოღება:

ა) ცენტრის ხელმძღვანელობის გაძლიერება და უზრუნველყოფა, ბ) საქმეების თავის დროზე გარჩევა და გ) მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელება.

ყოველივე ეს მოითხოვს საოლქო სასამართლოების და პროკურატურის გაუქმებას.

ი. ქვანია.

ამ.-კავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების

საბჭოთა მეოთხე ყრილობა

მოწვეულ იქნება 1927 წლის 5 აპრილს ქ. თბილისში

დღის წესრიგი:

1) ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის ანგარიში—მომხსენებელი ამხ. მ. ორახელაშვილი.
2) საგზაო მშენებლობა ა.-კავკასიაში—მომხსენებელი ამხ. შ. ელიავა
3) სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემა ა.-კავკასიაში—მომხს. ამხ. ქ. ჩხენკელი.
4) ა.-კ. ს.ფ.ს.რ. 1926 | 27 წლ. სახელმწიფო ბიუჯეტი—მომხს. ამხ. მ. დ. გუაიეოვი.
5) საკონსტიტუციო საკითხები—მომხს. ამხ. ა. შავერდოვი.
6) ამიერ კავკასიის ცაკის არჩევა.
7) დელეგატების არჩევა მეოთხე საკავშირო საბჭოთა ყრილობაზე.

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი ა. შავერდოვი.

1927 წ. 4 აპრილს საღამოს 7 საათზე
ამიერ-კავკასიის ცაკის სხდომების დარბაზში
შესდგება
საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის
საოლქო კომიტეტის
მორიგი პლენუმი
საკავშირო კომპარტიის (ბ) ა. კ. საოლქო კომიტეტის სამდივნო

„კომუნისტი“
გრძელდება ხელის მოწერა
აპრილისათვის
ხელის მოწერა გარდა კანტორისა მიიღება აგრეთვე სპეციალურ რწმუნებულების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით
კანტორა რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

იმპერიალისტები ულტიმატუმს უდგენენ ჩინეთის ეროვნულ მთავრობას

საფრანგეთი თანახმაა დაუბრუნოს კანტონის მთავრობას თავისი კონცესიები

მწვავდება დამოკიდებულება უცხოელებსა და ეროვნულ ჯარებს შორის ნანკინში

ულტიმატუმი ეროვნულ მთავრობას

ლონდონი, 1 აპრილი. „მანჩესტერ გარდიანი"-ს ცნობით, მთავრობამ შემუშავა ულტიმატუმის პროექტი, რომელიც ეროვნულ მთავრობას წარედგინება.

„ფიქრობენ, სწერს გაზეთი, რომ თუ ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობა დღევანდელ დღემდე არ დასთანხმდება ინგლისთან ერთად გამოსვლაზე, მაშინ ინგლისი გამოვა მარტო ან იაპონიასთან ერთად".

„დეილი ჰერალდი"-ს ცნობით, ინგლისის კაბინეტს ჯერ არ გადაუწყვეტია, რა ზომები უნდა იყოს მიღებული, თუ ეროვნული მთავრობა უარს იტყვის ინგლისის ულტიმატუმის მოთხოვნილებათა შესრულებაზე.

„სხვა ზომებს შორის, იუწყება გაზეთი, იხილავენ აგრეთვე წინადადებას ფორტ ვუზუნის (საზღვაო ნავთსადგური შანხაის მახლობლად) ინგლისის ჯარების მიერ დაჭერისა და კანტონელების ხელში მყოფი ყველა ნავთსადგურების ბლოკადის შესახებ". (ადს)

სახელმწიფოები ულტიმატუმს ამზადებენ

ნიუ-იორკი, 1 აპრილი. „იუნაიტედ პრეს"-ის სააგენტოს მიერ ვაშინგტონიდან მიღებული ამერიკის, ინგლისის და იაპონიის ელჩები პეკინში ამზადებენ ულტიმატუმს ნაციონალური მთავრობის სახელზე. ხმების მიხედვით, სახელმწიფოებს შორის ადგილი აქვს უთანხმოებას: ინგლისი მოითხოვს მდ. იანცზის შეთანხმებულ ბლოკადას, ხოლო ამერიკა კი ამის წინააღმდეგია. (ადს).

ულტიმატუმი მზადაა

ლონდონი, 1 აპრილი. ოფიციალური ინგლისური რადიო იუწყება: „ტექსტი მოთხოვნილებათა ანაზღაურებების შესახებ, რომელნიც უნდა წარედგინოს კანტონის ხელისუფლებას კაბინეტმა უკვე შეიმუშავა და იხილავენ სხვა დაინტერესებული სახელმწიფოები" (ადს)

ინგლისის ბანკების მუქარა

ნიუ-იორკი, 1 აპრილი. „ნიუ-იორკ-ტაიმსის" კორესპონდენტის ცნობით, ინგლისის ბანკები იმუქრებიან კრედიტების შეწყვეტით გერმანიის იმ ხელმძღვანელ საექსპორტო ფირმებისათვის, რომლებიც სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებენ ჩინეთში. კრედიტების შეწყვეტის მიზანია გერმანიის დაყაბულება შეთანხმებულ მოქმედებაზე ინგლისთან ჩინეთში. (ადს).

საუბარი ჩან-კაი-შისთან

შანხაი, 31 მარტი. ჩან-კაი-შიმ უცხოელ კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა:

„უცხოეთის სახელმწიფოებმა აავსეს ჩინეთის წყლები სამხედრო გემებით, მათ უამრავი ჯარები შემოჰყავთ ჩინეთის ნავთსადგურებში „უცხოელთა სიცოცხლის და ქონების დასაცავად". მაგრამ ისინი ეხლა მოითხოვენ იმ ზარალის ანაზღაურებას რომელიც მოუვიდათ უცხოელებს და აცხადებენ, რომ ნაციონალური მთავრობის არმია არ იცავდა მათ ინტერესებს. ამ შემთხვევაში უცხოეთის სახელმწიფოები ივიწყებენ, რომ სწორედ მათ არ მისცეს ნაციონალური მთავრობის არმიას სათანადო ზომების მიღების საშუალება უცხოელთა ცხოვრების და ქონების დასაცავად".

შემდეგ ჩან-კაი-ში შეჩერდა ჩინეთში შექმნილ საერთო მდგომარეობის შეფასებაზე და შეეხო საფრანგეთის კონცესიის მეშკარზე თავდასხმას, რასაც ადგილი ჰქონდა გასულ კვირას. ჩან-კაი-შიმ ამის შესახებ სთქვა: **რომ არ ყოფილიყო მეშკარი, თავდასხმაც არ მოხდებოდაო.**

ჩან-კაი-შიმ კორესპონდენტებთან საუბრის დასასრულს განაცხადა, რომ ის უზრუნველყოფს უცხოელთა სიცოცხლის და ქონების ხელუხლებლობას, თუ ნაციონალურ ჯარებს საშუალება მიეცემათ განახორციელონ ამისათვის საჭირო ყველა ღონისძიებები. (ადს).

ლონდონი თათბირობს

ლონდონი, 1 აპრილი. გუშინ ინგლისის სამხედრო მინისტრს დიდხანს ჰქონდა თათბირი ჩემბერლენთან. გუშინვე საღამოთი შესდგა მთავრობის სხდომა. (ადს)

სამხედრო მოქმედება ჩინ-ჩაზოუს რაიონში

პეკინი, 1 აპრილი. ხმების თანახმად, ხე-ნანის პროვინციაში მუკდენელებმა დაიკავეს სიუჩიოუ, 80 კილომეტრის მანძილზე ჩენ-ჩაგოუდან პეკინ-ხანკოუს რკ. გზაზე. (ადს)).

ველინგტონ-კუ გადადგომას აპირებს

პეკინი, 1 აპრილი. ველინგტონ კუმ ჩჟან-ძო-ლინს სთხოვა პეკინის მთავრობის პრემიერის თანამდებობიდან გადადგომის ნებართვა. ველინგტონ კუ თავის თხოვნაში აღნიშნავს, რომ პეკინის მთავრობას არავითარი შემოსავალი არა აქვს დამატებითი საბაჟო გადასახადისაგან და რომ მთავრობის მდგომარეობა კრიტიკულია. ჩჟან-ძო-ლინმა სთხოვა ველინგტონ კუს დარჩეს თავის პოსტზე. (ადს).

ბრიანი იმუქრება

პარიზი, 31 მარტი. 31 მარტს საფრანგეთის მთავრობის სხდომაზე ბრიანმა განაცხადა: **„საფრანგეთი არ აპირებს ჩინეთის საქმეებში ჩარევას. მაგრამ თუ კანტონელები მოითხოვენ ჩვენ განსაკუთრებულ უფლებების გაუქმებას ჩინეთში, ჩვენ ამას გაუწევთ წინააღმდეგობას. ინდო-ჩინეთში ჩვენ მზად გვყავს ჯარები, რომლებიც გაგზავნილ იქნება შანხაიში, თუ ამას საჭიროება მოითხოვს".** (ადს).

შეერთებული შტატების პოზიცია

ნიუ-იორკი, 31 მარტი. პრეზიდენტის სასახლეში ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ნანკინში დაზარალებული ევროპიელების რიცხვი უმნიშვნელოა და რომ ერთი ამერიკელი, რომელიც ხმების მიხედვით დაჭრილი იყო, ნამდვილად კედელზე გადახტომის დროს მსუბუქად დაშავდა. ჩინეთში მეზღვაურთა ახალი რაზმის 500 კაცის შემადგენლობით გაგზავნის დროს შესდგა დიდი აღლუმი. უნდა აღინიშნოს, რომ რაზმის გაგზავნა უშუალოდ მოხდა იმის შემდეგ, როცა შეერთებულ შტატების მთავრობამ უარჰყო ხმები ახალი ჯარების გაგზავნის შესახებ. გარეშე საქმეთა მინისტრი არ ადასტურებს ლონდონის ცნობებს, რომ უცხოეთის სახელმწიფოები იხილავენ საერთო გამოსვლის საკითხს სამინისტრო აცხადებს, რომ ლაპარაკია მხოლოდ თავდაცვითი ხასიათის სამხედრო თანამშრომლობაზე. „ასოშიეიტედ პრესის" ცნობით, 100 ამერიკელი მისიონერი უარს აცხადებს დასტოვოს იან-ცზის მიდამო. მისიონერთა სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გააკეთეს ანალოგიური განცხადებები, რომელნიც უარჰყოფენ საშიშ ცნობებს ჩინეთიდან. (ადს).

იმპერიალისტების ჯარების სარდლობა შანხაიში იმ საბაბით, რომ თითქო შანხაის გამარჯვებული მუშები თავდასხმას ამზადებენ ევროპიელებზე, ამაგრებენ უცხოელთა უბანს. სურათზე — მავთულის ხლართები ქ. შანხაის უცხოელთა და ჩინური ნაწილის საზღვარზე.

საფრანგეთი მზად არის დაუბრუნოს კონცესიები ჩინეთს

ნიუ-იორკი, 1 აპრილი. გაზეთ „ბალტიმორ სენის" შანხაელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ თითქოს საფრანგეთის მთავრობა პარიზში აწარმოებს საიდუმლო მოლაპარაკებას, ჩინეთისათვის საფრანგეთის კონცესიების დაბრუნების გარშემო. (ადს)

ინგლისის პროვოკაცია

ლონდონი, 1 აპრილი. ინგლისის ოფიციალური რადიო იუწყება: „ნანკინიდან მიღებული ცნობებით, დამოკიდებულება ნაციონალურ ჯარებსა და უცხოელებს შორის სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს. ნაპირზე შექმნილი პირობები უკვე სახიფათოა უცხოელების გადმოსხმისთვის. უცხოეთის ორ გემს, რომლებიც გუშინ ღამით გავიდნენ ნავთსადგურიდან, ნაპირიდან იუტეხეს სროლა ქალაქის სიმაგრეებზე დადგმულ ზარბაზნებიდან. ყველა გემები დაბრუნდნენ ნავთსადგურში". (ადს)

კანტონში სრული წესიერებაა

პარიზი, 1 აპრილი. კანტონიდან მიღებული ცნობებით, ქალაქში, მიუხედავად დაძაბული მდგომარეობისა, სრული წესრიგი სუფევს, უცხოელების საწინააღმდეგო უკმაყოფილების ზრდის გამო, დახურულია უცხოელთა ყველა სკოლები. კანტონის უცხოელთა უბანი—შამინი გამაგრებულია და წარმოადგენს თავდაცვისათვის მომზადებულ ციხეს. შამინის დასაცავად დადგმულია ზარბაზნები და ტყვიისმფრქვევლები, გადმოსხმულია აგრეთვე უცხოელთა სამხედრო გემების კომანდა. (ადს)

ამერიკელები ცინ-დაოში

ვაშინგტონი, 1 აპრილი. შანხაიდან ცინდაოში (ნავთსადგური პროვინცია შანდუნში) გაიგზავნა ამერიკის სამხედრო გემი. (ადს)

კონტრ-კამპანია

ვენა, 31 მარტი. ინგლისის ზეგავლენით, სამხრეთ-სლავიის ზოგიერთმა გაზეთებმა დაიწყეს კონტრ-კამპანია პრესის იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს ურთიერთობის აღდგენას საბჭოთა კავშირთან. ოფიციოზმა „სამოუპრავა"-მ გამოაქვეყნა წერილი, რომელიც აგრეთვე მიმართულია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის წინააღმდეგ. (ადს).

ინგლისელ ქალთა ევაკუაცია კანტონიდან

ლონდონი, 1 აპრილი. კანტონიდან მიღებული ცნობებით, კანტონის ჩინურ ნაწილში მცხოვრებ ინგლისელ ქალებს და ბავშვებს წინადადება მიეცათ დასცალონ ბინები და გადასახლდენ ან შამინში და ან და ჰონკონგში. (ადს)

საბოლოო ანგარიშით

ნიუ-იორკი, 1 აპრილი. „ნიუ-იორკ-ჰერალდ-ტრიბუნი" აცხადებს, რომ წინააღმდეგ ვაშინგტონის ყოველგვარი დეკლარაციებისა, შეერთებულ შტატებს საბოლოო ანგარიშით მოუხდება მონაწილეობის მიღება ინგლისის გამოსვლაში ნაციონალისტების წინააღმდეგ.

„ასოშიეიტედ პრეს"-ის სააგენტოს ცნობით, ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდალი უარყოფს ცნობებს, რომ თითქოს ინგლისელებმა აიძულეს ამერიკელები ყუმბარები დაეშინათ ნანკინისათვის, და აცხადებს, რომ ქალაქს პირველად ამერიკის გემებმა დაუშინეს ყუმბარები. (ადს).

ინციდენტი ჩუნკინში

ნიუ-იორკი, 1 აპრილი. შანხაიდან იუწყებიან, რომ ჩუნკინში (სი-ჩუანის პროვინცია) ამერიკელ საკონსულოს შენობას ჩინელებმა მოგლიჯეს დროშა. თვით ამერიკელი კონსული გაიქცა ჩუნკინის ნავთსადგურში მდგარ ამერიკელ გემზე. (ადს)

ჩან-კაი-შის განცხადება

ნიუ-იორკი, 1 აპრილი. „ასოშიეიტედ პრეს"-ის სააგენტოს ცნობით ჩან-კაი-შიმ უცხოელ კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა, რომ ინგლის-ამერიკის სამხედრო გემებმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაუშინეს ყუმბარები ქალაქს.

დასასრულ ჩან-კაი-შიმ მოითხოვა, რომ სახელმწიფოებმა მოხსნან მათ მიერ შანხაიში აგებული ბარიკადები და შესწყვიტონ პროვოკაციული გამოსვლები. (ადს).

ბარიკადები საერთაშორისო უბანში

ნიუ-იორკი, 1 აპრილი. „ასოშიეიტედ პრეს"-ის სააგენტოს ცნობით უცხოეთის სარდლობა შანხაიში, ახალი გაფიცვების მოლოდინში აგებს ახალ ბარიკადებს საერთაშორისო უბნის ტერიტორიაზე. (ადს).

საზღვაო ბრძოლის წინ

ლონდონი, 1 აპრილი. ინგლისის რადიო იუწყება, რომ ჩრდილოეთის ფლოტის უფროსმა, მომავალ სამხედრო მოქმედებათა გამო ჩრდილოელთა საზღვაო ძალებსა და ეროვნულ მთავრობას შორის, სთხოვა უცხოეთის სამხედრო გემების უფროსებს და უცხოეთის გემებს, რომ ვუზუნში, (ნავთსადგური შანხაის მახლობლად) გაიარონ მხოლოდ დღისით. თხოვნა დაუმაყოფილებულია მხოლოდ სავაჭრო გემების მიმართ. (ადს)

ხელები შორს ჩინეთისაგან

საპროტესტო მიტინგები ნანკინის სისხლისღვრის წინააღმდეგ

მოსკოვი, 1 აპრილი. რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებიდან კვლავ მოდის ცნობები, რომ იმართება საპროტესტო მიტინგები ნანკინში მოსახლეობის დახვრეტის წინააღმდეგ. ასეთი ცნობები არის მიღებული ვოლოგდიდან, ნოვგოროდიდან და სხ. ქალაქებიდან ვორონეჟში რკინის გზის კვანძის მუშებმა ჩინეთის მუშების სასარგებლოდ გადარიცხეს 450 მან. ფულს აგროვებენ აგრეთვე ვერხნეუდინსკში. ლენინგრადის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის კომკავშირელებმა დაადგინეს ერთი პროცენტი გადარიცხონ შანხაის სტუდენტების სასარგებლოდ. დაიწყო შემოწირულებათა შეგროვება ჩინეთის მუშათა სასარგებლოდ აგრეთვე რიაზანში. (ადს).

შვეციის მუშები ჩინეთის რევოლუციას თანაუგრძნობენ

სტოკჰოლმი, 31 მარტი. შვეციის საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციამ მოაწყო გრანდიოზული მიტინგი ჩინეთში შექმნილი მდგომარეობის გამო. მიტინგს დაესწრო 2000-დე კაცი.

მიტინგი გახსნა სტოკჰოლმის ქალაქის თავმა, სოციალ-დემოკრატმა ლინდხაგენმა, რომელმაც ჩინეთის რევოლუცია დაახასიათა, როგორც სიგნალი აღმოსავლეთის ყველა ჩაგრულ ხალხისათვის.

ლინდხაგენმა თავის სიტყვაში განაცხადა, სხვათა შორის, რომ შვეციის ქარხანა „ბოფორს" იარაღს აწვდის ჩრდილოეთ ჩინეთის რეაქციონერ გენერლებს.

მოხსენებით ჩინეთში შექმნილ მდგომარეობის შესახებ გამოვიდა გომინდანის წარმომადგენელი სინ-შუნ-ში.

მოხსენების მოსმენის შემდეგ, კრებამ მიიღო საპროტესტო რეზოლუცია ინტერვენციის წინააღმდეგ ჩინეთში; რეზოლუცია მოითხოვს არსებულ უთანასწორო ხელშეკრულებათა გადასინჯვას და ჩინეთის ნაციონალური მთავრობის დიპლომატიურად ცნობას. (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს დეპეშა შანხაის პროფკავშირებისადმი

მოსკოვი, 1 აპრილი. 31 მარტს საკავშირო პროფსაბჭომ გაუგზავნა შანხაის პროფკავშირთა საბჭოს შემდეგი დეპეშა:

„საბჭოთა კავშირის შეკავშირებულ მუშა-მოსამსახურეთა მილიონიანი მასების სახელით, საკავშირო პროფსაბჭო სასტიკ პროტესტს უცხადებს იმპერიალისტებს, მათ მიერ ნანკინში ჩადენილ მხეცობისათვის. ნანკინში დაღვრილი სისხლი კიდევ უფრო შეაკავშირებს ჩინეთის მშრომელ მასებს და მიეცემს მათ მეტ სიმტკიცეს საერთაშორისო იმპერიალიზმთან ბრძოლის საქმეში.

საუკუნო ხსოვნა ბრძოლებში დაღუპულებს, ძმური სალამი ჩინეთის გმირულ პროლეტარიატს.

დღეს ვაგზავნით თქვენს განკარგულებაში 100.000 მანეთს ნანკინში მომხდარი ხოცვის მსხვერპლთა დასახმარებლად". (ადს).

კოლონიალურ ერთა ჩაგვრასთან

მებრძოლ ლიგის სესია

სესიის დადგენილებები

ბერლინი, 31 მარტი. იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ლიგის აღმასკომის სხდომაზე დადგენილ იქნა დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნეს ყველა ქვეყნებში კამპანია ნაციონალურ მთავრობის ჩინეთის ერთად-ერთ კანონიერ მთავრობათ ცნობის სასარგებლოდ. აღმასკომა დაადგინა მიმართოს კულიჯს პროტესტით შეერთებულ შტატების ჯარების მიერ ნიკარაგუას ოკუპაციის წინააღმდეგ. აღმასკომმა აღშფოთებით მოისმინა ცნობა საფრანგეთის ხელისუფლების მიერ აღმასკომის წევრის ზენგხერის დაპატიმრების შესახებ. ზენგხერს ბრალს სდებენ იმაში, რომ მან ბრიუსელის კონგრესზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მოითხოვდა შავკანიანთა რასის განთავისუფლებას. აღმასკომმა ზენგხერს გაუგზავნა წერილი თანაგრძნობის გამოცხადებით და პუანკარეს მიმართა დეპეშით, რომელშიაც პროტესტს აცხადებს ზენგხერის დაპატიმრების წინააღმდეგ და მოითხოვს მის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

შემდეგ აღმასკომმა აირჩია ბიურო ლენსბერის, ფიმენის და ნერუს შემადგენლობით. ლიგის პრეზიდიუმი დროებით მოთავსებულ იქნება ბერლინში. გადაწყვეტილია მისი ლონდონში გადატანა პირველ შესაძლებლობისთანავე.

დასასრულ აღმასკომმა დაადგინა დაარსოს ლიგის ფილიალები მსოფლიოს ყველა კუთხეებში, განსაკუთრებით ინდოეთში, ჩინეთში ეგვიპტეში, სამხრეთ აფრიკაში, სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში. (ადს).

პროტესტის შემდეგ

საბჭოთა კინო-სურათის ჩვენება ნებადართულია

მექსიკო, 31 მარტი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა მექსიკაში განაცხადა პროტესტი საბჭოთა კინო-ფილმის ჩვენების აკრძალვის წინააღმდეგ მექსიკის მთავრობის მიერ. ამის შემდეგ მთავრობამ გააუქმა თავისი აკრძალვა. კინო-თეატრის პატრონი, რომელიც დაპატიმრებული იყო საბჭოთა კინო-ფილმის ჩვენების გამო, განთავისუფლებულია. (ადს).

ისევ რიფები

პარიზი, 31 მარტი. მაროკოდან იუწყებიან, რომ რიფებში ისევ ძლიერდება მოძრაობა ფრანგების და ესპანელების წინააღმდეგ. ესპანელების ზოგიერთი რაზმები ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. იყო საფრანგეთის ზონაზე თავდასხმის შემთხვევები. საფრანგეთის ჯარების სარდალი გაემგზავრა ტეტუანში ესპანეთის სარდლობასთან სათათბიროთ. (ადს).

იტალია-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტი

სამხრეთ-სლავია არ მიდის დათმობაზე

ვენა, 31 მარტი. ბელგრადიდან იუწყებიან, რომ სამხრეთ-სლავიის მთავრობის აზრით „სამხრეთ-სლავიის ტერიტორიის სამხედრო გამოკვლევის ჩატარება უნდა დაევალოს ერთა ლიგას ან ელჩთა კონფერენციას მხოლოდ იმ პირობით, თუ ასეთივე გამოკვლევა ჩატარებულ იქნება აგრეთვე ალბანეთის ტერიტორიაზე, სადაც, უკანასკნელი ცნობების თანახმად, სწარმოებს სამხედრო მზადება". (ადს).

თავდასხმა ფორდზე

ნიუ-იორკი, 31 მარტი. ჰენრი ფორდის ავტომობილის დამტვრევა, რასაც შემთხვევას აწერდნენ, ხმების მიხედვით, თავდასხმის შედეგი ყოფილა. 27 მარტს საღამოს ფორდი მარტო მიემგზავრებოდა ავტომობილით დეტროიტის სანაპირო ქუჩაზე, რომელიც მდებარეობს მიჩიგანის ტბის ნაპრას. უეცრად მას უკანიდან დაეჯახა ავტომობილი, რომელმაც გადააბრუნა ფორდის ავტომობილი. რამდენიმე ხანს ფორდი უგრძნობლად ეგდო. ის გადაგზავნეს ჰოსპიტალში. მეორე ავტომობილი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ვინ იჯდა მასში—არავინ იცის. პოლიცია ახდენს გამოძიებას. (ადს).

საფრანგეთ-გერმანიის

სავაჭრო შეთანხმება

პარიზი, 31 მარტი. ბრიანმა, ვაჭრობის მინისტრმა ბოკანოვსკიმ და გერმანიის ელჩმა ფონ-გეშმა ხელი მოაწერეს დროებით სავაჭრო შეთანხმებას საფრანგეთსა და გერმანიას შორის, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს საბოლოო სავაჭრო ხელშეკრულებას. (ადს).

ფრანგი მეშახტეები

გაფიცვისათვის ემზადებიან

პარიზი, 31 მარტი. დაუეში სამთა-მადნო მუშათა უნიტარულ ფედერაციის ყრილობამ აღნიშნა, რომ მთავრობასთან მოლაპარაკება და შეკითხვები პალატაში უსარგებლოა და საჭიროა მზადება საყოველთაო გაფიცვისათვის. (ადს).

გერმანიის ბურჟუაზია შეტევაზე გადადის

ბერლინი, 31 მარტი. ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობის მიერ რეიხსტაგში შეტანილია ახალი საგანგებო კანონის პროექტი სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ მშრომელთა მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას ნიშნავს. სოციალ-დემოკრატიული „ფორვერტსი"-ც კი აცხადებს, რომ საგანგებო კანონის პროექტი არის „მწარმოებელთა სასარგებლო კანონი". ახალი კანონით მწარმოებლებს ეძლევა უფლება გაადიდოს ძველი კანონით დაწესებული 10 საათის სამუშაო დღე. კანონი არ ითვალისწინებს სამუშაო დღის გადიდების საზღვრებს. ამ საზღვრების დაწესების აუცილებლობა მწარმოებლებმა უნდა გადასწყვიტონ თავიანთი მოსაზრების მიხედვით. (ადს).

მწარმოებლები ლოკაუტით აშინებენ მუშებს

ნიუ-იორკი, 31 მარტი. 31 მარტს ამერიკის ნახშირის მრეწველობაში გავიდა კოლექტიური ხელშეკრულებების ვადა. მაღაროს პატრონები მოითხოვენ სამთა-მადნო მუშათა სამუშაო ხელფასის შემცირებას. მუშები ამ მოთხოვნილებაზე არ თანხმდებიან, რის გამო მოსალოდნელია ლოკაუტები, რომელიც შეეხება 150.000 კაცს. (ადს)

აფეთქება მაღაროში

ნიუ-იორკი, 31 მარტი. პენსილვანიის შტატის ერთ-ერთ მაღაროში მოხდა აფეთქება, რომლის დროს დაიღუპა 4 კაცი. უკანასკნელ დროს მაღაროებში სწარმოებდა ნახშირის გაძლიერებული ამოღება. მწარმოებლებმა დამატებით დაიქირავეს მუშები იმ მიზნით, რომ დაემზადებინათ ნახშირის დიდი მარაგი, რადგან მოელოდნენ გაფიცვას. (ადს).

გერმანელ მენშევიკების ბანაკში

მენშევიკების და მონარქისტების ერთიანი ფრონტი

ბერლინი, 31 მარტი. გერმანიის რეიხსტაგის სხდომაზე კომუნისტმა დეპუტატმა შტეკერმა დაჟინებით მოითხოვა კომფრაქციის წინადადებათა განხილვა. ეს წინადადებანი შეიცავენ მოთხოვნილებას, რომ გერმანიის მთავრობამ საჯაროდ განაცხადოს, რომ იგი წინააღმდეგია ინგლისის მიერ ჩინეთის ხალხზე მოწყობილ თავდასხმის. კომუნისტები მოითხოვენ აგრეთვე, რომ გერმანიამ დაუყოვნებლივ იცნოს ჩინეთის ეროვნული მთავრობა. კომფრაქციამ შეიტანა აგრეთვე წინადადება, რომ რეიხსტაგმა პროტესტი განაცხადოს ინგლისის იმპერიალიზმის სისხლიანი პოლიტიკის წინააღმდეგ, გამოუცხადოს თანაგრძნობა ჩინეთის ხალხის მებრძოლ მასებს, მოითხოვოს იმპერიალისტური სახელმწიფოების ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა ჩინეთიდან და აგრეთვე ძალით თავზე მოხვეული უთანასწორო ხელშეკრულებების გაუქმება. **რეიხსტაგის ყველა სხვა ფრაქციის, მათ შორის სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგობის გამო, კომფრაქციის წინადადება არ იქნა განხილული.** (ადს).

მუშები სტოვებენ სოც.-დემოკრატიულ პარტიას

ბერლინი, 31 მარტი. „რურ ეხო"-ს ცნობით **ვესტფალიის სამხრეთ ნაწილის ს.-დ. ორგანიზაციებიდან ნახევარი წლის განმავლობაში გავიდა 6.100-ზე მეტი წევრი.** მასიური გასვლა სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებიდან მარტო რეინის ოლქში არ ხდება. **ს.-დ. პარტიის ყველა საოლქო კონფერენციებზე აღნიშნავენ, რომ შემცირებულია დაბალი საფეხურის ორგანიზაციების რიცხვი.** (ადს)

რემედასის საერთაშორისო კონფერენცია

მოსკოვი, 1 აპრილი. რემედასის საერთაშორისო კონფერენციის 31 მარტის სხდომაზე იტალიაში მუშათა კლასის დევნის შესახებ მოხსენება გააკეთა **მაჟიმ.**

— იტალიაში თეთრი ტერორის მსხვერპლთა რაოდენობა—განაცხადა მაჟიმ—ყოველ წელს იზრდება. იტალიის ფაშიზმის თავხედობამ გადალახა ყოველგვარი საზღვრები. მუსოლინიზე თავდასხმამ გამოიწვია თეთრი ტერორის კიდევ უფრო გაძლიერება. ხალხს ციხეში ამწყვდევდენ ბრალდების წაუყენებლათ. დაშლილია ყველა პროლეტარული და გლეხური პარტიები და ამჟამად არალეგალურ ორგანიზაციის წევრობისათვის დაწესებულია 15 წლის კატორღა.

შემდეგ **ანდრე მარტიმ** გააკეთა ვრცელი მოხსენება თეთრი ტერორის შესახებ ახალშენებში.

— სიკვდილით დასჯა—განაცხადა მან—ჩვეულებრივი მოვლენაა სირიაში, ინდოეთში და ყველა სხვა კოლონიალურ ქვეყნებში. ადგილობრივი მცხოვრებლები მოკლებულნი არიან ყოველგვარ უფლებებს. მათ არ აქვთ უფლება მიიღონ ევროპიდან რაიმე ნაბეჭდი ლიტერატურა, გარდა სახარებისა. სწარმოებს კოლონიალურ მუშების წარმოუდგენელი ექსპლოატაცია. მაგრამ კოლონიალურ ქვეყნების ექსპლოატაციის გაძლიერებასთან ერთად იზრდება კოლონიალური პროლეტარიატი და ილვიძებს ნაციონალურ განმანთავისუფლებელი მოძრაობა. ეხლა მეტად ხშირია აჯანყებები დაჩაგრულ ერებს შორის. ის ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც ამჟამად ადგილი აქვს ჩინეთში, მალე მოედება ინდოეთს, სირიას, აფრიკას და ყველა სხვა კოლონიალურ ქვეყნებს.

უკანასკნელი მოხსენება ფაშიზმის მიერ მუშათა კლასის დევნის შესახებ გააკეთა შვეიცარიელ დელეგატმა **ტობლერმა**. (ადს).

მოსკოვი, 1 აპრილი. რემედასის საერთაშორისო კონფერენციის 1 აპრილის სხდომაზე რემედასის პერსპექტივების და ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ლეპეშინსკიმ**, რომელმაც აღნიშნა, რომ რემედასის ამოცანები არ განისაზღვრება მარტო ციხეებში მყოფ რევოლუციონერებისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენით. რემედასმა უნდა გააძლიეროს საერთაშორისო სოლიდარობის იდეის პროპაგანდა თავის წევრებს შორის. რემედასს თავის მხარეზე ჰყავს უკვე მთელი რიგი გამოჩენილ მწერლებისა: ანრი ბარბიუსი, ეპტონ სინკლერი და ბევრი სხვა.

რევოლუციონური ლიტერატურის შექმნა ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია ფართო მასებში გავლენის მოსაპოვებლად. რემედასის ორგანიზაციებმა უნდა აამხედრონ საზოგადოებრივი ყურადღება ისეთ საშინელ ფაქტების წინააღმდეგ, როგორიც არის ნანკინში მომხდარი ხოცვა-ჟლეტა.

გარდა ამისა რემედასმა დახმარება უნდა აღმოუჩინოს პოლიტემიგრაციას და თეთრი ტერორის მსხვერპლთა შვილებს.

რემედასის ორგანიზაციების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს რემედასის რიგებში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა. (ადს).

საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ

მოსკოვი, 1 აპრილი. „იზვესტია" მოწინავე წერილში სწერს:

„საბჭოთა კავშირსა და ლატვიას შორის საგარანტიო ხელშეკრულების ინიციალებით ხელის მოწერამ გამოიწვია გამოხმაურება არა მარტო დასავლეთ ევროპაში, არამედ აგრეთვე ბალტიის განაპირა ქვეყნებშიაც, რომელთა პრესა აქამდის მნიშვნელოვან ადგილს უთმობს თავის ფურცლებზე ამ საკითხს. საბჭოთა კავშირი როგორც წინად, ისე ეხლაც მზადაა ხელი შეუწყოს მშვიდობიანობის მტკიცე გარანტიების შექმნას და მზადაა დაიწყოს მოლაპარაკება სათანადო ხელშეკრულებათა დადების შესახებ თავის მეზობლებთან, თუ ისინი ამას მოისურვებენ. საბჭოთა მთავრობის ასეთმა პოლიტიკამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ოსმალეთთან, გერმანიასთან, ავღანისტანთან და ლიტვასთან დადებულ ხელშეკრულებებში და, დაბოლოს, იმ მოლაპარაკებაში საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელსაც საბჭოთა კავშირი აწარმოებდა ფინეთთან, ლატვიასთან და ესტონეთთან და, რომელიც ორ უკანასკნელ სახელმწიფოსთან ეხლაც გრძელდება.

საბჭოთა მთავრობა მზადაა წინანდებურათ აწარმოოს მოლაპარაკება ფინეთთან. მზადაა უყოველმხრივ ხელი შეუწყოს შეთანხმების მიღწევას, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რათა ფინეთის მთავრობამაც თავის მხრივ გადახდგას ნაბიჯი იმ მოლაპარაკების განახლებლათ, რომელიც შესწყვიტა ფინეთის წინანდელმა მთავრობამ. (ადს).

ღამის ცნობები

კანონი პროფკავშირთა წინააღმდეგ

ლონდონი, 31 მარტი. „დეილი ტელეგრაფი"-ს ცნობით, მთავრობის პროექტი პროფკავშირთა შესახებ არსებული კანონის შეცვლისა შეიცავს 4 მუხლს: საყოველთაო გაფიცვისა და გაფიცვების უკანონობა, რომელნიც გამოცხადებული იქნება თანაგრძნობის ნიშნად; სახლებში ჩამოვლის აკრძალვა გაფიცულთა პიკეტებისათვის; პოლიტიკური მიზნებისათვის თანხების შეგროვების სისტემის შეცვლა და სამოქალაქო უწყების მოსამსახურეთა სხვა ორგანიზაციებში ყოფნის აკრძალვა. (ადს).

შეტევა მუშათა კლასზე

ბერლინი, 31 მარტი. „კელნიშე ცეიტუნგი"-ს ცნობით, ზოლინგენის ლითონის მრეწველობაში სამედიატორო სასამართლოს დადგენილებით შემოღებულ იქნა მუშაობა ზედმეტ საათებში — 5 საათი კვირაში დამატებითი ხელფასის მიუცემლად. (ადს).

საზოგადოებრივ აზრს ამზადებენ

ლონდონი, 31 მარტი. ჩინეთის საწინააღმდეგო კამპანიის უმთავრესი საგანი კონსერვატიულ გაზეთებში არის „ძალადობა თეთრი ქალების მიმართ", რომელსაც ვითომდა ჩადიან ჩინელები. ეს ჭორი იმ მიზნით არის მოგონილი, რომ მოამზადონ საზოგადოებრივი აზრი ინტერვენციისათვის. (ადს).

დაბრკოლება

ლონდონი, 31 მარტი. იტყობინებიან, რომ დაახლოვება ლიტვასა, ლატვიასა და ესტონეთს შორის დიდათ აღელვებს ინგლისის მთავრობას, რადგან ეს ხელს უშლის ერთიანი ფრონტის შექმნას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირში

რ უ ს ე თ ი

ნახევარი მილიონი მანეთი ლენინაკანის რკინისგზელთა ბინებისათვის

მოსკოვი, 1 აპრილი. რკინისგზელთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტმა დაადგინა საბინაო აღმშენებლობის საერთო ფონდიდან გამოჰყოს 500.000 მანეთი მიწისძვრისაგან დაზარალებულ ლენინაკანის რკ. გზელთათვის საცხოვრებელ ბინების ასაგებათ. (ადს).

ყოფ. პოლიცმეისტერის დაპატიმრება

ჩერეპოვეცი, 1 აპრილი. ჩერეპოვეცში დააპატიმრეს სახელმწიფო ბანკის განყოფილების მოლარე ორლოვსკი—კრონშტადტის ყოფილი პოლიცმეისტერი და აგრეთვე ვოლოგდის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე. რევოლუციის დასაწყისში ორლოვსკი იმალებოდა კავკასიაში და ყირიმში კოსტანის გვარით. დაპატიმრებულს აღმოაჩნდა მიმოწერა საზღვარგარეთიდან. (ადს).

კაზაკისტანი

ტრამვაი კაზაკსტანის დედა-ქალაქში

ალმა-ატა, 1 აპრილი. კაზაკსტანის დედაქალაქის ალმა-ატაში გადატანის გამო გადაწყდა რომ ქალაქში გაყვანილ იქნას ტრამვაი. ტრამვაის გაყვანა დაჯდება 3 მილ. მან. მუშაობა დასრულდება 1931 წელში. (ადს).

უკრაინა

უ კ რ ა ი ნ ა

ხულიგნების გასამართლება

ოდესა, 1 აპრილი. ოდესის საოლქო სასამართლოს გამსვლელმა სესიამ სოფ. [illegible]ნოვოში გაასამართლა სოფლის 8 ხულიგანი, რომლებმაც გააუპატიურეს მოჯამაგირე ქალი ტკაჩენკო. სესიამ ხულიგნებს მიუსაჯა დაპატიმრება 5-დან 10 წლამდე. (ადს).

მოცეკვავეთა კონკურსი

ტვერი, 1 აპრილი. დამთავრდა გარმონზე და ბალალაიკაზე დამკვრელების და მოცეკვავეთა კონკურსი. პირველ მოცეკვავედ ცნობილ იქნა მოჯამაგირე ცვეტკოვი, პირველ ბალალაიკაზე დამკვრელად—წითელარმიელი პლატონოვი. (ადს).

სახელმწ. საგეგმო კომისიის

მეორე საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 1 აპრილი. საღამო 31 მარტს დაიხურა სახელმწიფო საგეგმო კომისიების მეორე საკავშირო ყრილობა. ყრილობის მუშაობაში ცენტრალური ადგილი ეჭირა სახალხო მეურნეობის ხუთი წლის საპერსპექტივო გეგმის განხილვას და გენერალურ გეგმის შესადგენ სამუშაოების მდგომარეობის გაცნობას. ყრილობამ საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხუთი წლის გეგმა სცნო გამოსავალ წერტილად ჩვენი ეკონომიურ მშენებლობის პერსპექტივებისათვის. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია შედგენილ იქნეს ხუთი წლის გეგმის ორი დამატებითი ვარიანტი—მაქსიმალური და მინიმალური და მისი დაკავშირება გენერალური გეგმასთან. (ადს).

კაპიტალური მშენებლობა

უკრაინის მრეწველობაში

ხარკოვი, 1 აპრილი. უკრაინის პროფკავშირთა საბჭოს პლენუმზე უკრაინის ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმის წევრმა ადრიანოვმა გააკეთა მოხსენება ახალი კაპიტალურ აღმშენებლობის შესახებ უკრაინის მრეწველობაში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარსულ 1925—26 წელს კაპიტალურ სამუშაოებზე დაიხარჯა 216 მილ. მანეთი, ხოლო 1924—25 წელს 115 მილ. მან. მიმდინარე 1926—27 წელს უკრაინის მრეწველობის კაპიტალურ ხარჯების რაოდენობა მიაღწევს 260 მილ. მანეთამდე. ამ თანხის უდიდესი ნაწილი მოხმარდება უკრაინის ქვანახშირის და სილიკატის მრეწველობას. უკრაინის მრეწველობის ძირითადი კაპიტალი ს.მ.უ.ს. გამოანგარიშებით მიმდინარე წელს უნდა გაიზარდოს 14 პროცენტით. (ადს).

1927 წლის სესხი

განაღდებულია გადამეტებით

მოსკოვი, 1 აპრილი. 31 მარტს მოსკოვში ყველა დაწესებულებამ, რომელნიც აწარმოებდენ 1927 წლის სესხის რეალიზაციას, შესწყვიტეს ობლიგაციების გაყიდვა. საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალუტო სამმართველოს წინასწარ ცნობების თანახმად, მთელს საბჭოთა კავშირში განაღდებულია 96 მილ. მანეთის სესხი. გარდა ამისა, სამეურნეო ორგანოებისაგან მიღებულია დაკვეთა ობლიგაციებზე 18 მილ. მან. რაოდენობით. ვინაიდან ხელისმოწერა აღემატება სესხის თანხას, პირველ რიგში დაკმაყოფილებულ იქნებიან ინდივიდუალური და აგრეთვე კოლექტიური ხელისმომწერლები. სამეურნეო ორგანოების დაკვეთები დაკმაყოფილებულ იქნება ნაწილობრივ (ადს).

ამიერ-კავკ. ტყავტრესტი

მოსკოვი, 1 აპრილი. საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა ტყავტრესტების სისტემის [illegible] და განმტკიცების გეგმა. არსებულ 84 ტრესტიდან შექმნილ იქნება 17 მსხვილი გაერთიანება. განზრახულია აგრეთვე ამიერ კავკასიის ტყავეულობის მრეწველობის გაერთიანება ამიერ-კავკასიის ტყავტრესტში.

მუშათა მოძრაობა

ნორვეგიელი მრეწველები შეტევისათვის ემზადებიან

ამჟამად ნორვეგიაში ადგილი აქვს მთელ რიგ კონფლიქტებს შრომასა და კაპიტალს შორის. ეს კონფლიქტი გავრცელდა ლითონის, სამთო, საფეიქრო და ფეხსაცმელების დამამზადებელ მრეწველობაზე. ამ კონფლიქტებთან დაკავშირებით ამ რამდენიმე ხნის წინათ შესდგა ნორვეგიის მრეწველთა კავშირის საზოგადო კრება, რომელმაც დაადგინა თავის ცენტრალურ გამგეობას მისცეს „მოქმედების სრული თავისუფლება", ე. ი. დიქტატორული უფლებები. შესაძლებელია, რომ ცენტრალური გამგეობა ამ უფლებებს გამოიყენებს საყოველთაო ლოკაუტის გამოსაცხადებლად.

ფიქრობენ, რომ ლოკაუტი გამოცხადებული იქნება მხოლოდ მაშინ, როცა სტორტინგი (პარლამენტი) შეუდგება განხილვას კანონპროექტისას სავალდებულო არბიტრაჟის შესახებ შრომისა და კაპიტალს შორის კონფლიქტების დროს. ლოკაუტის მიზანია ზეგავლენის მოხდენა სტორტინგზე, რომლის უმრავლესობა მრეწველობისათვის ხელსაყრელ სავალდებულო არბიტრაჟის კანონპროექტის წინააღმდეგია.

ამავე დროს ბურჟუაზიული პარტიები ამზადებენ შეტევას მუშათა კლასზე ფრონტის სხვა ნაწილებშიც. გლეხთა პარტიამ (აგრარიები და კულაკები) შეიტანა პარლამენტში კანონპროექტი, რომლის ძალით კანონი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ არ არის სავალდებულო სოფლის მეურნეობაში წლის პირველი აპრილიდან პირველ ოქტომბრამდე. შემდეგ, ეს „კანონი არ უნდა გავრცელდეს იმ წარმოებებზე, სადაც 8 საათზე მეტი შრომა არ არის მავნებელი მუშის ჯანმრთელობისათვის". გარდა ამისა, კანონი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ, გლეხთა პარტიის მოთხოვნით, არ უნდა იქნეს გავრცელებული ფერმებში და წისქვილებში მომუშავეებზე.

ახალი სახელმწიფო სესხი

სესხის რეალიზაცია ადგილებზე

საქართველოს ფინსახკომში მიღებულია ცნობები, რომ პროვინციაში 1927 წ. სახელმწიფო სესხის რეალიზაცია წარმატებით მიმდინარეობს სოხუმიდან მიღებულ ცნობიდან სჩანს, რომ 30 მარტამდე იქ გასაღებულია 30.000 მან. ობლიგაცია.

ადგილებზე დიდია მოთხოვნილება ობლიგაციებზე, რომლის ნაღდ ანგარიშზე შემძენელთა მსურველი, ბევრია.

რკინისგზელთა შორის

31 მარტისათვის რკინისგზაზე გაყიდული იყო 11.125 მან. ობლიგაცია. სესხზე ხელის მომწერთა უმრავლესობა თბილისის უბნის და სამმართველოს მუშები არიან. უფრო შორეულ სადგურებიდან ჯერ ცნობები არ არის.

გამგეობის განკარგულებით ხელის მოწერა უნდა დამთავრებულიყო 26 მარტს, მაგრამ ეხლა გაგრძელებულია 20 აპრილამდე.

გზის სამმართველოს მიერ მიღებული ზომებით, საფასურის გადახდის ვადა გაგრძელებულ იქნა. ნაცვლად 10 მანეთის გადახდისა ყოველთვიურად, როგორც ეს დაწესებული იყო ფინსახკომის მიერ, ეხლა მუშა - მოსამსახურეებს ყოველთვიურად დაუჭერენ მხოლოდ 4 მანეთს.

სამმართველოს ფინანსიური განყოფილების განცხადებით, სახელმწიფო სესხის რეალიზაცია რკინის გზებზე დიდის წარმატებით მიმდინარეობს.

როგორ მიმდინარეობს ხელის მოწერა

ა.-კ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზ-ზის გარაჟში—38 თანამშრომლიდან—17-მა ხელი მოაწერა — 325 მანეთის ობლიგაციაზე.

სადგ. ნავთლუღში — 158 თანამშრომელმა ხელი მოაწერა — 2.500 მანეთზე.

მუშკოოპის პირველ და მე-6 დუქნების თანამშრომლებმა, რიცხვით — 20 კაცმა ხელი მოაწერა — 375 მანეთზე.

„ზარია ვოსტოკის" სტამბის მუშებმა — 56 კაცმა ხელი მოაწერა — 1.115 მანეთზე.

არმიის პოლიტსამმართველოს — 37 თანამშრომელმა ხელი მოაწერა — 745 მანეთზე.

არმიის შტაბის — 37 თანამშრომელმა — 915 მანეთზე.

ა.-კ. ცაკის და სახკომსაბჭოს — 117 თანამშრომელთაგან — 87-მა ხელი მოაწერა — 2.600 მანეთზე.

ა.-კ. რკ. გზ. სატყეო განყ. ყველა თანამშრომლებმა ხელი მოაწერეს — 1200 მანეთზე.

ფოსტა - ტელეგრაფის თბილისის მთავარ სამმართველოს — 80 თანამშრომელმა — 1.240 მანეთზე.

ქვანახშირის ამოღების

გაძლიერება

ახლო ხანში დაიწყება ტყიბულის ქვანახშირის ბუდობების აღმოსავლეთ ნაწილის ექსპლოატაცია. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ამ რაიონში ქვანახშირის მარაგი უდრის 190.000.000 ფუთს.

ნახშირი, განსაკუთრებით ქვედა ფენებში, უკეთესი ხარისხისაა, ვიდრე ის ნახშირი, რომელსაც ამჟამად იღებენ. ნახშირის ამოღება ამ რაიონში იწარმოებს გაუმჯობესებული ტეხნიკით.

ნახშირის ამოღების გაძლიერება ტყიბულის მაღაროებში სწარმოებს გეგმის მიხედვით. ამჟამად მაღაროებში ყოველწლიურად იღებენ 6 მილიონ ფუთ ნახშირს, ხუთი წლის ბოლოსათვის ნახშირის ამოღება გაიზრდება 11 მილ. ფუთამდე წელიწადში.

ტყიბულის ქვანახშირის გასაღება უზრუნველყოფილია. ნახშირის მთავარი მომხმარებელია ა.-კ. რკინისგზა და ნოვოროსიისკის ცემენტის ქარხნები; ნახშირის 20 პროც. ხმარობენ ადგილობრივი აგურის და კრამიტის ქარხნები. ამჟამად შემჩნეულია ნახშირის ნაკლებობა, რის გამო მოთხოვნილების ნაწილი დაუკმაყოფილებელი რჩება, მოთხოვნილება ტყიბულის ქვანახშირზე კიდევ უფრო გაიზრდება კავთისხევის ცემენტის ქარხნის აგებისა და ტაუზის ცემენტის ქარხნის ტყიბულის ქვანახშირზე გადასვლის შემდეგ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

შეგირდობის შესახებ

ა.-კ. ცაკმა დაამტკიცა დებულება შინა-მრეწველ ხელოსანთა, სამრეწველო კოოპერაციაში და მშრომელ არტელებში შეგირდების მიღება-მუშაობის პირობების შესახებ. ამ დებულების ძალით აღნიშნულ წარმოებაში შეგირდები მიიღებიან მხოლოდ 14 წლიდან. ამავე სახის დაწესებულებებში სოფლად შეიძლება მიღებულ იქნეს 12 წლის შეგირდი.

ამავე დებულების ძალით შეგირდობის ვადად დაწესებულია 4 წელიწადი. შეგირდებს ჯამაგირი ენიშნებათ ნახევარი წლის შემდეგ, მხოლოდ ეს ჯამაგირი შეგირდის სახელზე ინახება შემნახველ სალაროში, ხოლო ოთხი წლის შემდეგ შეგირდს ხელზე ეძლევა თავისი ხელფასის 25 პროცენტი, დანარჩენი ინახება იმავე სალაროში. შეგირდობის დასრულების შემდეგ მას შეუძლია შემნახველ სალაროდან მიიღოს თავისი კუთვნილი ფული. ყველა მოწაფეები დაზღვეულნი უნდა იქნენ.

მევენახეთა გაერთიანება

ფილოქსერისაგან კახეთში დიდძალი ვენახებია დაზარალებული. მევენახეებმა გადასწყვიტეს გაერთიანდენ ერთ კომუნაში და საერთო საშუალებებით შეუდგენ ფილოქსერისაგან დაზარალებულ ვენახების აღდგენას. გაერთიანება უწინარეს ყოვლისა გააფართოვებს ამერიკულ ვაზის სადედეების არეს 300 დესეტინამდე. სადედეების გადიდების შემდეგ შესაძლებელი იქნება მევენახეთა დაკმაყოფილება ადგილობრივ დამზადებული ნამყენი ლერწებით. დღემდე ამერიკული ვაზის ლერწი შემოაქვთ საფრანგეთიდან და თითო მეტრი ლერწი ჯდება სამ ნახევარი კაპ. ადგილობრივ დამზადებული ამერიკული ლერწი კი ჯდება გაცილებით იაფი.

სტუდენტთა კვირეული

როგორ მიმდინარეობს დახმარების კამპანია

ღარიბ სტუდენტთა დასახმარებლათ ყულაბებით შემოწირულებათა შეკრება თბილისში უკვე დამთავრდა. ფულის შეკრება სწარმოებდა ორ დღეს—ორშაბათს და სამშაბათს. შეკრებილ იქნა სულ—2.594 მან. 96 კაპ.

პირველ რაიონში შეიკრიბა—435 მან. 79 კ., მეორეში—787 მან. 15 კ., მესამეში—360 მან., 2 კაპ. და მეოთხეში—1.012 მან,

გარდა ყულაბებით ფულების შეკრებისა, სხვადასხვა ორგანიზაციები თავის მხრივ სტუდენტთა დასახმარებლად სდებდენ თანხების განსაზღვრულ რაოდენობას. ასე მაგ. საქართველოს ცაკმა გადასდო 200 მან.

გადაწყვეტილია ამასთანავე საღამოების და წარმოდგენების ჩატარება თბილისის თეატრებში, კინოებში. სახალხო სახლში კვირას, დილის 12 საათიდან იდგმება ქართულად—„რაც გინახავს ვეღარ ნახავ" და რუსულად—„ბილოგინის ქორწინება". შემოსავალი გადაირიცხება სტუდენტთა დამხმარე ფონდში.

ოთხშაბათს, 6 აპრილს, ცირკში გაიმართება საღამო განსაკუთრებული პროგრამით, რომლის სრული შემოსავალი აგრეთვე გადაიდება სტუდენტთა დამხმარე ფონდში.

4 აპრილს სტუდენტების სასარგებლოდ უჩვენებენ შემდეგ ფილმებს: არფასტოში—„სამ სიცოცხლეს", აპოლოში—„როცა გადნება თოვლი"-ს და სოლეიში—„სოდომ და გომორა"-ს.

მაზრებიდან მიღებული ცნობებით, კამპანია ადგილებზეც წარმატებით მიმდინარეობს. ქალაქებში ტარდება ყულაბებით ფულის შეგროვება, იმართება საღამოები და წარმოდგენები.

განათლების სახალხო კომისარიატის თანამშრომლები ეხმარებიან ღარიბ სტუდენტებს

განსახკომის თანამშრომლებმა ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ შეაგროვეს 55 მან. და იწვევენ მიწადმოქმედების, ჯანმრთელობის, იუსტიციის, შინაგან საქმეთა კომისარიატის, სოციალურ უზრუნველყოფის რწმუნებულის სამმართველოს, სტატისტიკის სამმართველოს, სახელმწიფო დრამის და ოპერის თანამშრომლებს, კონსერვატორიის თანამშრომლებს, სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლიტეხნიკური ინსტიტუტის, მწერალთა კავშირის, სახკინმრეწვს, თბილისის განათლების განყოფილებას, თბილისის აღმასკომის სტატგანყოფილებას, სასოფლო სამეურნეო და კომუნალურ ბანკების თანამშრომლებს და ფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლებს.

პატარა ფელეტონი

ო რ ი მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

„მამისათა, და ძისათა, და სულისა წმინდისათა, კურთხეულ იყოს კრებული თქვენი, მას ქალაქსა შინა გენუასა.

სამას სამოცდა ხუთი წმინდა გიორგი გფარავდეთ მახვილითა თვისითა სულისაგან ბოროტისა ყოვლისაგან.

წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს საქმენი თქვენი და დადგენილებანი თქვენნი შესრულებულ იქმნენ წყალობითა ღვთისათა უკუნითი უკუნისამდე.

მარხვითა და ლოცვით ხელაპყრობილი შევევედრი უფალსა ზეცისასა და განასახიერებს მისსა მიწასა ზედაპატიოსანსა კრებულსა თქვენსა გენუასა შინა, რათა გულისყურ ყოთ ვედრება ჩემი და სამწყსოსა ჩემისა, მართლმორწმუნეთა საქართველოისა და განდევნოთ წიაღისა მისისაგან კატაკმეველნი იგი წოდებულნი ხელისუფლად საბჭოისად და პარტიად კომუნისტურად.

მოთმინებითა იობისათა და ხმითა მღაღადებლითა უდაბნოსა შინა მოველოდებით მოვლინებასა ქრისტეს მოყვართა მხედრობათა თქვენთა და განთავისუფლებას ტყვეობისაგან, ვითარცა იუდეველნი ეგვიპტესა მას ჟამსა შინა.

დავშთები თქვენთვის მარად სასოების მლოცველი საქართველოს მიტროპოლიტი.

ამბროსი ამინ".

გადასახა ამბროსიმ ჯვარი ამ ბარათს, მემორანდუმად წოდებულს, და გადასცა ძველ რევოლუციონერს და შემდეგ გამენშევიკებულს ვლასა მგელაძეს, რომელიც ჩამორთმევის დროს კოჩიწებით ემთხვია მას ხელზე.

ისეთი სიფრთხილით გადაიტანა ვლასა მგელაძემ ამბროსის მემორანდუმი საბჭოთა საქართველოს საზღვრებიდან, როგორც წინეთ მოჰქონდა საზღვარგარეთული არალეგალური ლიტერატურა.

საქმეების გარეშე მინისტრი ევგენი გეგეჭკორის მეშვეობით ძლივს მიაღწია ამბროსის მემორანდუმმა გენუის კონფერენციის ტეხნიკურ მდივნის ხელამდე.

ეს უკანასკნელი ფიქრობდა მის ჩაგდებას საიავე კალათაში ნაგრამ ვიღაც ცნობისმოყვარე გაზეთის თანამშრომელმა გამოართვა ხელიდან და გამოაქვეყნა თავის ქუჩურ გაზეთში.

დიდი მითქმა - მოთქმა და იმედები სუფევდა მენშევიკურ წრეში ამბროსის მემორანდუმის გაგზავნის გამო. ღამით ბევრს მოუსვენრად ეძინათ და დილით რომ წამოდგებოდნენ ფეხზე, [illegible] იცქირებოდენ დასავლეთისაკენ, — ხომ არ მოსჩანან ინგლისის, ფრანგების, ან იტალიელების ჯარებიო.

როცა რომელიმე საქმეგამოლეულ მენშევიკს მოშივდებოდა, გადავიდოდა ის აგრეთვე საქმეგამოლეულ მეზობელ ნაციონალ - დემოკრატისას და რომ სადილზე დაეპატიჟებინა თავი, მოჰყვებოდა მისგანვე შეთხზულს წილადობილას გენუის კონფერენციასა და ამბროსის მემორანდუმზე.

გადიოდენ დღეები, თვეები და წლები.

გენუის კონფერენცია ჩაბარდა ისტორიას.

ამბროსიც გაემგზავრა თავის წინაპრებთან ამბავის წასაღებად.

ნოე ჟორდანიას სიბერის სირეგვნე დასჩემდა და მგოსნობა დაიწყო. მაგრამ, ვინაიდან გამოფიტულ თავში არ მოსდიოდა რითმები, ამიტომ ძველი მგოსნების თხზულებიდან იპარავდა ლექსებს.

„გადამიხდია ბრძოლა მრავალი,
ტანჯულმა სულმა არ იცის დაღლა",—

დაღიღინებდა ის ლანჩხუთიდან წაღებულ ჩონგურზე.

ხანდახან მოუვიდოდა ჩვეულებრივი წერის იშტა და შეუდგებოდა გოდებას.

„დღის, როცა მტრის მზე ჩადის, როცა მისი გლოვის ზარი ირეკება, და დაშლილი და დასენიანებული დაბალ უფსკრულისაკენ ეშვება"....

მაგრამ სწორედ ამ დღის თითქოს ნოე ჟორდანიას ჯინაზე, მზე კიდევ უფრო ბრწყინვალედ ამოვიდა და თავმჯდომარის წკრიალა ზარი თავს უყრიდა მუშათა და გლეხთა წარმომადგენლებს საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობის სხდომაზე რუსთაველის თეატრში.

ამბროსის მოადგილე ახალმა მიტროპოლიტმა კი შემდეგი „მემორანდუმით" მიმართა ამ ყრილობას:

„საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა ესალმება საბჭოთა ყრილობას და უსურვებს მას ნაყოფიერებას აღმშენებლობითი მუშაობაში.

მიტროპოლიტი ქრისტეფორე".

ეს მემორანდუმი დაუბრკოლებლად მივიდა ყრილობის პრეზიდიუმში, მაგრამ ის არ იქნა გამოქვეყნებული ყრილობაზე, როგორც სხვა მრავალი მისალმებები, ვინაიდან დროს მომჭირნეობის წესი მტკიცედ უნდა დაცულიყო.

ს. თ-ია.

პარტიული ცხოვრება

შვებულებაში მიმავალთა გამოყენებისათვის

დგება მასიურ შვებულებების სეზონი. ჩვენი პარტიული და საშეფო ორგანიზაციები უნდა შეუდგნენ სამზადისს. ასობით და ათასობით შვებულებაში მიმავალი მუშა-მოსამსახურე მიაშურებს სოფელს. ეს სეზონი უნდა იქნეს გამოყენებული ქალაქის სოფელთან კავშირის განმტკიცების მიზნით.

წარსულ წელს ამ მიმართულებით ცოტა მოიკოჭლებდა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, რადგან დროზე არ იყო მიქცეული სათანადო ყურადღება.

წელს ეხლავე უნდა შევუდგეთ ამ საკითხის მოგვარებას, პირველ რიგში ამ მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნეს ჩვენი საშეფო საზოგადოება, შემდეგ კი ყველა დაინტერესებული ორგანიზაციები.

რას უნდა მიექცეს ყურადღება?

უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს სათანადო ლიტერატურის გამოცემას გლეხთა საკითხზე, (სასოფლო სამეურნეო გადასახადი, აგრონომიული საკითხები, და სხვა), რასაკვირველია, პატარა ბროშიურებით და გასაგებ ენაზე; მუშათა კლუბებთან უნდა მოეწყოს ცნობათა მიმწოდებელი მაგიდები,—სადაც შვებულებაში მიმავალ მუშა-მოსამსახურეს, შეეძლება მიიღოს რჩევა დარიგება გლეხობისათვის საინტერესო ამა თუ იმ საკითხზე.

ამ საქმეში მეტი შრომა უნდა გასწიოს თბილისში არსებულმა გლეხთა ცენტრალურმა სახლმა, მან უნდა მიაწოდოს კონსულტანტები — მუშათა კლუბების ცნობათა მაგიდებს.

თვით გლეხთა ცენტრალურ სახლთან კი უნდა დაარსდეს საქალაქო ბიურო შვებულებაში მიმავალთა შორის სამუშაოთ, რომელიც იქნება მთელი ამ საქმის ხელმძღვანელი.

აქედანვე უნდა იქნეს დამყარებული მჭიდრო კავშირი გლეხის ცენტრალურ სახლსა და საშეფო საზოგადოების თბილისის საბჭოს შორის, შემუშავებულ უნდა იქნეს შვებულებაში მიმავალთა შორის მუშაობის გეგმა და დაუყოვნებლივ უნდა იქმნეს გატარებული ის ცხოვრებაში, რადგან დრო არ იცდის. არ იქნებოდა ზედმეტი, რომ ეხლავე მოწვეულ იქნეს საქალაქო თათბირი საშეფო საზოგადოების სარაიონო საბჭოების თავმჯდომარეებისა კლუბების გამგეებთან და გლეხის ცენტრალურ სახლის მუშაკებთან ერთად ამ საკითხის დასამუშავებლათ.

რაც ადრე იქნება ეს მით უკეთესი. დაგვიანება წარსულისავით იმოქმედებს და ისეთივე შედეგებს მოგვცემს, რაც რასაკვირველია, არასასურველია.

ს. ლ—ი.

მეორე რაიკომის გაფართოებული პლენუმი

გუშინ საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში შესდგა ს. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. 2 რაიკომის პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა საკითხი საცალო ფასების დაკლების შესახებ სამრეწველო საქონელზე. საკითხის გარშემო მოხსენება გააკეთა ამხ. ერისთავმა.

მომხსენებელი აღნიშნავს პირველად იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელსაც ანიჭებს პარტია დღევანდელ პირობებში ფასების დაკლების გატარებას, შემდეგ იგი ახასიათებს ფასების დაკლების მსვლელობას ტფილისის კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებში. 1 იანვართან შედარებით—ამბობს მომხსენებელი—ფასები დაკლებულია. მუშკოოპში—ჩითზე—4.4 პროც., მაუდზე 8.2 პროც., მთელ საბიუჯეტო ნაკრებზე კი 8.2 პროც., ამ უკანასკნელში არ შედის შაქარი და ზოგიერთი სხვა პროდუქტები, რომელთა ბაზარი კოოპერაციას არა აქვს მნიშვნელოვნად დაპყრობილი; ა.-კ. სატრანსპ. კოოპერაციაში ფასი საშუალოდ ყველა საქონელზე დაკლებულია 6,6 პროცენტით; კოოპ. „მეომარ"-ში—6 პროც., საერთოდ ყველა კოოპ. და სახ. სავაჭრო ორგანიზაციებში ფასების დაკლება საშუალოდ უდრის 6 პროც. ამ 6 პროცენტიდან მრეწველობის ხარჯზე მოდის 2 პროც. და სავაჭრო ორგ. ხარჯზე კი—4 პროც.

როგორც ვიცით,—განაგრძობს ამხ. ერისთავი—ცეკას პლენუმის დადგენილებაში გათვალისწინებულია, რომ ფასების დაკლება 1 ივნისისათვის უნდა უდრიდეს 10 პროც. ა.-წ. იანვრის პირველთან შედარებით. რომ ეს დადგენილება შესრულდეს ამისათვის საჭიროა სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციებმა განაგრძონ ფასების დასაკლებ მუშაობა. უნდა ითქვას, რომ ფასების დაკლების შემდგომი გაგრძელება თანდათან უფრო ძნელი ხდება. რომ კოოპერაციამ შესძლოს ფასების შემდგომი შემცირება ამისათვის საჭიროა შემცირდეს მისი ზედნადები ხარჯები და დაჩქარდეს ბრუნვა.

ფასების დაკლების გატარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშრომელი მასების უშუალო მონაწილეობას, რომლის ძირითად ფორმას წარმოადგენს სადუქნო კომისიების ორგანიზაცია. კომისიების დღევანდელი მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი, საჭიროა გადარჩევების დროს სერიოზული ყურადღება მიექცეს ამ კომისიების აქტიური შემადგენლობის შერჩევას. სადუქნო კომისიებმა უნდა აწარმოონ ფასების დაკლების შემოწმება, ამისთვის კი საჭიროა ისინი კარგად იცნობდენ ფასების კალკულაციას. სწორედ ამ მიზნით მუშკოოპს განზრახული აქვს მოაწყოს სპეციალური ლექციები კომისიების ახალი შემადგენლობისათვის.

ფასების დაკლებაში მასების მონაწილეობის მეორე ფორმას წარმოადგენენ კოოპერატიული კომისიები. ამ კომისიების მუშაობა დღემდე ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. საჭიროა მისი გამოცოცხლება.

ფასების შემცირებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პრესას, განსაკუთრებით კი კედლის გაზეთებს.

დასასრულ ამხანაგი ერისთავი აღნიშნავს, რომ ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ექნება სავაჭრო - კოოპერატიული სექციის შექმნას თბილისის საბჭოსთან.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ქებურიამ, ფომინმა, ავეტიკოვმა, იტრიევმა, პეცეგამ, ნასარიძემ და სხვ.

საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მიიღო სათანადო რეზოლუცია ამხ. ერისთავის მოხსენების გამო.

ქ. სურმუშელი

მცხეთის თემკომის მუშაობა

6 თვე შესრულდა, რაც მცხეთაში ჩამოყალიბებული იქნა თემკომი. უწინ მცხეთის პარტიული ორგანიზაცია შედიოდა ავჭალის ქვერაიკომში, რომლის ხელმძღვანელობა მანძილის სიშორის გამო მოისუსტებდა; მაგალითად უჯრედების კრებები არ ხდებოდა რეგულიარულად, გარდა ამისა მოიკოჭლებდა უჯრედებში პარტიული დისციპლინაც. განსაკუთრებით შეიძლება ითქვას ეს მცხეთის უჯრედზე, სადაც თითქმის არავითარი მუშაობა არ სწარმოებდა.

თემკომის ჩამოყალიბების შემდეგ მცხეთაში საგრძნობლად გამოცოცხლდა პარტიული მუშაობა. მცხეთის თემკომში შედის სამი კომუჯრედი: 2 საწარმოო და ერთი სასოფლო. თემკომი სულ აერთიანებს 82 პარტიის წევრს და კანდიდატს, აქედან წევრი 45 და კანდიდატი 37. როგორც ვხედავთ კანდიდატების რიცხვი უდრის მთელი ორგანიზაციის თითქმის 50 პროც-ს. პარტიის კანდიდატის წევრად არ გადარიცხვის მიზეზი ის იყო, რომ კანდიდატები პოლიტიკურად მოუმზადებლები იყვნენ. და ამასთანავე ერთად, კანდიდატების გადარიცხვას წევრებად ნაკლები ყურადღება ექცეოდა თვით უჯრედების მიერ. ამჟამად თემკომის მიერ გადარიცხულია წევრებად კანდიდატების დიდი ნაწილი. მაგალითად პირველი ნოემბრიდან 15 მარტამდე თემკომის მიერ გადარიცხულია წევრად სულ პარტიის 20 კანდიდატი. გეგმიანი მუშაობის საწარმოებლად უჯრედების თემკომის მიერ შემუშავებულ და გადაგზავნილ იქნა სანიმუშო სამუშაო გეგმები. პარტიული დისციპლინა ორგანიზაციაში წარსულთან შედარებით გაუმჯობესებულია. მართალია, არის შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის პარტიის წევრი არღვევს პარტ დისციპლინას. მაგრამ ასეთი მოვლენების წინააღმდეგ თემკომი ღებულობს შესაფერისი ზომებს მაგ. პარტ-დისციპლინის დარღვევისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური სამ ამხანაგს. პარტიულ ხელმძღვანელობა თემკომის მიერ სხვა და სხვა ორგანიზაციებზე, როგორიც არის საბჭო, კოოპერატივი და სხვა დამაკმაყოფილებლად სწარმოებს. ყველა ამ ორგანიზაციების მოხსენებები ისმება რიგ-რიგობით თემკომის სხდომებზე, სადაც მათ ეძლევათ დირექტივები მომავალი მუშაობისათვის. რაც შეეხება ხელმძღვანელობას ა.კომკავშირის ორგანიზაციაზე უნდა ითქვას, რომ ის ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე, რის გამოც საგრძნობლად სუსტი იყო აღმზრდელობითი მუშაობა ა.კომკავშირის ორგანიზაციაში. ხელმძღვანელობის სისუსტის მთავარი მიზეზი იმაში გამოიხატებოდა, რომ ა. ლ. კ. კ.-ის უჯრედზე მიმაგრებული ამხანაგები პოლიტიკურად მოუმზადებლები იყვნენ. პარტიული ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად ა.კომკავშირის ორგანიზაციაზე თემკომის მიერ გადასინჯული იქნა მიმაგრებული ამხანაგების შემადგენლობა და უვარგისი ამხ. მაგივრად მიმაგრებულნი იქნენ უფრო გამოცდილი და მომზადებული ამხანაგები.

ორ ადგილას ე. ი. „ზაჰეს"-ში და სადგურ მცხეთაში მიმაგრებულნი იქნენ თვით უჯრედების მდივნები. უნდა ითქვას, რომ ამან საგრძნობლად შეუწყო ხელი კომკავშირელების შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას. პოლიტ - განმანათლებელი მუშაობა პროპაგანდისტთა ძალების სიმცირის გამო ცოტას მოიკოჭლებს. დ. მცხეთაში დაარსებულია მოძრავი პოლიტ - სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობს თბილისის კომიტეტიდან მოვლინებული პროპაგანდისტი. მეცადინეობა სწარმოებს სისტემატიურად კვირაში ერთხელ. გარდა მოძრავ პოლიტ-წრისა დაარსებულია აგრეთვე სადგ. მცხეთაში სტაციონალური პოლიტ-წრე, რომლის ხელმძღვანელი არის თემკომის პ.-მ. მდივანი. მეცადინეობა სადგურ მცხეთის პოლიტ-წრეში არ სწარმოებს რეგულიარულად, ვინაიდან ხელმძღვანელი დატვირთულია პარტიული მუშაობით. რაც შეეხება „ზაჰეს"-ში პოლიტ-წრე სრულიად არ არსებობს ხელმძღვანელის უყოლობის გამო. საჭიროა მომავლისათვის ამას მიაქციოს ყურადღება თბილისის კომიტეტმა და გამოგზავნოს პროპაგანდისტების საკმაო რიცხვი რითაც შესაძლებელი იქნება პოლიტ - განმანათლებელი მუშაობის თავის სიმაღლეზე დაყენება.

ე. სუფხელი

ნუ თუ ეს ხულიგნობაზე
მეტი არაა

ჩვენს თეატრებში, კლუბებში და სხვაგან ხშირად შევხვდებით კედლებზე გამოკრულ განცხადებებს იმის შესახებ, რომ საზოგადოების შეკრებულების ადგილებში აკრძალულია პალტოთი და კალოშებით შესვლა, პაპიროსის წევა, უბილეთოდ შემოსვლა, სხვისი ადგილის დაკავება და სხვა—რისთვისაც დამნაშავენი პასუხს აგებენ დაჯარიმებით თუ დაპატიმრებით.

მაგრამ არსად, ვერც ერთ განცხადებაში ვერ ნახავთ მუხლს იმის შესახებ, რომ საზოგადო საკრებულოში არ შეიძლება მთვრალი, გალეშილი მოსვლა, ღრიანცელის და აურ-ზაურის ატეხა. ჩვენში ხშირად ხდება, რომ ადამიანი, თუ ის სადმე გაილეშა, გამოსაფხიზლებლად საზოგადოების შეკრებულების ადგილას მიდის, ზოგჯერ უნებლიედ და ზოგჯერ კი ნებსით—განსაზღვრულის მიზნით—მოხსენების თუ ლექციის ჩასაშლელად. და ეს მართლაც ჩინებული საშუალებაა გამოფხიზლებისათვის. მოხსენების მონოტონური მსვლელობა ასეთ ჩაკარდანახ-ჩანაფარეულებულ მაყურებელზე ნანასავით მოქმედებს, ის არხეინად სთვლემს და ხვრინავს სადმე კუთხეში, რბილ სავარძელში. მხოლოდ აქა-იქ, თუ მომხსენებელმა სადმე ხმას აუწია ან დაუწია ან უცებ შეჩერდა, ისიც მომხსენებლის კონტაქტით რაღაც გაურკვეველს წამოიყროყინებს დასიცხულ კამეჩივით. აუდიტორიაც ძალა-უნებურად ყურადღებას აპყრობს ამ ბოდვას. მოხსენების დასრულებამდის ეს „ჩალეული“ მაყურებელი ერთ პირს კარგად გამოიძინებს და კამათის დაწყებისას უკვე საომარ განწყობილებაზე მოდის. შეზარხოშებული, გაბრუებული ის ეკამათება და ებრძვის ყველას, მომხსენებელს, ოპონენტებს, აუდიტორიას. სპორადიული წამოყროყინება უკვე გაბმულ ღრიალში გადადის. თავმჯდომარე, სცდილობს მის დაშოშმინებას, მაგრამ ამაოდ. ამ საერთო ყურადღებას ის რაღაც ავადმყოფურ ექსტაზში შეჰყავს, თუ კი ვინმეს „ღმერთი გაუწყრა“ და ის ცუდათ მოიხსენა, ხმალ-აბჯარს ისხამს და უკვე აქტიურ შეტევაზე გადადის. აუდიტორიაც ძალა-უნებურად ებმება ამ აყალ-მაყალში, მოხსენების და კამათის მსვლელობისათვის ყურის გდება შეუძლებელი ხდება. იკარგება დრო-ენერგია და ასეთი მოხსენებისაგან, რომლის მომზადება ხშირად რამოდენიმე კვირის მუშაობას მოითხოვს, მაყურებელს არაფერი მიაქვს, გარდა საერთო აურ-ზაურის შთაბეჭდილებისა.

ასეთ მოვლენებს აქვს ადგილი არა პროვინციაში ან ქალაქის სადმე განაპირა უბანში, არამედ ისეთ დაწესებულებებში, როგორიც არის ხელოვნების სასახლე, კონსერვატორიის დარბაზი, რუსთაველის თეატრი და სხვა.

ასეთ სასიქადულო „გამოსვლებს“ ჰქონდა ადგილი ამას წინად ხელოვნების სასახლეში პროფ. შ. ნუცუბიძის მოხსენებაზე ლ. მ—ს მხრივ და უფრო ადრე სერგო ამაღლობელის მოხსენებაზე მ. ლ—ის მხრივ.

თუ პალტოთი და კალოშებით თეატრში შესვლა კიდევ შეიძლება გამართლებულ იქნას იმ გარემოებით, რომ პალტო ხშირად დახეულ შარვალს და კალოშები გაცვეთილ ფეხსაცმელებს ფარავს და უბილეთოდ შესვლა კი შეიძლება აიხსნას ხელოვნებისადმი დიდის ინტერესით ფინანსიური კრიზისის პირობებში, მთვრალი, გალეშილი შემოსვლა საზოგადო შეკრებულების ადგილას გამოსაფხიზლებლად და, რაც უფრო უარესია, აურ-ზაურის, აყალმაყალის ასატეხად არაფრით არ შეიძლება იყოს გამართლებული. ასეთი ქცევა „საზოგადოებრივი“ ხულიგნობის უმძიმეს ფორმას წარმოადგენს, და მას შეიძლება ვებრძოლოთ არა განცხადებებით და რამოდენიმე მანეთით დაჯარიმებით, არამედ სისხლის სამართლის კოდექსით.

ნარი.

ექიმთა კოლექტივი

თბილისში დაარსდა ექიმთა კოლექტივი სახელწოდებით: „ბინაზე საექიმო დახმარება“. კოლექტივში შედიან სპეციალისტი ექიმები, ექიმის თანაშემწეები, ბებია ქალები, მოწყალების დები, მომვლელები და სხვ. კოლექტივი მოქალაქეებს ყოველგვარ საექიმო დახმარებას აღმოუჩენს ბინებზე. კოლექტივის საექიმო პერსონალის გამოსაძახებლად გახსნილია 5 პუნქტი: 1) პლეხანოვის გამზირი, მე7-დე საბჭოთა აფთიაქი; 2) ავლაბარში მე-9 საბჭოთა აფთიაქი; 3) ვერაზე მე-6 საბჭოთა აფთიაქი; 4) თავისუფლების მოედანი, ყოფ. გეინეს აფთ.; 5) საბჭოთა აფთიაქი სადგურის ქუჩაზე. მოქალაქეებს შეუძლიათ ექიმების გამოძახება დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე, ყოველ დღე.

ექიმის მიწვევა ბინაზე ღირს 60 კაპ., ექიმ კონსულტანტის მოწვევა — 3 მან. ბებია ქალის მოწვევა ბინა და მშობიარეს მოვლა — 3 მან. ბანკების დაკვრა 40 კაპ. დაარსებულია ავადმყოფებთან მორიგეობა დღითა და ღამით ხელმისაწვდომ ფასებში. ნიხრი დამოკიდებულია პუნქტებზე. კოლექტივის რეცეპტებით მოქალაქეს თბილისში არსებულ ყოველ აფთიაქიდან წამალი მიეცემა 20 პროც. დაკლებით, ჯანსახკომის ლაბორატორია კი კოლექტივის რეცეპტებით ანალიზებს მოახდენს 40 პროც. დაკლებით.

ქრონიკა

ძვირფასი ხის ჯიშები

მიწად - მოქმედების სახ. კომისარიატმა ერთი კვირის წინ შირაქის რაიონში ტყეების შესასწავლად მიავლინა სპეციალური კომისია სატყეო განყოფილების გამგის ბაქრაძის ხელმძღვანელობით. კომისიამ შირაქის რაიონში აღმოაჩინა ძვირფასი ხის ჯიშები, მაგალითად კვის ხე და ხე-წვეთა. ეს უკანასკნელი ძვირფას ჯიშს წარმოადგენს თავის ღირსებით. მიღებულია ზომები მათ დასაცავად. შირაქის რაიონში აგრეთვე საკმაოთაა ელდარის ფიჭვიც.

კრედიტები მეაბრეშუმეობისათვის

ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკს მიმდინარე წელს განზრახული აქვს კრედიტების მიწოდება პარკის დამზადების ოპერაციებისათვის მთელი ამიერკავკასიის ფედერაციის მასშტაბით.

ამ მიზნისათვის სულ საჭიროა ხუთ მილიონ ნახევარი მანეთი. ამ თანხიდან ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო სისტემას განზრახული აქვს გადასდოს 35 პროცენტი, ხოლო დანარჩენ თანხას გაიღებს საკავშირო აბრეშუმის ტრესტი.

სათანადო მოლაპარაკებას თანხების გაღების შესახებ საკავშირო აბრეშუმის ტრესტთან ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკის გამგეობა უკვე აწარმოებს.

რემედასის კონფერენცია

რემედასის მე-3-ე საქალაქო-სამაზრო თბილისის კონფერენცია გაიხსნება 2 აპრილს, საღამოს 6 საათზე, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში.

თბილისის ალმასკომში

◆ **ზაჰესის ენერგიის მისაღებათ** თბ. ელექტრო სადგურების სამმართველო შეუდგა ელექტრო-ქსელის გაყვანას ქვემო-ავჭალაში, ზემო ავჭალაში, ღრმა-ღელეში და მცხეთაში.

◆ **ახალი აგურის ქარხნები.** ალმასკომმა გადასწყვიტა ვაკესა და დიდუბეში ააგოს აგურის ახალი ქარხნები. ქარხნების ასაგებათ გადადებულია 200.000 მანეთი.

◆ **სახლები.** ალმასკომის კომუნალურ განყოფილებას თბილისში ამჟამად აქვს 275 სახლი. საბინაო კოოპერატივების ხელში კი იმყოფება 288 სახლი.

◆ **ტრამვაის ახალი ხაზი.** ალმასკომმა გადასწყვიტა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იქით გააგრძელოს ტრამვაის ხაზი 3 კილომეტრის მანძილზე.

სოცუზრუნველყოფა

◆ **ომის ინვალიდებს** გასულ თვეში დახმარების სახით მიეცათ 680 მანეთი, შრომის ინვალიდების და უმწეო ინვალიდებს 2189 მანეთი.

◆ **ერთდროული დახმარების** სახით იმავე ხნის განმავლობაში უღარიბეს მოქალაქეებს დაურიგდათ 1.560 მანეთი.

მიწათ-მოქმ. სახ. კომისარიატში

◆ **თუთის ხის სანერგეები.** მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა თელავისა და სიღნაღის მაზრებში გააშენოს თუთის ხის სანერგეები.

◆ **მეტეოროლოგიური სადგურები.** მიწსახკომის დადგენილებით კახეთში ალაზანს გაღმა წელს აგებული იქნება ახალი მეტეოროლოგიური სადგური სეტყვასთან ბრძოლის ცდების საწარმოებლად.

◆ **გზატკეცილი.** მიწსახკომის თაოსნობით შეუდგენ კახეთის საცდელ სადგურიდან კახეთის ფოსტის გზა-ტკეცილამდე ახალი გზატკეცილის გაყვანას.

სხვადასხვა

◆ **შემნახველ სალაროებმა** უკვე გაასაღეს თავიანთ წევრებს შორის ახალი სახელმწიფო სესხის ობლიგაციების ორი პარტია. მესამე პარტიას მიიღებენ ამ დღეებში.

◆ **ტყიბულის მაღაროებში** ამჟამად მუშაობს 1200 მუშა.

კრებები და მოხსენებები

კვირას, 3 აპრილს, დილის 10 საათზე დანიშნულია სრულიად საკავშირო პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების საქართველოს განყოფილების წევრთა საზოგადო კრება.

ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა. თუ აღნიშნულ დროისთვის არ შესდგა კანონიერი კრება, იმ შემთხვევაში კრება გაიხსნება ერთ საათის შემდეგ, რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს და დადგენილება ამ კრების კანონიერად ჩაითვლება.

◆ **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 3 აპრილს, დილის 10 საათზე თბილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში (კამოს ქ., № 70), შესდგება საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების საერთო კრება, რომელზედაც ინჟ. ნ. ლეჟავა გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ქუჩების და გზების მოკირწყვლა, და დაკავშირებული თანამედროვე მოძრაობასთან“.

სახელგამის ახალი გამოცემანი

გამოვიდა და იყიდება სახელგამის მაღაზიებში შემდეგი ახალი წიგნები: **იოსებ მჭედლიშვილი**—„საბავშვო ლექსები და მოთხრობები“, წიგნი შეიცავს 183 გვერდს, ღირს 1 მანეთი. **ვ. მ. გიგინეიშვილი**—„ამინდის პროგნოზი საქართველოში“, წიგნი შეიცავს 42 გვერდს, ღირს 40 კაპ.

ჩაუბარებელი დეპეშები

სარდარაბადიდან—აჯობრაევს, ტყიბულიდან—წულუკიძეს, მოსკოვიდან — ბარხუდაროვს, ოზურგეთიდან—ცეცა კალანდაძე, ბათომიდან გამყრელიძეს, ოდესიდან—ბაირამვისას, სოჩიდან—დუალაშიას, ლენინაკანიდან—პარსტაევისას, თბილისიდან—ძიძიშვილს.

ხელოვნება

6 წლის დირიჟორი

იოსებ ტრიშე
რომელიც დირიჟორობდა ორკესტრს პარიზში. ტრიშე 6 წლის არის

„კინემატოგრაფიის შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა“

დღეს, 2 აპრილს, განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. 3) ამხ. ს. ტრეტიაკოვი („იღმუე ჩინეთო“-ს ავტორი)) მოხსენებას წაიკითხავს შემდეგ თემაზე: „კინემატოგრაფიის შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა“.

დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: არუსტანოვი, ახმეტელი, ამაღლობელი, ბუხნიკაშვილი, გოგიტიძე, დუდუჩავა, კ. მარჯანიშვილი, წუწუნავა, პ. იაშვილი, ეგიკოვი და სხვები.

ჟ. „მნათობი“ № 3.

გამოვიდა და იყიდება „მნათობი“ № 3. შინაარსი: ლექსები: კ. კალაძე — მოვდივართ!, ტ. ტაბიძე — არ შევჩერდები მე ამ მოტივზე, კ. ლორთქიფანიძე — მონადირის თქმული, ალ. აბაშელი — ფიქრები, კ. ფეოდოსიშვილი—„ბელადს“, მოთხრობები: ლ. ქიაჩელი „სისხლი“ (გაგრძელება), დ. შენგელაია „თბილისი“ (დასასრული), ი. ვაკელი — მეწისქვილე (პოემა, დასასრული), ლ. მეტრეველი — მტრობა და სიყვარული, ან. ერისთავი - ხოშტარია — სალი (გაგრძელება), თარგმანები: თ. გლადკოვი — „ცემენტი“, ჟ. რომენ — „თეთრი ღვინო ლა-ვილეტლისა. წერილები: პ. ინგოროყვა — რუსთველიანაზე, ა. მიქსიანი თანამედროვე სამეურნეო პოლიტიკის ცენტრალური ღერძი, ა. მარტინოვი — ჩინეთის რევოლიუციის ძალთა გადაჯგუფება.

„საბჭოთა ხელოვნება“

გამოვიდა „საბჭოთა ხელოვნება“ № 5. შინაარსი: შ. დუდუჩავა—საბჭოთა მეოთხე ყრილობა, შ. ალხაზიშვილი—ლიუდვიგ ვან ბეთჰოვენ, ს. ამაღლობელი—თეატრი და კინო, ს. ქურიძე—სათეატრო პოლიტიკისათვის, ვ. გარრიკო—თეატრი და მაყურებელი, ვ. ლუარსამიძე—მუსიკ-ჰოლლი, ანკეტა, ვან-დეიკ—ფირმანიშვილის სურათების გამოფენა, საუბარი თამარ ვახვახიშვილთან, დისპუტები, ახალი ოპერა, №—„საჰე მორცხვი“, დამსწრე—„რაც გინახავს ველარ ნახავ“, ხ. რ.—„ბელა“, ს. რ.—„თავადის ასული მერი“, ი. იმედაშვილი—„პაპაზიანის იუბილე“, ორინი—სომხური აკადემიური დრამა, პროვინცია, ქრონიკა.

— **რაბინდრანატ თაგორე ქართულად.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ინდოეთის გამოჩენილი მწერალის რაბინდრანატ თაგორეს მოთხრობა „მემკვიდრეობის დარაჯი“ ავტორის სურათით და ბიოგრაფიული ცნობებით. თარგმანი და გამოცემა სილ. თავართქილაძის.

◆ **სტრადივარიუსის სახელობის კვარტეტის** გამოსათხოვარი კონცერტი გაიმართება დღეს მუშათა ცენტრალურ კლუბში.

◆ **„ტრილბი“.** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ტრილბი“.

◆ **ბეთჰოვენის კვირეული** დასრულდება 4 აპრილს. ამ დღეს ოპერის თეატრში გაიმართება დიდი კონცერტი, რომელზედაც შესრულებული იქნება მისი მეცხრე სიმფონია.

◆ **სომეხ მსახიობის ფაფაზიანის** იუბილე გაიმართება 20 აპრილს რუსთაველის თეატრში.

◆ **კონსერვატორიის დარბაზში** 3 აპრილს გაიმართება დიდი კონცერტი ოპერის მსახიობების მონაწილეობით.

◆ **სტუდენტთა კვირეულის სასარგებლოდ** 4 აპრილს კინო „არფასტოში“, „სოლეიში“ და „აპოლოში“ გაიმართება კინო-სურათების ჩვენება.

◆ **მუშათა თეატრში ღარიბ სტუდენტთა** დამხმარე ფონდის გასაძლიერებლად წარმოდგენილი იქნება: „რაც გინახავს, ველარ ნახავ“.

სასამართლო

ღირსეული სასჯელი

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ **მიხეილ აივაზოვს** მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

ბრალდებულმა საქმე გადაიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომლის კოლეგიამ დაადასტურა დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს დადგენილება.

ამის შემდეგ აივაზოვმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცენტრალურ ალმასრულებელ კომიტეტის წინაშე სასჯელის პატიების შესახებ.

ცაკის პრეზიდიუმმა მიხეილ აივაზოვის თხოვნა სასჯელის პატიების შესახებ არ შეიწყნარა.

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

სიძისა და ქმრის მკვლელთა საქმე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. **ი. ბერიშვილის** თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **გიორგობიანის** და **ზეიკიძის**, პროკურორ **ლ. ულენტის** და მდივან **ხითარიშვილის** მონაწილეობით გაარჩია **დავით** და **მარიამ მიქანაძის** საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ **ისიდორე მიქანაძის** მოკვლა.

1905 წ. ისიდორე მიქანაძემ ცოლად შეირთო მარიამ ფეოდოროვა. ცოლსა და ქმარს შორის კარგი განწყობილება არსებობდა. ეყოლათ ორი ბავშვი.

1923 წელს, მიქანაძეს საკუთარ ბინაზე (ლერწმის შესახვევი № 5), მოპატიჟებული ჰყავდა ნაცნობ-მეგობრები. ნასვამმა მიქანაძემ დასტოვა სტუმრები და დაიძინა.

სტუმრები განაგრძობდენ ქეიფს.

საღამოს მასპინძლის ნათლიმამამ **დოჟურმა** ბნელ ოთახში მოსალაპარაკებლად გაიხმო მიქანაძის ცოლი. ეს შეამჩნია მარიამის ძმამ დავით ფეოდოროვმა. უკანასკნელს თავისი დის საქციელი არ მოეწონა და აღელვებულმა გაალვიძა თავისი სიძე და უთხრა:

— „შეგარცხვინა ღმერთმა, რომ ჩემს დას შესაფერისად ვერ უვლიო“.

ამის შემდეგ ისინი რამოდენიმე ხნით ერთიმეორეს არ ელაპარაკებოდენ ბოლოს ხანებში მიქანაძე დარწმუნდა, რომ ცოლი მას ღალატობდა. ამ ნიადაგზე ის სასამართლოს წესით გაეყარა ცოლს. მიუხედავათ ამისა, გა[illegible]ლ ცოლ-ქმარს შორის ჩხუბსა და აყალ-მ[illegible]ს მაინც ჰქონდა ადგილი.

ამ ნიადაგზე სიძესა და ცოლის ძმას შორის უთანხმოება ჩამოვარდა.

მიქანაძეს უნდოდა ნახევარი სახლი შეეყიდა ცოლისაგან; ამ მიზნით აქეტაფიდან დაიბარა დავით ფეოდოროვი.

გასული წლის 25 ივლისს, ფეოდოროვი ჩამოვიდა თბილისში, მივიდა დის ოჯახში, სადილზე მიიწვიეს მიქანაძე, რის შემდეგ უნდა გამართად მოლაპარაკება სახლის შესყიდვის შესახებ.

სადილის შემდეგ და-ძმამ დანითა და კეტით 12 ჭრილობა მიაყენეს ისიდორე მიქანაძეს, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

ფეოდოროვი გამოცხადდა კომისარიატში და განაცხადა, რომ მას ორი ჭრილობა მიაყენა მისმა სიძემ—მიქანაძემ, რომელიც მას თავდაცვითი ბრძოლის დროს შემოაკვდა.

საექიმო ექსპერტიზით გამოირკვა, რომ მომხდარი უბედურების შემდეგ დავით ფეოდოროვმა განზრახ დაიჭრა მსუბუქად თავისი თავი.

სასამართლოში დ. ფეოდოროვმა თავი არ სცნო დამნაშავედ და განაცხადა, რომ მკვლელობა მან ჩაიდინა თავდაცვის ნიადაგზე.

არც მარიამ მიქანაძემ სცნო თავი დამნაშავედ.

მხარეთა კამათის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი.

სასამართლომ სცნო, რომ დ. ფეოდოროვმა და მ. მიქანაძემ მკვლელობა ჩაიდინეს ურთიერთ შეთანხმებით შურისძიების ნიადაგზე. ამის გამო მათ მიესაჯათ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო მსჯავრდადებულთა სოციალური მდგომარეობა და დ. ფეოდოროვს სასჯელი შეუმცირა 5 წლით თავისუფლების აღკვეთით, ხოლო მ. მიქანაძეს კი 3 წლით.

ცილისწამება

სახალხო სასამართლოს მორიგ კამერაში ამხ. **ი. გაბუნიას** თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **ი. აბაშიძის**, და **ბრეგვაძის**, პროკურორ **ქელიძის** და მდივან **სოხელიას** მონაწილეობით გაირჩა **ნინო** და **გიორგი ბეგიაშვილების** (ცოლ-ქმარი) საქმე.

ბეგიაშვილებს ბრალი ედებოდათ მოქ. **არტემ ვართანოვის** შეურაცხყოფაში.

ბეგიაშვილები სცხოვრობენ ამაღლების ქუჩ. № 43; იქვე მეზობლად სცხოვრობს ვართანოვი.

სასამართლომ დაჰკითხა მთელ რიგ მოწმეებს.

დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ბეგიაშვილებს არავითარი შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ ვართანოვისათვის.

სასამართლოში გამოირკვა, რომ ა.-წ. 3 თებერვალს, მოქ. ვართანოვი მიუხტა ბეგიაშვილებს, იშიშვლა რევოლვერი და დაემუქრა სიკვდილით.

სასამართლომ ნინო და გიორგი ბეგიაშვილები უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

ვართანოვის პასუხისგებაში მიცემა ცილისწამებისათვის—სასამართლომ მიზანშეწონილად სცნო.

შემთხვევები

ტრამვაის ქვეშ

გუშინ, სადგურიდან მომავალი ტრამვაის რონოდა (№ 49), მარშრუტი პირველი რუსთაველის ქუჩაზე სახელმწიფო ოპერის წინ დაეჯახა ოპერის თანამშრომელს 75 წლის ივანე მაყაშვილს და გასრისა.

ვატმანი არკადი ჯალალოვი დაპატიმრებულია.

გვამის პოვნა

გუშინ, საღამოს, მაკარონის ქარხნის ტურბინებთან, მნაცაგვის ხიდის მახლობლად, იპოვეს მტკვარში დამხრჩვალი ქალის გვამი.

დამხრჩვალის ვინაობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

თვითმკვლელობა

გუშინ, საღამოს, დანით თავი დაიჭრა მოქ. **მანუჩარ კაზაროვმა.**

კაზაროვი მოთავსებულია რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

ერთი მკვლელობის ამბავი

1925 წ. 11 ივლისს, თბილისში მოჰკლეს **იოსებ ქობულაშვილი.**

მომხდარ უბედურებამდე ქობულაშვილი 2—3 თვით ადრე გაეყარა ცოლს; საქმე სასამართლოს წარმოებაში იყო.

ცოლ-ქმარის განშორების შემდეგ დადიოდა ხმები, რომ ქობულაშვილის ყოფილ ცოლს ევას უნდოდა ქმრის მოკვლა—ქონების დასაკუთრების მიზნით.

11 ივლისს, თბილისის სისხლის სამართლის საძებრო მილიციამ ეჭვით დააპატიმრა მოკლულის ცოლი ევა ქობულაშვილი და ცოლის ძმა ანდრო საძაგლიშვილი.

საქმე გადაეცა საგამომძიებლო ორგანოს, მაგრამ მათი დანაშაული არ დამტკიცდა და ისინი განთავისუფლეს.

სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლის გ. თუხარელის მიერ მიღებული ზომებით საქმე გაიხსნა.

გუშინ ამხ. თუხარელმა დაასრულა გამოძიება ამ საქმეზე.

მკვლელობის დაწვრილებითი ცნობები ასეთია:

ანდრო საძაგლიშვილმა (ი. ქობულაშვილის ცოლის ძმა) მიმართა ლონგინოზ ჩოთაშვილს, რათა ამ უკანასკნელს ეშოვნა კაცი ქობულაშვილის მოსაკლავად. ის მკვლელს ჯილდოთ დაჰპირდა 500 მანეთს. ამ მიზნით ჩოთოლაშვილმა მიმართა მოქ. **რამაზაშვილს,** რომელსაც დაავალა ქობულაშვილის მოკვლა. რამაზაშვილმა უარი უთხრა. შემდეგ ჩოთოლაშვილმა მოლაპარაკება გამართა ბორის ზურაბაშვილთან—მცხოვრები ალექსეევის ქუჩაზე, სახლი № 2-ში.

ზურაბაშვილი კი ცნობილი სისხლის სამართლის ტიპია.

ზურაბიშვილი დათანხმდა ჩოთოლაშვილის და საძაგლიშვილის წინადადებაზე იმ პირობით, რომ ქობულაშვილის მოკვლის შემდეგ მიიღებდა 500 მანეთს.

1925 წ. 11 ივლისს, ზურაბაშვილმა რევოლვერის 4-ჯერ გასროლით მოჰკლა იოსებ ქობულაშვილი საკუთარი სახლის ეზოში.

გამოირკვა, რომ ევა ქობულაშვილმა და ანდრო საძაგლიშვილმა მკვლელობა მოაწყვეს ახვარების მიზნით; მაგრამ მოკლულის ქონება ვერ დაისაკუთრეს, რადგან ქობულაშვილის ქონება გადაეცა დედას და დებს.

ამჟამად მკვლელი—**ბორის ზურაბიშვილი,** მკვლელობაში მონაწილეობის მიმღებნი: **ლონგინოზ ჩოთოლაშვილი, ევა ქობულაშვილი** და **ანდრო საძაგლიშვილი** დაპატიმრებულია ს. ს. მილიციის მიერ.

ყველანი გამოტყდენ დანაშაულში.

◆ **ავტომობილის ქვეშ.** 31 მარტს რუსთაველის გამზირზე ავტომობილმა № 204 გაიტანა მოქ. ივანე თედორესძე კუზმინი, რომელიც გადაიგზავნა საავადმყოფოში.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** 31 მარტს სომხბათოვის ქ., № 9, კინიკ ბებუთოვის ბინიდან მოიპარეს 200 მ. ნივთები.

◆ **ეკლესიის გაქურდვა.** 31 მარტს გაქურდეს ამატუნის ქუჩაზე მდებარე ეკლესია, წაიღეს 163 მ. ნივთები.

◆ **თავის მოწამვლა.** სასტუმრო „პრიმა“-ში 31 მარტს თავი მოიწამლა მარიამ ლიბერმანისამ, რომელიც სასწრაფოდ გადაიგზავნა საავადმყოფოში.

◆ **„დეზერტირკაზე“.** უცნობმა პირებმა ელისაბედ ნარცოვს გამოსტყუეს 50 მ. და მიიმალენ.

◆ **ფ.-ტელეგრაფში** სევერიან ცინცაძისათვის 1050 მანეთის მოპარვისათვის დააპატიმრეს ვლადიმერ გალიევი.

◆ **ქურდების დაპატიმრება.** 31 მარტს დააპატიმრეს ქურდები ვლადიმერ ნაძიაშვილი, გიორგი ჯალაშვილი, სერგო სალიაშვილი, სერგო ჩენიშოვი და ალექსანდრე კავეცკი, რომელთაც ბრალდებათ მოქ. მდივნიშვილის საყასბოს გაქურდვა.

◆ **მექრთამეობისათვის** 31 მარტს შეიპყრეს იოსებ ვარდანაშვილი.

◆ **კარების შემტვრევის საშუალებით** 31 მარტს ყორღანოვის ქ., № 24, გაქურდეს შალვა პაპიძის ბინა.

◆ **კინო „არფასტოში“** ყოფნისას სევერიან ჯაყელს 31 მარტს ამოაცალეს 30 მანეთი.

◆ **ბოქლომის აგლეჯის საშუალებით** 31 მარტს არტილერიის ქ., № 12, გაქურდეს ბაგრატ ტომაევის ბინა.

რკინისგზაზე

შპალების გაულენთვის ახალი ცდები

გზათა - მიმოსვლის სახ. კომისარიატმა ა.-კ. რკ. გზ. გამგეობას წინადადება მისცა ჩაატაროს ცდები წიფლის შპალების ქლორიანი თუთიით გასაულენთავად.

საცდელად პირველ ხანებში გაულენთილი იქნება 1.000 ცალი შპალი, რომლებიც დამზადებული იქნება უაღრესად საღ მასალიდან.

ამ შპალებს დააგებენ: პირველ, მე-6 და მე-10 უბნებზე და დაწესებული იქნება მათზე ფხიზელი თვალყურის დევნება.

თუ ცდები დადებით შედეგს გამოიღებს, მომავალში მოეწყობა შპალების ამ სახით გაულენთვა.

ცოდნის შემოწმება

თბილისის კვანძის სალიანდაგო დარგის აგენტების ცოდნის შესამოწმებლად შექმნილია სპეციალური კომისია: სამმართველოს დაინტერესებულ განყოფილებების, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საგზაო კომიტეტის წარმომადგენლებისაგან.

კომისია გუშინ უკვე შეუდგა მუშაობას.

მატარებლის დამტვრევა

31 მარტს მუხიან - კოპიტნარის შუა მიმავალ მარგანეცით დატვირთულ მატარებლის № 194 მეხუთე რონოდა ბოლოდან ასცდა ლიანდაგს რონოდის ჩავარდნა გამოიწვია რონოდის ღერძის ვატეხამ. მატარებელი გადახსნეს. ბოლო რონოდები დასტოვეს ადგილზე, ხოლო წინა ნაწილი ჩაიყვანეს კოპიტნარში.

კოპიტნარიდან მატარებელი გაგზავნეს სამტრედიაში. მატარებელი სამტრედია - კოპიტნარის შუა დაიმტვრა ხელმეორედ.

მატარებელს მოეხსნა ბოლოდან 32 რონოდი. შეამჩნია რა ეს კონდუქტორთა ბრიგადამ, იმის მაგივრად, რომ მიეცა გაჭყვეტის ნიშნები, მემაშქანეს მისცა გაჩერების ნიშანი. მატარებელი გაჩერდა. მოხსნილი რონოდები, რომლებიც გაიტაცა გრივალმა, დაეჯახენ გაჩერებულ მატარებელს.

დაჯახებას შემდეგ მოჰყვა 9 რონოდის დამტვრევა და ლიანდაგიდან გადაცდენა, 3 რონოდის დაზიანება თვალსაჩინოდ და ხაზის გაფუჭება 50 საჟენზე.

შემთხვევის ადგილებზე გაიგზავნა დამხმარე მატარებლები.

მუშაობა მოძრაობის აღსადგენად მიმდინარეობდა უაღრესად მძიმე პირობებში; მუშაობას ხელს უშლიდა არა ჩვეულებრივი გრივალი და სიბნელე.

მოძრაობა აღდგენილ იქნა 15 საათის მუშაობის შემდეგ.

სწარმოებს კვლევა - ძიება.

მეცნიერება და ტეხნიკა

ვაგონების მექანიკური რეცხვა

საფრანგეთის რკინის გზებზე შემოიღეს სპეციალური მოწყობილობა ვაგონების გასარეცხად. ეს მოწყობილობა შესდგება ფარდულიდან, სადაც გაკეთებულია წყლის ონკანები. ფარდულის ჭერზე მიმაგრებულია მოძრავი ჩოთქები. ვაგონი გასარეცხად შეჰყავთ ფარდულში, სადაც მას ონკანებიდან ესხმება წყალი, ამის შემდეგ მოძრავი ჩოთქების საშუალებით ვაგონი ირეცხება. ერთი ვაგონის გარეცხვას უნდება სულ 2-3 წუთი.

ქაფური—მწერიდან

ერთმა ინგლისელმა ბუნების მეტყველმა კუნძულ სუმატრაზე იპოვა მწერი, რომელიც ტანიდან დიდის რაოდენობით გამოჰყოფს რძისებურ სითხეს. ეს სითხე, თავისი სუნით და ქიმიური თვისებებით ქაფურის მსგავსი აღმოჩნდა. ამჟამად ახდენენ ამ მწერის მასიური გამრავლების ცდებს. მეცნიერები ფიქრობენ, რომ შესაძლებელი გახდება ამ მწერების გამრავლება ისე, როგორც აბრეშუმის ჭიის.

ტყუპების მსგავსება

კოლუმბიის (შეერთებული შტატები) უნივერსიტეტში მოახდინეს 158 წყვილი ტყუპის დეტალურად გამოკვლევა. სხვა მრავალ თავისებურობათა შორის, გამოკვლევამ გამოარკვია განსაცვიფრებელი ფსიქიური ნათესაობა ტყუპებს შორის, რომლებიც ფიზიკურად ძლიერ ჰგავდენ ერთმანეთს. ტყუპების ფსიქიური პროცესები უფრო მსგავსად მიმდინარეობენ, ვიდრე და-ძმების. ტყუპი დები და ტყუპი ძმები უფრო მეტ მსგავს ფსიქიურ თვისებებს იჩენენ, ვიდრე ტყუპი და-ძმები. გამოკვლეულ ტყუპებიდან, 63 წყვილი ისე ჰგავდა ერთმანეთს, რომ პარეშეები ვერ გამოიცნობდენ.

ცხელი წყალი არტეზიანულ ჭებიდან

ნევადას (შეერთებული შტატები) შტატის ზოგიერთ ადგილებში 100—120 ფუტის სიღრმეზე იპოვეს ცხელი წყალი. ადგილობრივ რანჩოების (მესაქონლეთა ფერმები) პატრონებმა მოაწყვეს არტეზიანული ჭები და ბუნებრივ ცხელ წყალს იყენებენ შენობების გასათბობათ. შენობებიდან ცხელი წყალი თხრილების საშუალებით გაყვანილია ბაღ-ბაღჩებში. თხრილებში წყალი იმდენათ თბილია, რომ ცივ ამინდში დგას თბილი ნისლი, რომელიც მოყინვისგან იცავს აყვავებულ ხეხილს.

წყლის ტემპერატურა არტეზიანულ ჭიდან გამოსვლის დროს უდრის 200 გრად. ფარანგეიტით.

იურიდიული დახმარება

კავშირის წევრს (წიგნ. № 4.370) ამხ. ვ. ვ. თავბერიძეს

პასუხი

როგორც პროფკავშირის წევრი, უმუშევარი და დაზღვეული ბინის ქირად თვიურად თვითეულ კვად. მეტრზე გადაიხდით 4 კაპ. რაოდენობით. (იხ. საბინაო ტარიფის მუხ. 8), რომ თქვენი და იმყოფება თქვენ კმაყოფაზე, ამაზე მოწმობის მისაღებათ თქვენ უნდა მიმართოდ სახლის მფლობელობას და მილიციას.

ალიმენტის შესახებ

პასუხი

ორი წლის წინად ყოველგვარ მიზეზს გარეშე მიმატოვა ქმარმა—ერთი მისგან შეძენილი ვაჟით. მან შეირთო სხვა ქალი. ეხლა იგი მსახურობს გორის მაზრის ერთ-ერთ თემის მილიციის უფროსად. მე იძულებული გავხდი ჩემი ქმრის მშობლებს მოვშორებოდი და ჩემს ღარიბ მშობლებთან მივსულიყავი. ამ უკანასკნელთ ძალიან უჭირთ ჩემი და ჩემი შვილის შენახვა. მაქვს თუ არა უფლება მოვსთხოვო ჩემს ყოფილ ქმარს ალიმენტი.

ა. ლომთათიძის ასული გაბისიანისა

პასუხი

თანახმად დეკრეტი № 28-ის მუხ. 96 და 97-ისა, გაქვთ უფლება თქვენ ყოფილ ქმარს სასამართლოს წესით მოთხოვოთ სარჩო მისი ხელფასის 50 პროცენტის რაოდენობის ფარგლებში (იხ. საპროცესო კოდექსის მუხ. 289).

ნ. გამსახურიძეს

პასუხი

დედის ნამზითვარი ნივთები და ქონება დედის სიკვდილის შემდეგ გადადის მის შვილებზე და არა დედინაცვალზე. გირჩევთ მიმართოთ სახალხო სასამართლოს სათანადო განცხადებით.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 27.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქართველოს სსრ ტყის კოდექსისათვის 71 მუხ. დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2-რე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლ. მარტის 10-ს თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ ტყის კოდექსს დაემატოს 71 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 71. ტყეების მტაცებლობისა და განადგურებისაგან დასაცავად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი გამოსცემს სავალდებულო დადგენილებათ ტყისა და ტყის სანახების სარგებლობის (პირდაპირი და არაპირდაპირი) წესის შესახებ.

ამ დადგენილებათა დარღვევა გამოიწვევს სისხლის სამართლის კოდექსით დაწესებულ სოციალურ დაცვის ღონისძიებას“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 წლ. მარტის 5. თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— ნორჩ პიონერთა თბილისის ბიურო იუწყება, რომ სამშაბათს, ა. წ. 5 აპრილს განათლების მუშაკთა სახლში ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობის შემსწავლელ პედაგოგთა წრის მეცადინეობა არ შესდგება.

— შაბათს, ა. წ. 2 აპრილს, საღამოს 5 საათზე ყოფილ რაიონულ კლუბის შენობაში (მილიუტინის და ანდრეევის კუთხე) შესდგება მეორე რაიონის უპარტიო ახალგაზრდა ქალების კონფერენცია.

— სახ. უნივ. პედაგოგიური ფაკ. კომუჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 2 აპრილს, საღამოს 7 საათზე შესდგება ზემოხსენებულ ფაკ. კომუჯრედის და კომკავშირის გაერთიანებული კრება.

— სახ. უნივ. ახ. ლ. კ. კ. ბიურო კოლექტივი აცხადებს, რომ შაბათს, 4 საათზე მოწვეულია აგრონომ. ფაკ. ა. ლ. კ. კ. უჯრ. ბიუროს სხდომა, განხილული იქნება მომავალი სამუშაო გეგმები. დასწრება წევრთა და კანდიდატთათვის სავალდებულოა.

— სახელმწ. უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტთან არსებული კომუჯრედის ბიურო აცხადებს, რომ შაბათს, 2 აპრილს, ნაშუადღ. 3 საათზე მოწვეულია აღნიშნულ უჯრედის ბიუროს კრება. გარდა ბიუროს წევრების და კანდიდატებისა სავალდებულოა კრებაზე გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: 1) ოყრომშიძე გიორგი, 2) ცირეკიძე რაულ და 3) ქუთათელაძე მიხეილ.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ოლღა თომას ასული, შვილები: თამარი, გიორგი და ქეთევანი, რძალი ოლღა პეტრეს ასული, ძმისწულები: ალექსანდრე, სერგო და ოთარი და ცოლისძმა ვარლამ თომას-ძე ხოშტარია მეუღლით ნინათი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

პეტრე გრიგოლის-ძე მელიას

გარდაცვალებიდან 40 დღის თავის აღსანიშნავად, კვირას, 3 აპრილს, დღის 1 საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება პანაშვიდი.
ნ. 938

ღრმად დამწუხრებულნი: დედა სურათა, რძალი ზინა, ძმები ივლიანე და ვანო, სიძეები თეოფილე, ილიკო და სილო, აუწყებენ ნათესავთ, მეგობარ-ნაცნობებს, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინერო ფაკულტეტის სტუდენტის უძვირფასესი

მინა (მინუკა) ნესტორის ძე ჩლაიძის

გარდაცვალებიდან ნახევარი წლის შესრულების გამო, კვირას, 3 აპრილს კუკიის სასაფლაოს ეკლესიაზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი.
2306

ღრმა მწუხარებაში იყოფნი მეუღლე მაია, შვილებით, მელქო, ევგენი, სანდრო, ელენა, სერაფიმა, სიძეები—დიმიტრი იმნაძე და ალექსანდრე მიქიაშვილი, შვილიშვილები—მარგალიტა, ქსენია, ტატიანა, მარო, თამარა, შოთა, ამირანი და ესიკო აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, პირველის მეუღლის და დანარჩენების ძვირფას და საყვარელ მამის

პავლე იესეს ძის როგბაქიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 3 აპრილს, გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან დღის 1 საათზე წმ. ნინოს სასაფლაოზე.
2308

„კომუნისტი“
ხელისმოწერა მიიღება
თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34
პროვინციაში

1. ხაშურში—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. ჭიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. ხონში—„ეპოს“ წიგნის მაღაზია.
5. სამტრედია—განყ. გამგე ვლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. სენაკი—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. აბაშა—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. ფოთი—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. ბათომი—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
10. ზესტაფონი, ჩხარი, სვირი, აჯამეთი. ათ. ცხომელიძე.
11. დიდი ჯიხაიში—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
12. ოზურგეთი—განყ. გამგე პოლ. ინწკირველთან მთელი ოზურგეთის მაზრისათ
13. თელავი—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
14. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
15. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
16. სოხუმში—„კომუნისტი“-ს კანტორაში — მთელი აფხაზეთისათვის.
17. ვილისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე შიშნიაშვილი ესტატე
18. ოჩემჩირი—ადამიასთან
19. ხად. ბორჯომი—)
20. ბორჯომ-ბალი—) რ. თარგამაძესთან
21. ცხინვალი—ვასილი ფავლენიშვილთან.

და სპეციალურ რწმუნებულების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით
ხელის მოწერა სხვა დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან არ მიიღება
„კომუნისტი“ მთავარი კანტორა
1—0

სახელმწიფო ოპერა
ნ. 937
დღეს, 2 აპრილს, მესამე აბონემენტის მეცხრე წარმოდგენა
ტრილბი (ოპერა მანონის მაგიერ)
მონაწ. ბოკოვა, კანსბურგი, მესნიაევი, ვეზაძე
დირიჟორი სახალხო არტ. ი. ფალიაშვილი
კვირას, 3 აპრილს, თეატრის მოლარეების საღამო
1) ტოსკა. 2) ბალეტი
სამშაბათს, 5 აპრილს პირველი გასტროლი
დიმიტრი სმირნოვის რიგოლეტო

აპოლლო
ტელ. 7—61.
არფასტო
ტელ. № 19—22.
სოლეი
ტელ. 20—44.
დარბაზი
ტელ. 14—03.
0—25 ნ. 748
მერი პიკფორდი საუკეთესო სურათში
„როცა თოვლი გადნება“
ანონსი: მალე „მეორე ახალგაზრდობა“
უკანასკნელად თბილისში
„ბაღდადელი ქურდი“
დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით
მსოფლიო შედევრი! მონოპოლიურათ ჩვენს ეკრანზე
„სოდომი და გომორა“ ლიუსი დორენის მონაწ.
ორი სერია 13 ნაწ. ერთად
საუკეთესო სურათი „ოქროს მაძიებელნი“
ვილიამ დესმონდის მონაწილეობით. 1 და 2 სერია ერთად,
ანონსი: მალე შედევრი „ბელა დონა“ პოლა ნეგრის, ად. მენჟუს და კონვეი ტირლის მონაწილ.

ცირკი
ძმ. ტანტების
ტელ. 16—67
წაიკითხეთ ჩვენი აფიშები!!
1—1 ნ. 939

ს.ს.ს. რესპ. დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.
დღეს, 1927 წ. 2 აპრილს,
სადღესასწაულო სანახაობანი, მთელი დასი. 1-ლი უბნის ფარაონი ლეო ტანტის მონაწილეობით, მამაკაცის ტანის აგებულობის სილამაზის
კონკურსი
მონაწილეობენ ყველა მოჭიდავები, გრძელდება ჭიდაობის ჩემპიონატი
ჭიდაობს 4 წყვილი
გადამწყვეტი ბუმბერაზი ზოტი—წითელი ნიღაბი, ბულ-დემონ, შულც—სუტიაგინ, კარბე—პ. კრილოვი.
კვირას, 3 აპრილს, ყველასთვის ხელმისაწვდომი საბავშვო დილა საუკეთესო ნომრებით. უფასო საჩუქრების დარიგება.
ადმ. ხელმძღვანელი მ. ი. ტადე.

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართ. ალმასრულებელი
პოტემკოვსკი

აცხადებს, რომ 5 აპრილიდან, შუადღის 2 საათზე იგი პირველი **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ვართანუშ არუთინის ასულ შახბუდაგოვ-შოუს უფლებას ოთხ სართულიანი სახლის ნახევარ ნაწილზე, რომელიც იმყოფება მალაკანის და ბატარეის ქუჩის კუთხეში № 50 | 28 და რომელშიაც არის 109 ოთახი, 27 სამზარეულო, 10 დერეფანი, 7 საკუჭნაო, დარაბა და სარდაფი, ღვინის საწყობით დაკავებული, 12 რკინის აივანი ქუჩისაკენ. ეს სახლი მთლიანად დაგირავებულია თბილისის ქალაქის ბანკში 5.846 მან. 95 კაპ., ვართანუშ შახბუდაგოვ-შოუს უფლება ამ სახლის ნახევარ ნაწილზე დაგირავებულია საქართველოს სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს თამბაქოს ტრესტში 4.000 მან შახბუდაგოვ-შოუს უფლება გაყიდვისათვის შეფასებულია 5.000 მან. და მისი გაყიდვა მოხდება ამ სახლის ეზოში სამოქალაქო პროცესუალური კოდექსის მე-301, 311, 312, 313, 314 და 316 მუხლებში აღნიშნულ მოთხოვნილებათა დაცვით. 2301

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—

ფოთის საბაჟო

აცხადებს, რომ 18 აპრილს 1927 წ. დღისით 1-ლ საათზე ქ. ფოთში საბაჟოს შენობაში

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

საბაჟოსათვის **ერთ სართულიანი ხის სახლის ასაშენებლად** ფოთის ნავსადგურის ტერიტორიაზე 6787 მანეთამდე, შენობის მოთავების ვადა 12 კვირაა დღიდან ხელშეკრულებისა. დაწვრილებით პირობები და ყოველივე ტეხნიკური საბუთების გაგება შეიძლება **ფოთის, ბათომის და თბილისის საბაჟოებში** სამსახურის დროს. ვაჭრობა იწარმოებს განცხადების შემოტანით დახურულ კონვერტებში, ან ფოსტით გამოგზავნით, სადაც ნაჩვენები უნდა იქნეს გამოცხადებული თანხასთან შედარებით დაკლებული ფასი. კონვერტების მიღება შეწყდება ვაჭრობის დღეს შუადღის 12 საათზე. კონვერტების გახსნის შემდეგ დაშვებული იქნება სიტყვიერი შეჯიბრებაც. შეჯიბრება უნდა ხდებოდეს განსაკუთრებით გამოცხადებული თანხის დაწევის გარშემო. წინასწარი პირობების ტექსტი, რომელიც სავსებით დაედება საფუძვლათ ხელშეკრულებას, არავისთვის შეჯიბრების საგნათ არ უნდა იქნეს მიჩნეული და სავალდებულოა ყველა შეჯიბრებელთა შორის. ვაჭრობის დღეს სავალდებულოა 10%% საწინდრის შემოტანა. შეჯიბრებაზე დაიშვებიან გარდა სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კოოპერატიული ორგანიზაციებისა, აგრეთვე კერძო პირები და არტელები, რომელთაც გამოაჩნდებათ ნდობის და გამოცდილების დამაკმაყოფილებელი ნიშნები. დადებული ხელშეკრულება შედის ძალაში მხოლოდ ა.-კ. მთავ. საბაჟო სამმარ. დამტკიცების შემდეგ.
ნ. 936

გურჯაანის და ლაგოდეხის სახალხო სასამართლოს ალმასრულებელი **ლადო ხირსელი**

ამით აცხადებს, რომ ის 1927 წ. აპრილის 6 დილის 10 საათზე სოფელ გურჯაანის რკინის გზის სადგურის მახლობლათ **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ილიკო დუგლაძის მოძრავ ქონებას მარანი ჩალით დახურული ქვიტკირის კედლებით ქვევრები მარანში 37 ცალი რომელიც შეიცავს 120 საპალნე ღვინოს აღნიშნული მარანი ქვევრებით არის შეფასებული 700 მან. ველის-ციხის საკრედიტო ამხ. 1080 მ. ვალის დასაკმაყოფილებლათ თანახმად გურჯაანის სახალხო სასამართლოსგან გაცემული ალმასრულებელი ფურცლისა 1926 წ. ოქტომბრის 4, № 1433 საჯარო ვაჭრობა შესდგება ადგილობრივ მარანში. 2302

საბინაო საქმეთა სახალხო სასამართლოს ალმასრულებ.
გ. ბალდასაროვი

ამით აცხადებს, რომ ის 6-ს აპრილს 1927 წ. დღის 2 საათზე, კლარა ცეტკინის და ბათომის კუთხ. № 151 | 32 1-ლ **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ლიუბა და იაკოფ ხიზანოვების უძრავ ქონებას, ორ სართულიან აგურის სახლს, მდებარეს კლარა ცეტკინის და ბათომის ქ. ქ. კუთხ. 151 | 32—18 ოთახიანი, 6 სამზარეულოთი, 2 სადარბაზო შესასვლელით, კანალიზაციით და წყალსადენით, შეფასებულს 1000 მან. დასაკმაყოფილებლად გაბრიელ გატაევისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ვაჭრობა მოხდება სამოქ. სამმართ. საპროც. კოდექსის 310, 311, 312, 313 და 314 მუხ. დაცვით.
(ე)

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—1

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ძლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი ხისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექ. ი. ე. გაბიჩვაძე
პლეხანოვის პროსპექტი № 65 იღებს სპეციალურათ ვენერიულ სიფილისით და კანით ავადმყოფებს.
დილით 7 ნახ.—8 ნახ. საღამოს 5—8 საათამდე.

მედმუშაკთა კოლექტივი
აცხადებს, რომ ყველა სპეციალობის
ექიმთა გამოძახება სახლში
მწოლარე ავადმყოფებთან შეიძლება დილის 9 საათიდან, საღამოს 8 საათამდე შემდეგ პუნქტებიდან:
1) მე-6 საბჭ. აფთიაქი (ყ. ზელკინის) ოლღას ქუჩაზე.
2) ყოფ. ჰეინეს აფთიაქი თავისუფლების მოედანზე.
3) მე-7 საბჭ. აფთიაქი კლინიკური ინსტიტუტის (მიაილის საავადმყოფო) პირდაპირ.
4) სადგურზე მუშკოოპის გვერდით საბარგო სადგურის პირდაპირ.
5) ავლაბარი, მე-9 საბჭ. აფთიაქი, კახეთის ქუჩაზე.
ექიმის გამოძახება—60 კ.
საშუალო პერსონალის გამოძახება—35 კაპ.
საფასურის გადახდა პუნქტებზე.
იქვე ექიმების მორიგეობა ღამეობით. 25—1

ქუთაისში, პუშკინის ქ-ზე
იყიდება
ერთი სართ. სახლი ცხრა ოთახით, თავის სარდაფებით და სამზარეულოთი. ძყიდველს ეძლევა თავისუფალი ბინა. იქვე იყიდება პიანინო „რენიშ“ და სხვა ოჯახური მოწყობილობა. პირობების გაგება: ქუთაისი, სასტ. „ორიანტი“, ევგენი ქუთათელაძესთან. 2310

დავკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 53 ბიქტორ გვილავას სახელზე, ჩ. გ. 2304

დავკარგე საწევრო წიგნაკი № 17692, გაცემული სენაკის სამაზრო განმუშაკთა კავშირის მიერ, ისიდორე ელიავას სახელზე, ჩ. გ. 2303

დავკარგე ზუგდიდის 9 წლიანი შრომის სკოლის დამთავრების დროებით მოწმობა № 393 დავითი ანჩაბაძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 935

დავკარგე სამხედრო სამსახურის წიგნაკი № 367 და პარტ. კანდ. მანდატი № 393 ამბროსი ევგენისძე კვიკვიძის სახელზე, ჩ. გ. 2299

დავკარგე პირადობის მოწმობა № 149, მოცემული ნოქალაქევის თემის ალმასკომის მიერ, ესტატე დავითისძე გაბედავას სახელზე, ჩ. გ. 2309

დავკარგე პირადი წიგნაკი სამხედრო აღრიცხვისა № 35, მოცემული თბილისის მე-11-ტე კომისარიატიდან შალვა თედორესძე ჯიშკარიანის სახელზე, ჩ. გ. 2307

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68,